

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ ИМЕНИ АКАД. Г. В. ЦЕРТЕЛИ

კონსტანტინე წერეთელი

შენიშვნები არამეზის ბილინგვის
არამეულ ტექსტზე

КОНСТАНТИН ЦЕРТЕЛИ

ЗАМЕЧАНИЯ К АРАМЕЙСКОМУ
ТЕКСТУ АРМАЗСКОЙ БИЛИНГВЫ



თბილისი — 1992 — ТБИЛИСИ

„მეცნიერება“

«МЕЦНИЕРЕБА»

ნაშრომში განხილულია 1940 წელს არმაზში (მცხეთის მახლობლად) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ორენოვანი სტელის არამეული ტექსტი. ეს ტექსტი ფილოლოგიურ-ისტორიული კომენტარებით პირველად გამოსცა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა „არმაზის ბილინგვის“ სახელწოდებით (თბილისი, 1941). მას შემდეგ განვლული ხნის განმავლობაში გამოქვეყნდა მრაველი მოსაზრება და შენიშვნა ღსენებელი ტექსტის მიმართ; ამასთანავე. დაგროვდა ახალი ეპიგრაფიკული მასალაც. ყოველივე ეს მოითხოვდა არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტის ხელახლა გამოცემას ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრებისა და სათანადო ეპიგრაფიკული მასალის გათვალისწინებით, რასაც მიზნად ისახავს წინამდებარე ნაშრომი.

არმაზის ბილინგვის დეტალურად შესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ არამეული დამწერლობის ისტორიის თვალსაზრისით. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში წინაქრისტიანული ხანის კულტურულ-ისტორიული ერთაგების კვლევასათვის.

ნაშრომი გათვალისწინებულია ფართო მკითხველათათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართველი ხალხისა და მისი კულტურის ისტორიით.

В книге рассматривается арамейский текст двуязычной стелы, найденной при археологических раскопках в Армази (около Мухета) в 1940 году. Текст с филолого-историческими комментариями впервые был издан академиком Г. В. Церетели под названием «Армазская билингва» (Тбилиси, 1941). За прошедшее время после его издания было опубликовано немало соображений и замечаний вокруг данного текста; накопилось и определенное количество своего эпиграфического материала. Все это требовало новую публикацию арамейского текста армазской билингвы с учетом всех высказываний и замечаний по нем, что и является целью данного труда.

Детальное изучение армазской билингвы имеет значение не только с точки зрения изучения истории арамейского письма. Оно приобретает особое значение и для исследования культурно-исторической ситуации в дохристианской Грузии.

Книга рассчитана для широкого круга читателей, которые интересуются историей грузинского народа и его культуры.

შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე

მცხეთა-არმაზში არქეოლოგიური გათხრების დროს 1940 წელს აღმოჩნდა ორი ქვის სტელა, რომელთაგან ერთი ერთენოვანი იყო (მონოლინგვა), ხოლო მეორე ორენოვანი (ბილინგვა). ეს უკანასკნელი შეიცავდა ტექსტებს, დაწერილს ბერძნულად და არამეულად. ბერძნული ტექსტი პირველ ადგილზეა, სტელის ზემო ნაწილში, არამეოგრაფიკული—მეორე ადგილზე, სტელის ქვემო ნაწილში. ბერძნული ტექსტი პირველად გამოაქვეყნეს აკაკი შანიძემ [Шанидзе 1941] და სიმონ ყაუხჩიშვილმა [ყაუხჩიშვილი 1941], არამეოგრაფიკული—გიორგი წერეთელმა (რუსულად [Билингва 1941], ქართულად ინგლისურთან ერთად [ბილინგვა 1942]). ბილინგვის არამეული ტექსტის გამოცემამ მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. არამეულ ტექსტთან დაკავშირებით, დაიბეჭდა არაერთი შრომა, მისი ენისა და დამწერის ვინაობის შესახებ გაპოიზიქვა მრავალი მოსაზრება. სადაოდ მიაჩნიათ ტექსტის ენა, ზოგიერთი ადგილის წაკითხვა-გაგება. არმაზის ბილინგვის გამაჯვრებას გამოეხმაურნენ: ვ. აბავეი, მ. ნ. ტოდი, ბ. მ. მეცვერი, პ. უ. ბილი, პ. ს. ნიუბერგი, ფრ. ალტჰაიმი, რ. შტილი, პ. დონერი და ვ. როელიგი, რ. ფრაი, დ. დირინგერი, პ. გრელო, გ. გიორგაძე და სხვ. უკანასკნელ ხანებში ბილინგვის არამეული ტექსტი გამოსცა მ. ბოგოლიუბოვა სათაურით „არმაზის ეპიტაფია“ [Боголюбов 1987]. ყოველივე ეს გარკვევით მეტყველებს იმ დიდ და მრავალმხრივ მნიშვნელობაზე, რაც არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტს ენიჭება. იგივე გარემოება ჩვენ გვაძლევს საფუძველს ხელახლა მივუბრუნდეთ ბილინგვის ხსენებულ ტექსტს და გავათვალისწინოთ ყველა გამოთქმული მოსაზრება და შენიშვნა მის მიმართ. საამისო ბოძეს გვაძლევს ისიც, რომ არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტის პირველ გამოცემულსა და კომენტატორს, რომელმაც მას ბრწყინვალე გამოკვლევა მიუძღვნა, ზემოხსენებულ ავტორთა შენიშვნებზე პასუხი არ გაუცია.

არამეულენოვანი და არამეულგრაფიკული ტექსტის წაკითხვა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული; ამიტომ მას არაერთხელ უბრუნდებიან. დროთა განმავლობაში წარწერები ხელახლა იკითხება, მისი ცალკეული ადგილები სწორდება, ზუსტდება. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არაერთხელ

გაპოიკა და მის მიმართ არაერთი შენიშვნა დაიწერა. ჩვენი მსზანია, წარმოვადგინოთ ზოგიერთი შენიშვნა ხსენებულ ტექსტზე ადრე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით.

ბილინგვის არაპეული ნაწილი ძირითადად სწორადაა წაკითხული გიორგი წერეთლის მიერ და მისი წაკითხვა და გაგება საფუძველია ამ ტექსტის ყველა სხვა წაკითხვისა და გაგებისათვის (როგორც ამ ტექსტის, ისე სხვა არამზული დამწერლობით შესრულებული წარწერის გაშიფრვისათვის გ. წერეთლის „არმაზის ბილინგვა“ მყარ საფუძველს წარმოადგენს). თვით „არამზული დამწერლობის“ დადგენა ხომ უეჭველია [წერეთელი კ. 1989].

არმაზის ბილინგვის არამეული ნაწილი გ. წერეთლის გამოცემის მიხედვით [ბილინგვა: 16],

1. აიხ სრpyt brty zy
2. zywh klyl bthx zy prsmn
3. mlk აntt zy ywdmngn wnsyh
4. wkbyr აrwst (byd) rb
5. trbჟ zy ოsyprnwg mlk bry
6. zy აgrp rb trbჟ zy
7. prsmn mlk ობლ ობlyk m>
8. zy prnwჟ l> gmyr whkyn
9. ჟბ wჟpyr yhwh hyk zy br
10. აynჟ l> dm< yhwy mn
11. ჟbwt wმ>ylyn bჟnt 21.

განვიხილოთ არმაზის ბილინგვის მოცემული არამეული ტექსტის ყოველი სიტყვა, რომელიც ზემოაღნიშნული მკვლევრების მსჯელობის საგანაა ან დაზუსტებას მოითხოვს.

1) აიხ (სტრ. 1) I პირის ნაცვალსახელია — „მე“ (გვიანდელ არამეულში—აი), თუმცა იგი არამეულს ძველ ძველებშიც გვხვდება) (ა¹na). ასე ესმის ეს სიტყვა გ. წერეთელს [ბილინგვა : 17] და ბილინგვის ყველა გამომცემელსა და კომენტატორს. ამასთან დაკავშირებით პ. გრელო აღნიშნავს, რომ აიხ და zy არქაიზმებია, რომლებიც სპარსეთის იმპერიის აღმოსავლურ რეგიონში გვხვდება, და უთითებს სეფანის წარწერებს სომხეთში [Grelot: 13]. გამონაკლისია მ. ბოგოლიუბოვი, რომლისათვის აქ არის არა I პირის ნაცვალსახელი, არამედ სრულიად სხვა სიტყვა, მისი ომოგრაფი [Боголюбов 1987 : 33]. იგი ამ სიტყვას უკავშირებს სემიტურში დადასტურებულ ზმნას აNH, აNN: არაბ. აanna „დაიკვნესა; იტრია“, უგარით. აani „დატირება“, ასევე ძვ. ებრ. აānan, აānah. (შდრ.,

ასევე, ა. შანიძის თარგმანი ამ ტექსტისა, სადაც პირველ სიტყვად მას „ვაი“ („Увы“) აქვს კითხვის ნიშნით არამ. უიი-სათვის [Шанидзе 1941 : 185], რაც, როგორც ჩანს, გამოწვეულია ებრაულ ბიბლიაში ხმარებული შორისდებულის אַנְנָה-ს ანალოგიით [Gesenius 1905 : 47]). აქედან მ. ბოგოლიუბოვი შესიტყვებს აიი სרפית თარგმნის ორგვარად: (1) „საბრალოა სერაფიტი“ («жалъ Серафиту») და (2) „დაიტრე სერაფიტი!“ («оплакивай еѣ, Серафиту!»), რაღენადაც მისი აზრით, აქ შეიძლება გვექნდეს ბრძანებითის ფორმა (იხ. რ. II პ.) ზმნისაგან აიი-აიი (=აიი-აიი, იქვე). სიტყვის ასეთი ინტერპრეტაცია ეფუძნება ტექსტის არასწორ გაგებას (თითქოს ეპიტაფია შეადგინეს სერაფიტის მამამ და მამამთილმა). თავის მხრივ მ. ბოგოლიუბოვს წარწერის პირველი სიტყვის (აიი) ზემოაღნიშნული წაკითხვა ერთ-ერთ საბუთად მიაჩნია ტექსტის წარმოდგენილი გაგებისათვის. ამაზე ქვემოთ). ცხადია, ასეთ შემთხვევაში ეპიტაფიის მიმართვაში მკითხველსადმი უფრო მოსალოდნელია ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმა. ამასთანავე, არ არის ცნობილი არცერთი ეპიტაფია სემიტურში, მათ შორის არამეულშიც, სადაც იგი იწყებოდეს აიი-თი, რომელსაც „დაიტრე!“ თუ „საბრალოა“ («жалъ») მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ როცა ეპიტაფიის დაწყება I პირით ჩვეულებრივია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლურ-სემიტურ წარწერებში აიი მხოლოდ „მე“-ს მნიშვნელობით გვხვდება (შდრ. DISO : 18). რაც შეეხება ზმნა აიი-ს, იგი მართლაც დასტურდება არამეულში, კერძოდ, იუდეურ-არამეულში, მაგრამ აიი-საგან განსხვავებით, იგი არ ნიშნავს „მკვდრის დატირებას“, როგორც ამას ბოგოლიუბოვი შენიშნავს (Боголюбов 1987:33], არამედ საერთოდ „დამწუხრებას“, აქედან — „ტირილს“ (შდრ. Levy 1959 : 4 და 41), თუმცა ძვ. ებრაულში אֵינָן, אֵינָה „დატირებასაც“ ნიშნავს. ამრიგად, აქ უდავოდ აიი I პირის ნაცვალსახელია მხ. რიცხვში („მე“).

2) სרפית (სტრ. 1). როგორც პარალელური ბერძნული ტექსტი გვიკარნახებს, ეს ქალის საკუთარი სახელია, რომელიც უნდა იკითხებოდეს როგორც serapit (შდრ. ბერძნ. Σηραπειτα, ბილ. 18). გ. წერეთელმა ყურადღება მიაქცია არამეული e-ხმოვნის გადმოცემას ჩინით (=ბერძნ. η. e-დ კითხულობს იგი e-ს ბილინგვის მეორე სიტყვაშიც—dmC, სტრ. 10. იხ. ქვემოთ). ბერძნ. η-ს e-ით გადმოცემაზე ამახვილებენ ყურადღებას ი. კუჩერი და ი. ნავეც. მათ იქვე მოჰყავთ ანალოგია მანდეურიდან და აღნიშნავენ, რომ ამის ნიშნები დასტურდება ბაბილონის თალმუდშიც [Kutscher/Naveh 1970 : 311]. გ. წერეთელი შესაძლებლად თვლის, რომ ხსენებული საკუთარი სახელი ეგვიპტური წარმოშობის იყოს, ხოლო კუჩერი და ნავეც, ასევე ღონერი და როელივი კი მას სპარსულად მიიჩნევენ [Kutscher/Naveh 1970 : 311, KAI, II : 328].

3) brty (სტრ. 1). გ. წერეთელის განმარტებით აქ გვაქვს არამეული სიტყვა „ასული“, რომლის st. emph.-ია brt, st. cstr. brt პირველი პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით (ბილ.ინგვა : 18). იქვე შენიშნულია, რომ წიგნურ ძალაურში ეს სიტყვა III პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით (brth) გამოიყენებოდა იდეოგრამად. ხაზგასმულია, რომ ფორმა brty წარწერებში არ შეხვედრია და იგი ისეთსავე როლს ასრულებს საშუალო ირანულში (ფალაურსა და ფარსულში), როგორც ფორმა brh (III პირის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკით) (იხ. ქვემოთ, გვ. 28). brty-ის ახსნა იდეოგრამად 3. ნიუბერგს აბსურდად მიაჩნია [Nyberg 1946 : 94].

დენერსა და როელიგს შესაძლებლად მიაჩნია, brty ფორმა იყოს status determinativus შხ. რ-ში, რომლის ბოლოკიდური -ā (არტიკლი) დისიმილაციით ay-ს გადალევს, რაც გრაფიკაში აისახა (*brātā > *brā-tay? — ე. წ.). ეს მეცნიერები ანგარიშგასაწვეად თვლიან გრელოს დაშვებას, რომ bartēh > *bartē „მისი (მამაკაცის) ასული“ [KAI, II : 328]. გრელოს ამ აზრს [შდრ. Grelot 1958 : 13—14] იზიარებენ კუჩერი და ნავე: brtyh (= 𐎠𐎢𐎣𐎠), სადაც ბოლოკიდური h დაიკარგა [Kutscher/Naveh 1970 : 311].

4) zy (სტრ. 1) არამეული რელაციური (გენეტივის) ნაწილაკია, რომელიც მოგვიანებით dy-ის სახეს იღებს, სირიულში კი კარგავს i-ს და გვხვდება როგორც d (d^h). ასეთად იხპარება იგი ცოცხალ დიალექტებშიც (ბილ. 18).

საყურადღებოა, რომ არმაზის წარწერებში მისი წინამავალი სიტყვა st. cstr.-ის ფორმას მოგვაგონებს, რამდენადაც მას მოკვეცილი აქვს st. emph.-ის -ā დაბოლოება, რაც ასეთ კონსტრუქციაში ჩვეულებრივია (შდრ. არამ. brt zy mlk) „მეფის ასული“ და ბილ.ინგვის brty zy zywh). აღსანიშნავია, რომ კლასიკურ სირიულში გენეტივის ნაწილაკის d-ს წინ შესაძლებელია იყოს არა მარტო არტიკლით განსაზღვრული სახელი, არამედ კუთვნი. ნაცვალსახელოვანი სუფიქსის მქონე სახელიც. (შდრ. გვ. 28).

5) zywh. სიტყვა zywh არმაზის წარწერებში რამდენჯერმე გვხვდება და მამაკაცის საკუთარ სახელს წარმოადგენს. სახელობრი: 1) ბილ.ინგვაში, (2) მონოლინგვაში, (3) გემმაზე, (4) ორ ოქროს ბეჭედზე. არმაზის წარწერებშიც მიხედვით zywh (ბერძნ. Ζησαχγης, გემმაზე) იბერიის სამეფო კარზე პიტაჩშია. უკვე ბერძნული წარწერა გვიკარნახებს არამეული ტექსტის zywh სიტყვის გახმოვნებას: zewah. მამაკაცის ასეთი საკუთარი სახელი zehah (იკითხება: zewah!) ცნობილია ებრაულ ბიბლიაში როგორც მადიამელი მეფის სახელი. სწორედ ამიტომ წერდა გ. წერეთელი: „შესაძლებელია ჩვენი წარწერის 𐎠𐎢𐎣 ადგილობრივი ფორმაა საკუთარი სახელისა 𐎠𐎢𐎣 Zebah-ისა, რომელიც

შადიამის მეფეს აღნიშნავს“ (ბილ. 19). იქვე შენიშნავს: „ეტიმოლოგია გაურკვეველია“. ჩვენი აზრით, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ადვილად იხსნება სემიტურ (resp. არამეულ) ნიადაგზე. zewah არის არამეული წარმოთქმა (ასევე ებრაული) zebah-ისა, რამდენადაც ხმოვნის შექმნა $b > w$. სიტყვა zebah გავრცელებულია ძველ არამეულში, კერძოდ, სახელმწიფო (ოფიციალურ) არამეულში და ნიშნავს „შესაწირავ მსხვერპლს“, ზოგჯერ „ღმრთისადმი მირთმეულ ძღვენს“ (DISO: 71). ებრაულ ბიბლიაში zebah-ის ორი მნიშვნელობაა მოცემული: (1) მსხვერპლი (Schlachtopfer) და (2) მამაკაცის საკუთარი სახელი [Gesenius 1905 : 173] (= ქართ. „მსხვერპლი“ და „ზებე“). (საკ. სახელი zebah „მსხვერპლის შეწირვის დღეს დაბადებული“, Odelain/Séguineau 1981 : 325). zebah ძირი „მსხვერპლის შეწირვას“ ნიშნავს. საყურადღებოა, რომ ქართულ ბიბლიურ ტექსტებში ებრაული საკუთარი სახელი zebah-ის გადმოცემა არ ემთხვევა არმაზის zewah-ს: უმეტესწილად „ზებე“, ზოგჯერ „ზებე“ და „ზებიე“ (ფსალმუნნი : 224, ფს. 82₂; მცხ. 1981 : 481; 1983 : 219), შდრ. ბერძნ. ბიბლიის Ζεβειε, რაც გვაფიქრებინებს, რომ ებრ. zebah სახელი ქართულში ბერძნულს გზით შემოვიდა, რის შედეგადაც ბოლოკიდური ხ დაკარგულია, ხოლო სიტყვის მეორე თანხმოვანი ხ შენარჩუნებულია, ე. ი. ზუსტად ასახავს ებრ. zebah-ის ბერძნულ გადმოცემას. ამდენად, არმაზული zewah არამეულიდან უშუალოდ უნდა იყოს შემოსული ქართულში, რომლის წარმოთქმა სათანადოდ აისახა არმაზის წარწერებში. ამრავად, zywh-ის ეტიმოლოგია ეჭვს არ იწვევს, ხოლო ხ-სათვის w-ს დაწერა მიუთითებს ამ სიტყვის ცოცხლად არსებობას ქართულში. და კიდევ, ერთი ც. ეს რომ არამეული zebah-ისათვის (zebah) მხოლოდ არამეულ ტრანსკრიფციას წარმოადგენდეს, აქ უფრო მოსალოაზნელი აქნებოდა zywh-ის დაწერა y-ის გარეშე (რადგან არამეულში შეიძლება შევხვდეთ გრაფიკაში ხშულების მონაცვლეობა სპირანტებთან, აქ—ხ-სათვის w), მაგრამ მოკლე e-სათვის y, ვფიქრობთ, ადასტურებს, რომ დაწერილობა zywh ქართ. „ზევას“-ის არამეული ტრანსკრიფციაა (ქართულში კი, ცხადია, „ზევას“ < არამ.). (საყურადღებოა, რომ არმაზული ტექსტების დამწერი სხვა შემთხვევაშიც e/i ხმოვნისათვის y-ს, როგორც წესი, უცხოურ სახელებში წერს. შდრ. საკ. სახელები ოსური „ქუფარნუგ“ და „გერყ“ „აგრიპა“). ამდენად, დასტურდება გ. წერეთლის მოსაზრება, რომ zywh-ში ხ-ს ნაცვლად w-ს ხმარება „შესაძლებელია ასახავდეს ბელად ქეთათის სპირანტულ გამოთქმას, რომელიც თავს იჩენს ნასესხებ სიტყვებში“ (და იქვე მითითებულია ჰაუბშმანის მიერ მოტანილი მაგალითები სომხურიდან [ბილინგვა 19, შენ. 1]) და წარწერების zywh ასახავდეს ადგილობრივ წარმოთქმას (ბილინგვა : 19). ამ მოსაზრებას, ვფიქრობთ, მხარს უჭერს თვით არმაზის ბილინგვა, სადაც საკუთარ სახელში prwh ხ-ს ნაცვლი

w უნდა იყოს [გიორგაძე 1986 : 157]. (ამ სიტყვაზე მოგვიანებით შევიჩერდებით).

არმაზის *zywh*-ს, გ. წერეთლის მიხედვით, შესაძლებელია რაიმე კავშირი ჰქონდეს ტანაისის წარწერებში (III ს.) დადსტურებულ სახელთან *Zεωχου* (ნათ. ბრ., სახ. ბრ.—*Zεωχου* ან *Zεωχης*). არის ცდა ეს უკანასკნელი ირანულ ნიადაგზე აიხსნას. ასე, მაგალითად, იუსტი მას უკავშირებს ავესტ. *zaoya*-ს („ძლიერი“) [Justi 1895 : 385; შდრ. ბილინგვა : 19]. ა. ფრეიმანიც თვლის, რომ ტანაისის *Zεωχου* ირანული წარმოშობისაა, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ „ბილინგვის სახელთან *zy/wx*-თან იგი კავშირში არ არის“ [Фрейман 1946 : 160]. ვ. აბაგეს, რომელიც მართებულად თვლის „ზევახის“ დაკავშირებას ბერძნ. *Zεωχου*-თან, იქვე შესადარებლად მოაქვს ოსური ზევგ, ზივგ „ზარბაცი“ და საკ. სახელი ნართების ეპოსში ზევგ [აბაგევი 1944 : 823]. პ. დონგრი და ვ. როელიგი იმეორებენ იუსტის მოსაზრებას [KAI, II : 329]. ფრ. ალტჰაიმი და რ. შტრილი *zywh*-ს კითხულობენ როგორც **zīvax* და შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ იგი გამოხატავდეს ძველ ირანულ **zīvaka*-ს (აქედან—სომხ. *zik*, ბერძნ. *Zεαξ* და *Zιχ*) [Altheim/Sliehl 1961 : 174], მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს პარალელურ ბერძნულ ტექსტში „ზევახის“ გადმოცემა: *Zεωαχου* (ნათ.), სახ. *Zεωαχης* (ყაუხჩიშვილი 1941 : 170), რაც მის ქართულ ტრანსკრიფციას წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში აქ გვეჩვენოდა იგივე, რაც ბერძნულ ბიბლიაში: *Zεψε*.

ამრიგად, არმაზის წარწერების *zywh* (ბერძნ. *Zεωαχης*), რომელიც არმაზისხევის სამარხებში სხვადასხვა საგნებზე 5-ჯერ გვხვდება, აქედან 2-ჯერ არამეულ სტელებზე, 3-ჯერ ბერძნულად გემშებზე (ოქროს ბეჭედებში ჩასმულ თვლებში), ერთხ მათგანი შემოკლებით—*ZVX* („მცხეთა“ : 25, 42, 68), არამეული წარმოშობის სიტყვაა. იმავე ხანებში ბერძნულად დასტურდება არამეული წარმოშობის ზეორე საკუთარი სახელიც, ასევე პიტიახშის მიმართ ხმარებულ: ბერსუმა პიტიახში. იგი გვხვდება იმავე არმაზისხევის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ლანგარზე გაკეთებულ ბერძნულ წარწერაში (*Βερσυμα*) („მცხეთა“ : 52—53), რაც თავის დროზე შენიშნა გ. წერეთელმა [Церетели 1948 : 50]. „ბერსუმა“ უნდა მოდიოდეს არამ. *bar šawmā*-საგან (ზუსტ. „ძე მარხვისა“), რაც სირიულ წყაროებში საკმაოდ ცნობილია. [შდრ. Nyberg 1946 : 232]. სათანადო ტექსტის რუსულ თარგმანში გ. წერეთელი „ბარსუმას“ წერს: «Я, царь Флавий Дадес, подарил питиахшу Барсума», (იქვე). საყურადღებოა, რომ იმდროინდელ ქართულ სამყაროში (I—IV სს.) სახელი „ზევახ“ საკმაოდ პოპულარული ჩანს საზოგადოების მაღალ ფენებში ყველა ხსენებული „ზევახ“ არ არის იდენტური: ისინი სხვადასხვა ხანას განეკუთვნებიან. ყოველ შემთხვევაში ასე ითქმის მონოლინგვასა და ბი-

ლინგვის ზევახზე (I და II სს.). შესაძლებელია საქმე გვექონდეს მესამე ზევახთანაც (შდრ. „მცხეთა“ : 42). გ. წერეთლის ვარაუდით, გემმაზე, რომელზეც გამოსახულია ქალისა და მამაკაცის პორტრეტები, შეუძლებელი: არ არის, იყოს მოცემული იგივე „ზევახი“, რაც ბილინგვაშია, II ს. [ლინგვა : 34].

ამრიგად, სახელი „ზევახ“ ქართულში შემოვიდა ზეპირი გზით, რაც ზუსტად აისახა არამეულ და ბერძნულ ტექსტებში როგორც არამეული და ბერძნული ტრანსკრიფცია უკვე ქართული სახელისა. (სხვაგვარი, მათ შორის ირანულ ნიადაგზე, მისი ახსნა საკითხის გაბუნდოვნებას იწვევს და სიტყვის ეტიმოლოგიის მარტივ და აშკარა ახსნას სცილდება). ასეთი რამ შესაძლებელია, პირველ რიგში, იმ შემთხვევაში, როდესაც ბილინგვის ტექსტების დამწერი ქართველია. (ეს ფაქტი სხვა მომენტებითაც დასტურდება. ამაზე ქვემოთ). რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ „ზევახ“ უცხოური გადმოცემაა „ჯევახ“/„ჯავახ“ საკუთარი სახელისა (რომელიც პ. ინგოროყვა:ათვის არის გვიანდელი ფორმა ქართ. „ჭევახოსისა“) [ინგოროყვა 1941 : 423], როგორც ამას მართებულად შენიშნავს გ. წერეთელი, სწორი არ არის [ბილინგვა : 19]. გ. წერეთლის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს „ჯავახ“-ის წინააღმდეგ არ ეთანხმება ა. ფრეიმანი. გ. წერეთლის აზრით, ქართული აფრიკატი „ჯ“ ღნდა გადმოცემულიყო ემფატიკური & ასოთი, როგორც ეს გვაქვს ჩრდ. სემიტურში ასეთ შემთხვევაში. აქ კი „ჯ“-ს ნაცვლად „ზ“ ასოა. ეს იქნებოდა ასე,—შენიშნავს ფრეიმანი, — დამწერი რომ არამეული ყოფილიყო და არა ბერძენიო [Фрейман 1946 : 160]. რამდენადაც ბერძნულში „ჯ“ ბგერა არ არის, დამწერმა იგი წარმოადგინა სათანადო სიბილანტით („ზ“) (იქვე). მაგრამ აქ ორი გარემოებაა გასათვალისწინებელი: 1) ასეთივე $zywh$ გვხვდება ერთი საეკუნით ადრე დაწერილ ტექსტშიც (მაშინაც ბერძენი წერდა?) და 2) დამწერი უფრო ქართველი ჩანს, ვიდრე ბერძენი, როგორც ამას სხვა მკვლევარებიც შენიშნავენ. სამწუხაროდ, როგორც ვთქვამთ, ეთიმოლოგია სახელი („ჯავახ“ და „ზევახ“) გაიგივებული გვხვდება (შდრ. „არამაზისხევი“ [ქსე, I : 576]). ამ სახელთა გაიგივების მცდარობა კარგად გვიჩვენა გ. წერეთელმა. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ „ჯავახ“-ის ეტიმოლოგია ჯერ კიდევ გაურკვეველია, მაშინ როცა საქ. სახელი „ზევახ“ ცნობილია სემიტურ სამყაროში, მას თავისი ეტიმოლოგია აქვს და საკითხის გართულებას აზრი არ აქვს.

6) $qlyl$. სიტყვა $qlyl$ ბილინგვის არამეულ ტექსტში ერთხელ გვხვდება შემდეგ კონტექსტში: $zywh qlyl bthz zy prsmn$ (სტრ. 2). $qlyl$ არამეულში ძირითადად „მსუბუქს; მცირეა“ ნიშნავს. გვაქვს შემთხვევები მისი ხმარებისა „უმცროსი“ ნიშნავლობით, რაც დამაჯერებლად დასაბუთებულია გ. წერეთლის მიერ: „უმცროსი ძმა“ [ბილინგვა : 19—20].

პარალელურ ბერძნულ ტექსტში *qlyl*-ის შესატყვისია *ყაჲჲჲჲ*: (*Zḡiṣḡ-χῶα τῶα ყაჲჲჲჲ πῶρḡḡḡḡ*, სტრ. 2), რაც, პირველყოფლიაა, „ახალგაზრდას“ ნიშნავს და ასეთი მნიშვნელობით კიდევ გვხვდება ამავე ტექსტში ქვემოთ (სტრ. 8). მაგრამ, ამასთანავე, „უმცროსის“ მნიშვნელობაც არ არის მისთვის უცხო, რაც „არმაზის ბილინგვის“ ავტორმაც ნათლად გვიჩვენა [ბილინგვა : 20]. რაც შეეხება ბერძნ. *ყაჲჲჲჲჲ*-ის ხმარებას მისი ძირითადი მნიშვნელობით („ახალგაზრდა“), იგი გვხვდება ტექსტში იმ ადგილას, სადაც საუბარია სერაფიტის ასაკზე: *ḡḡḡḡḡḡ ყაჲჲჲჲჲ ḡḡḡḡ K'A* „გარდაიცვალა ახალგაზრდა 21 წლისა“ [ბილინგვა : 17] (ს. ყაუზჩიშვილთან: „ჭერ კიდევ ახალგაზრდა“, იქვე, შენ. 4). ამ სიტყვის შესატყვისი, როგორც ამას სწორად შენიშნავს გ. გიორგაძე, პარალელურ არამეულ ტექსტში არ ჩანს [გიორგაძე 1986 : 157—158].

დაუტყობნდეთ არამეულ *qlyl*-ს. მისი გაგება როგორც „მცირისა“, დავას არ იწვევს. გ. წერეთლის მიერ მოტანილი ყველა მაგალითი *qlyl*-ის შინაარსის დასაზუსტებლად მიუთითებს ასაკით პატარაზე, უმცროსზე, ახალგაზრდაზე, რაც ბერძნულ *ყაჲჲჲჲჲ*-ს შეესატყვისება. *qlyl*-ის აღნიშნული მნიშვნელობებიდან გ. წერეთელს გამოჰყავს „უმცროსი“/„მცირე“ რანგის თვალსაზრისით. (არამეული ტექსტი გამორიცხავს მოცემულ ადგილას *qlyl*-ის გაგებას როგორც ასაკის გამომხატველი სიტყვისას. იგივე ითქმის ბერძნულ პარალელურ ტექსტში სათანადო ადგილას დაწერილი *ყაჲჲჲჲჲ*-ის მიმართაც). და თუ ეს ასეა (ე. ი. *qlyl* და *ყაჲჲჲჲჲ* ნიშნავს „მცირეს“ არა ასაკით), მაშინ აქ შეიძლება დავადასტუროთ ტექსტების დამწერის ენის, კერძოდ, ქართული ენის გავლენა არამეული თუ ბერძნული ტექსტის წერის დროს, რამდენადაც სიტყვა „მცირე“ (ისევე როგორც სიტყვა „დიდი“) იხმარება ორსავე შემთხვევაში: ასაკის მიმართაც და მის გარეშეც (შდრ. „დიდი ძმა“ და „დიდი მეფე“). (ეს ახსნიდა ბერძნული *ყაჲჲჲჲჲ* სიტყვას ხმარებას ორი განსხვავებული მნიშვნელობით ერთსა და იმავე ტექსტში: „ახალგაზრდა“ და „მცირე“).

გ. წერეთლისათვის „მცირე“ პიტიახშს ეკუთვნის, მისი მსაზღვრელია. ამრიგად, წინადადებას „*zywḡ qlyl bḡḡ zy prsmn mlk*“ იგი ასე თარგმნის: „ზევახი—ფარსმან მეფის მცირე პიტიახში“ (ტექსტში ეს სიტყვა ნათესაობით ბრუნვაშია მოცემული: „ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა“ [ბილინგვა : 16]). ასევე ამ ტექსტის თარგმანი, რომელიც გ. წერეთელმა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გამოაქვეყნა [ქსე, I : 576]. ასევე თარგმნის ამ ადგილს ჰ. ნიუბერგი („*Zēvax. le petit bitaxš du roi Farsman*“ [Nyberg 1946 : 235]), რომელიც მოცემული ტექსტის ყოველ სიტყვაში ფალაურ იდუგოგრამას ხედავს (შდრ. იქვე : 236—241) და ხსენებულ ადგილს კითხვლობს როგორც *zēvax, kas bitaxš*. აქ დავას იწვევს არა ცილკეული სიტყვების თარგმანი, არამედ

მსაზღვრელი qlyl-ის დაკავშირება მომდევნო bḫḫ-თან როგორც საზღვ-
 რულთან (qlyl bḫḫ—„მცირე პიტიახში“). საქმე იმაშია, რომ წინადადე-
 ბაში zywh qlyl bḫḫ zy prsmn სიტყვა qlyl უსწრებს bḫḫ-ს, რაც
 არამეული ენის თვალსაზრისით მიუღებელია. აქ მსაზღვრელი ენდა მო-
 სდევდეს საზღვრულს. მაშინადად, რომ გვექონოდა „მცირე პიტიახში“,
 ტექსტში უნდა ყოფილიყო bḫḫ qlyl (ე. ი. zywh bḫḫ qlyl zy prsmn
 mlk)—„ზევას, მცირე პიტიახში ფარსმან მეფისა“. სწორედ ამიტომ შე-
 ნიშნავს თვით გ. წერეთელი (რომელიც დარწმუნებულია, რომ qlyl პი-
 ტიახშის ეპითეტია): „ატრიბუტის მოთავსება საზღვრულს წინ (qlyl
 bḫḫ) უცნაურია სემიტური გრამატიკის თვალსაზრისით“ [ბილინგვაი 28].
 ეს ფაქტი მას მიიჩნია ტექსტის ენის არამეულობის საწინააღმდეგოდ
 (იქვე). სხვა ასეთი შემთხვევა (თანამიმდევრობა: მსაზღვრელი—საზღვრუ-
 ლი) არმაზის ტექსტებში, არ გვხვდება, დაუღლია არამეულისათვის დამა-
 ხასიათებელი სიტყვათა წყობა და, ვფიქრობთ, არც არის იგი დარღვე-
 ული. ამრიგად, სიტყვა qlyl ეკუთვნის წინამავალ სიტყვას — ზევას
 (zywh) და, თუ ეს ასეა, აქ გვაქვს არა „მცირე პიტიახში“ (bḫḫ qlyl),
 არამედ „ზევას მცირე“ (zywh qlyl) (შდრ., მაგალითად, „ეურემ მცირე“,
 ასევე „ფარსმან ქელი“, „მურვან ყრუ“, „სეიმონ მევეტე“ და სხვ.
 მისთ., სადაც ანალოგიურ შემთხვევაში აგრეთვე მსაზღვრელი მოსდევს
 საზღვრულს, როგორც ეს ძველი ქართულიათვისაა დამახასიათებელი).
 ამდენადვე, qlyl bḫḫ არ არის გამართლებული არც დამწერის მშობლი-
 ური ენის თვალსაზრისითაც. „ზევას მცირე“ (ან „ზევას უმცროსი“)—ასე
 კითხულობენ ზემოაღნიშნულ ტექსტს სხვა სემიტოლოგებიც. ჯერ კიდევ
 მეცადონი აღნიშნავდა, რომ მსაზღვრელი qlyl, რომელიც ეკვივალენტია
 ბერძნ. ὁ νεώτερος-ისა, ეკუთვნის ფილიაციას და არა მომდევნო ტიტულს;
 [Melzger 1956 : 22]. დონეტი და როელიგი არმაზის ბილინგვის არამეული
 ნაწილის კომენტარში qlyl-ის მიმართ შენიშნავენ, რომ ატრიბუტი
 ეკუთვნის არა მომდევნო ტიტულს (პიტიახშს), არამედ წინამავალ სახელს
 [KAI, II : 329]. იმავე გზვდებით გრელოსთან: zewah le jeune [Grelot
 1958 : 13]. ასე ეამის ხანებული შესიტყვება ა. ფერისხანიანსაც, რომე-
 ლაც შენიშნავს, რომ სხვა შემთხვევაში (ე. ი. qlyl-ის bḫḫ სიტყვასთან
 დაკავშირებისას) იძულებული ვიქნებით დავეშვათ ძალდატანება (натяж-
 ка) როგორც არამეულში, ისე ბერძნულ ტექსტში [Перханий 1964 :
 134, შენ. 26; შდრ., ასევე, Tord 1943 : 84]. ამას მხარა უქერა არმა-
 ზის ერთენოვანი წარწერა (მონოლინგვა), სადაც ასევე გვხვდება საკუთა-
 რი სახელი „ზევას“ (zywh), რომელსაც ახლავს მსაზღვრელი rb (rab)
 „დიდი; უფროსი“ (გ. წერეთელი rb-ის მომდევნო სიტყვას კითხულობს
 როგორც wnyu და აერთიანებს მას წინამავალ rb-თან, რის შედეგადაც
 იღებს სიტყვას rbwny, ეს უკანასკნელი კი <rbwn + მრ. რ-ის დაბო-

ლოება -yn (-in). შდრ. იუდეურ-არამეული ribbōn, მრ. რ. ribbōnā „ბატონი, უფალი“ [Levy 1959 : 401], რასაც თარგმნის როგორც „უფალი“ [ბილინგვა : 42—43]. და შემდეგ: „მაგრამ ამ მრავლობითი ფორმის გამოყენება მამაკაცის სახელის ზევახის მიმართ მოწმობს, რომ მრავლობითი აქ ნახმარია ვითარცა pluralis majestaticus, ხოლო თვით სიტყვა წარმოადგენს ტექნიკურ ტერმინს, რომელიც გარკვეულ სოციალურ ან პოლიტიკურ ინსტიტუტს აღნიშნავს.“ (იქვე : 43). იქვე მითითებულია მრ. რ-ის ფორმა rb სიტყვისაგან (lbჟი და rbჟი), რომელიც იხმარება იდეოგრამად ირან. vuzurgān-ისათვის (გ. წერეთელთან: vazurkān) (პართ. RBჟი და ფალ. LBჟი), მაგრამ საშუალო ირანულში იდეოგრამად აღებულია ნხ. რ-ის ფორმა rb, მრ-ის ფორმანტი კი საკუთარი—ირანულია -xn [შდრ. Gignoux 1972 : 26, 62; ბილინგვა : 53]. მაშასადამე, rbwnyn-ს ვერ განვიხილავთ როგორც იდეოგრამას, შემოსულს სამ. ირანულიდან. და თუ ეს იდეოგრამა არ არის, მისი წარმოდგენა ზევახის ეპითეტად სიძნელეს აწყდება, რადგან იგი მრ. რ-შია („დიდები“). ვფიქრობთ, აქ მართებულია ალტჰაიმისა და შტილის წაკითხვა: zywh rb wkyh, ე. ი. w-ს შემდეგ ასო k გვაქვს და არა n (მათი აღრევა არამეულ წარწერებში, მათ შორის არამაზულშიც აღვილია, ისინი ხშირად იდენტურად იწერება. შდრ. ბილინგვაში hbyk და hbyyn წაკითხვები, სტრ. 7 [გორგაძე 1986 : 155—156]). და თუ ეს ასეა, არმაზის მონოლინგვაში მე-2 სტრიქონში გვაქვს zywh rb, ხოლო მომდევნო სიტყვა wkyh („ასე, ამგვარად“) იწყებს ახალ წინადადებას. (ამაზე უფრო დეტალურად ცალკე იქნება საუბარი არმაზის მონოლინგვის წაკითხვა-განხილვისას). ამრიგად ჩვენ გვაქვს ზევახის სახელის ორი სხვადასხვა ეპითეტით ხმარება: zywh qlyl (ბილინგვა)—„ზევახ მცირე“ და zywh rb (მონოლინგვა)—„ზევახ დიდი“,—ამბოლტურად გამართული არამეული შესიტყვებანი! საყურადღებოა, რომ zywh rb („ზევახ დიდი“) უსწრებდა zywh qlyl-ს („ზევახ მცირე“). (როგორც ეს გ. წერეთელმა დაადგინა, არმაზის მონოლინგვა ახ. წ. I ს-ისაა, ხოლო ბილინგვა— II ს-ისა). ეს ლოგიკურითაა. გვაქვს ჯერ „ზევახ დიდი“, ხოლო შემდეგი ზევახი (ასევე პიტიახში) უკვე „ზევახ მცირე“. რაც შეეხება წოდებისა თუ თანამდებობის მიმართ „მცირეს“ (ან „უმცროსის“) ხმარებას, ეს ნაკლებად დამაჯერებელია. გვაქვს „დიდი მეფე“, მაგრამ არ არის „მცირე (პატარა) მეფე“, „დიდი ვეზირი“, მაგრამ არ არის „მცირე ვეზირი“ და ა. შ. ამისავე სასარგებლოდ მეტყველებს გ. წერეთლის მიერ მოტანილი საბუთები იმისა, რომ სომხურ საიტორიკო წყაროებში დადასტურებულია „დიდი იშხანი“ თუ „დიდი პიტიახში“, მაშინ როცა „მცირე იშხანი“ და „მცირე პიტიახში“ დადასტურებული არ არის [ბილინგვა : 36—37]. ეპითეტი „დიდი“ თავისთავად გამოჰყოფს მის მატარებელს სხვა ანალოგიური რანგის მატარებლებსაგან. ამასთან

დაკავშირებით მ. ტოლა თავის რეცენზიაში გიორგი წერეთლის „არმაზის ბილინგვაზე“ აღნიშნავს, რომ ბერძნ. *νεώτερος* სიტყვის ხმარება ტიტულთან ძველ მსოფლიოში მიწათვის უცნობია და უჩვეულო. ამასთანავე, ბერძნ. *νεώτερος* არ არის შინაარსით ოპოზიციაში ბერძნ. სიტყვისა *μύθος* „დიდი“ [Tod 1943 : 84]. ამრიგად, ასეთი ტრადიცია არ არის ცნობილი, მაშინ „ოცა საკუთარ სახელთან ორივე ეპითეტი („მცირე“ და „დიდი“) გვხვდება, როგორც ეს ზემოთ ითქვა. საქართველოში (იბერიაში) I—II სს-ში ზევახის სახელს ატარებს ორი პიტიახში, აქედან ერთი (უფრო ადრეული)—„ზევახ დიდი“, მეორე კი (ქრონოლოგიურად შემდეგი)—„ზევახ მცირე“. (ადვილად შესაძლებელია, ორივე ზევახი ერთ გვარს ეკუთვნოდა, ევების „ზევახ მცირე“ „ზევახ დიდის“ შთამომავალიცაა, ძე შარგას პიტიახშია და მამა სერაფიტის. მაშინ კიდევ უფრო გასაგებია, რომ უკვე არსებული ზევახ დიდის შთამომავალს ზევახ მცირე ეწოდა). ანალოგიური სურათი უნდა იყოს სათანადო ბერძნულ ტექსტში. ც. შდრ. *zywh̄ qlyl bñš zy prsmn* და ბერძნ. *Ζηουάχου του νεώτερου πιτιάξου*. მ. ტოდის მიხედვით, აქ *του νεώτερου* წინამავალი სახელის *Ζηουάχου*-ს მსაზღვრელია. აქედან თარგმანია: „სერაფიტი, ასული უმცროსი ზევახისა, პიტიახშია“ („Serapitis, daughter of the Younger Zewah, pitiahs“, Tod 1943 : 84). აქვე აღნიშნულია, რომ ბერძნული ტერმინი ზუსტად ნიშნავს „უფრო ახალგაზრდას“ (= უმცროსი) და ჩვეულებრივ ორიდან ერთზე მიუთითებს, უმეტესწილად ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს მამა და ძესთან, რომელნიც ერთსა და იმავე სახელს ატარებენ (ასეა ეპიგრაფიკაშიც და ლიტერატურაშიც). ამრიგად, ბერძნულ ტექსტშიც საუბარია მხოლოდ პიტიახში ზევახ მცირეზე—„ზევახ მცირე პიტიახში“ (ვამოტოვებულია, თუ ვისი პიტიახშია). თუ მოტანილ ბერძნულ წინადადებას შევადარებთ გ. წერეთლის მიერ მოტანილ ადგილს ბიბლიიდან: *Kal tñ dñšlphñ ñmñ tñ νεώτερου „ძმა თქვენი უმცროსი“*, სადაც მსაზღვრელი უმცირებს საზღვრულს, ან ბერძნულ წინადადებას—*Δεμητριού τιν ἀποθαύοντος ἀβελφᾶς „მკვდარი დემეტროსის ძმა“* (EG: 252, II—III სს.), მაშინ ბერძნ. *Ζηουάχου τῆς νεώτερου* თავისუფლად შეიძლება ვავაგოთ როგორც „ზევახისა მცირისა, პიტიახშია“. ამდენად, ის გარემოება, რომ მამრ. სქიზის სახელის არტიკლის ნათესაობითის ფორმა *του* დგას *Ζηουάχου*-ს შემდეგ *νεώτερου*-ს წინ, არ უშლის ხელს ბერძნული შესიტყვების უკანასკნელ გაგებას („ზევახისა მცირისა“). შდრ. ევროპულ ენებში ასეთ შემთხვევაში არტიკლის ხმარება საკ. სახელის შემდეგ მსაზღვრელი „დიდის“ წინ იხვ. Alexander the Great, გერმ. Alexander der Große „ალექსანდრე დიდი“, თუმცა der große Bär „დიდი დათვი“. მართალია, როგორც ს. ყაუხჩიშვილი, ისე ა. შანიძე ბერძნული ტექსტის თარგმნისას ხსენებულ შესიტყვებაში *νε-*

ἄταρσος სიტყვას წარმოგვიდგენენ როგორც „პიტიაზმის“ მსაზღვრელია
 „ახლანდელი პიტიაზმი“ (ს. ყაუხჩიშვილი), „ახალი პიტიაზმი“ (ა. შა-
 ნიძე), მაგრამ რა უშლის ხელს ἄταρσოს დაუეკავშიროთ „ზევას“?
 ბერძნულში ეს შეუძლებელი არ უნდა იყოს, როგორც ეს ზემოდანაც
 ჩანს. შეიძლებელია იგი მივიღეთ ქართულია და არამეულის გავლენი-
 თაც, რამდენადაც ამას მხარს უჭერს როგორც არამეული სინტაქსი, იქ
 ძველი ქართული. სხვაგვარი ვითარება ჩანს იმავე ბილინგვის ტექსტში
 ანალოგიურ შესიტყვებასთან (სტრ. 6—7): βασιλέως Ἰβερων μεγαλο-
 Νηφασίου, რასაც ს. ყაუხჩიშვილი თარგმნის როგორც „იბერთა მე-
 ფისა ქსეფარნუგ დიდისა“ [ყაუხჩიშვილი 1941 : 175], თუმცა გ. წერეთ-
 ლისათვის აქ არის „ივერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის“ [ბილინგვა:
 17]. (შდრ. τὸν μεγάλου βασιλέως Ἀρμενίας „არმენიის დიდი მეფისა“,
 ნაკში რუსტამის ტრილინგვა, ბერძნული ტექსტის სტრ. 41 [Периоха-
 ния 1964 : 126]). საინტერესოა, რომ მის შესატყვის არამეულ ტექსტ-
 ში „დიდი მეფე“ არ არის; არ არის არც „დიდი ქსეფარნუგი“ [ბი-
 ლინგვა : 16]. ამდენად, აქ ბერძნული ტექსტი არამეულით შეზღუ-
 დული არ არის და მსაზღვრელი „დიდი“ იქ გვხვდება, სადაც ბერძნუ-
 ლისათვის უფრო ჩვეულებრივია საზღვრულის წინ, თუმცა ამ ხანის
 ბერძნულისათვის არც პირუკუ დალაგებაა უცხო (შდრ. ზემოთ).

„ზევას მცირესთან“ დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც,
 რომ არამეულ წარწერებში (მაგალითად, პალმირულში) მსაზღვრელი
 რხ ხშირად გვხვდება პიროვნების სახელწოდების შემდეგ; (C1qB რხ) „ათა-
 კაბ დიდი“ [Ephemeris, III : 152], და სხვ. იგივე რხ საკუთარ სახე-
 ლებთან გვხვდება ბევრად უფრო ადრეც; bC1omyu რხ „ბეელშემინ
 დიდი“, ძვ. წ. V ს. [CAH : 236, Lidzbarski 1962 : 64].

7) ბქჰ. სიტყვა ბქჰ (სტრ. 2), როგორც ამას შენიშნავს გ. წერე-
 თელი [ბილინგვა : 20], ქართული წყაროებიდან კარგად ცნობილბ ტერ-
 მინია—„პიტიაზმი“, რომლის შესატყვისია იმავე არმაზში აღმოჩენილი
 აზუშას ბექდისა და გემმების წარწერების πικρέης (მაგალითად, „ასპა-
 რუკ პიტიაზმი“ გემმაზე, „ბერსომა პიტიაზმი“ ვერცხლის პინაკზე და
 სხვ.). გ. წერეთელი მოაქვს ამ ტერმინის ბერძნული, ლათინური, სირიული,
 სომხური და არაბული შესატყვისები [ბილინგვა : 20—21]. ხაზგასმით
 არის აღნიშნული, სავსებით მართებულად, რომ ქართ. „პიტიაზმის“
 იდენტურია ამ ტერმინის უფრო ძველი ფორმა pϋtḥz, რომელიც არმაზის
 ერთენოვან არამეულ წარწერაში გვხვდება. იქვე აღნიშნულია, რომ ბო-
 რის პინაკის წარწერაში დადასტურებულ bytḥz სიტყვაში გადმოცე-
 მულია ყველა ბმოვანი [შდრ., ქსევე, Церетели 1948 : 55]. სპეცია-
 ლურად ჩერდება გ. წერეთელი ამ ტერმინის მნიშვნელობასა და ეტიმო-
 ლოგიაზე (იქვე : 34—42). ქართ. „პიტიაზმში“ იგი ხედავს არმენიზებულ-

ფორმას სპარსული ტერმინისა, რომელიც შედგება სიტყვებისაგან *pař* „თავი“ და *saš*. სპ. *xšahr* (ახ. სპ. *šahr*) > სომხ. *ašxarh* „ქვეყანა“, იზაფეთის *i* ნაწილაკით მით შორის [ბილინგვა : 39], რაც ქართულ „ერისთავს“ შეესატყვისება (იქვე : 40). ამ ეტიმოლოგიას იზიარებს ვ. აბავეცი [აბავეცი 1944 : 822]. ეს ეტიმოლოგია („თავი ქვეყნისა“) ფრეიმანს არ მიაჩნია დამაკმაყოფილებლად. ის ფიქრობს, რომ „პიტიახში“ ნასესხებია არა სპ. სპარსულიდან, სადაც ახ. წ. III ს. *bišaxš* გვაქვს, და არც ქართულ ხანაში. მისი აზრით, იგი ნასესხები უნდა იყოს უფრო ძველ, აქემენიანთა ხანაში (< ძვ. ირან. ზმნა *pati-aaxš* „დაკვირვება“, სადაც *pati* ცნობილი ინდო-ირანული თავსართია) [Фрейдман 1946 : 162—163]. აქ საყურადღებოა ა. ფრეიმანის შენიშვნა, რომ სპ. ირანული ამ ტერმინს იცნობს ქართული, სომხური, ბერძნული და ლათინური წყაროებით საქართველოსა და სომხეთის მიმართ (იქვე : 163). ამასვე შენიშნავს ვ. აბავეცი. მისი თქმით, ტერმინი „პიტიახში“ სპარსულ ნიღაღზე იშვიათად იხმარება და, უმთავრესად, ამიერკავკასიისა და არა ირანის მმართველთა მიმართ—*peti-ašxarh* „თავი ქვეყნისა“, = ქართ. „ერისთავი“ (აბავეცი 1944 : 822). დონერსა და როელიგს მიაჩნიათ, რომ ბილინგვის *bēhš* წარმოადგენს ბერძნ. *παρδαξη*-ის (= სპ. *pali-xšayašiya* „მეფის ნაცვალი“) ტრანსკრიფციას [KAI, II : 329]. მ. ანდრონიკაშვილი განიხილავს რა ამ ტერმინის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, მას უტოლებს სპ. სპარსულ *patixšāh*-ს [ანდრონიკაშვილი 1966 : 215]. ჩვენი თვალსაზრისით, მოცემული ტერმინის ბილინგვის ფორმა, ასევე მონოლინგვისა, წარმოადგენს ქართულში შემოსულა სიტყვის ტრანსკრიფციას, რაც კიდევ უფრო ზუსტად, ყველა ხმოვნის ჩვენებით, უფრო გვიანდელი ბორის პინაკის წარწევაში დასტურდება. თვით ბერძნული *παρδαξη* ქართულში დამკვიდრებული ტერმინის ტრანსკრიფციას უნდა წარმოადგენდეს და არა პირიქით, როგორც ამას დონერი და როელიგი ვარაუდობენ, რადგან ამათ შემთხვევაში ბერძნული ტრანსკრიფცია პირველ რიგში თანხმონებებში აისახებოდა (გვეჩვენებოდა: „პიტიაქს“ ან „პიტიახს“).

8) *prsmn* (სტრ. 2) — მამაკაცის საკუთარი სახელია ირანული წარმოშობისა, ქართ ფარსმან, სომხ. *Փարսման*, ბერძნ. *Φαρσαμάνης*, *Φαρσαμάνης*, სირ. *prsmn* [ბილინგვა : 21], *KAI, II : 311*). გვხვდება არმაზის ერთენოვან წარწერაშიც. ორივეგან იგი მეფედ მოიხსენიება: ერთენოვან წარწერაში იგი „დიდი მეფეა“ (*prsmn mlk rb*, სტრ. 1), ბილინგვის არამეულ ტექსტში იგი მხოლოდ მეფედაა მოხსენიებული (*prsmn mlk*, 2-ჯერ: სტრ. 2-3, 7). ეს მეფეები სხვადასხვა ხანაში მეფობენ: *prsmn mlk rb* (ფარსმან დიდი მეფე) — ახ. წ. I ს., *prsmn mlk* (ფარსმან მეფე) — II ს. ამ უკანასკნელს გ. წერეთელი თვლის დიონ კასიოსის „ფარსმან იბერიელად“, რომელიც რომის იმპერატორის ადრიანეს

(117—138 წწ.) და იმპერატორ ანტონინის (138—161 წწ.) თანამედროვეა და მოხსენიებულია 1867 წელს მცხეთაში აღმოჩენილ ბერძნულ წარწერაში [Церетли 1948 : 49—50, ბილინგვა : 33—34]. მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვას ქართულ ტექსტში ფარსმან მეფე ორჯერ მოიხსენიება, მის პარალელურ ბერძნულ ეპიტაფიაში ფარსმანი არცერთხელ არ გვხვდება. გ. გიორგაძე შენიშნავს, რომ *prsmn* (ე. ი. ფარსმან) ნაცვლად ირანული *przmn*-ისა (ფარზმან) „ძალზე გავრცელებული ფორმაა ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში („ქართლის ცხოვრება...“ [გიორგაძე 1986 : 157]. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ეს ზემოდანაც ჩანდა, „ფარსმან“ გვაქვს სომხურ და სირიულ წყაროებში, „ს“ თანხმოვანია ბერძნულშიც. ბილინგვის „ფარსმანი“ გიორგაძეს, გ. წერეთლის მსგავსად, მიაჩნია „ფარსმან იბერიელად“, „ფარსმან ქველად“ (იქვე : 158).

არმაზის წარწერების მიხედვით კარგად ჩანს ფარსმან მეფის ადგილი იბერიის სამეფო დინასტიის გენეალოგიურ სქემაში. როგორც ვნახეთ, წარწერებში ორი ფარსმანია: „ფარსმან დიდი მეფე“ და „ფარსმან მეფე“. ამასთანავე, ორივეს ჰყავს პიტიახში, სახელად ზევახი. ერთი მათგანი, რომელიც ფარსმან დიდი მეფის პიტიახშია, „დიდ ზევახად“ იწოდება. მეორე — „ფარსმან მეფის“ პიტიახში — „ზევახ მცირედ“. ამ ორ ფარსმანს შორის დაახლოებით ერთი საუკუნეა სხვაობა (ახ. წ. I და II სს.). წარწერები ამ მეფეთა და მათ პიტიახშთა ურთიერთმიმართებასაც წარმოგვიდგენენ: ფარსმან I-ისა (პირობით ასე აღვნიშნოთ I ს-ის ერიენოვანი წარწერის „*prsmn mlk rb*“) და ფარსმან II-ს (ბილინგვის „*prsmn mlk*“) შორის იბერიას მართავდა მიჰრდატი (ძე ფარსმან I-ისა), შდრ. მონოლინგვის *mhrdṭ mlk rb brh zy prsmn mlk rb* — „მიჰრდატ დიდა მეფე ძე ფარსმან დიდი მეფისა“. მიჰრდატის ძე უნდა იყოს ფარსმან II (?). პაპასა და შვალიშვილს ერთა სახელი — ფარსმანი ჰქვიათ, აქედან პირველი (პაპა) — „ფარსმან დიდ მეფედ“ მოიხსენიება, მეორე კი — მხოლოდ „მეფედ“ („დიდისა“ გარეშე). ანალოგიური სურათი უნდა გვქონდეს პიტიახშებთანაც: და თუ ეს ასეა, მაშინ ზევახ I, „დიდ ზევახად“ წოდებული, პაპაა ზევახ II-ისა, რომელიც ბილინგვაში „ზევახ მცირედ“ იწოდება, მათ შორისაა შარგას თუ შარაგას (*šrgs*) პიტიახში, ძე ზევახ დიდისა და მამა ზევახ მცირისა.

ზემოაღნიშნული სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

ფარსმან I (ფარსმან მეფე დიდი)

prsmn mlk rb



მიჰრდატ (მიჰრდატ მეფე დიდი)

mhrdṭ mlk rb



ფარსმან II (ფარსმან მეფე)

prsmn mlk

ზევან I (ზევან დიდი)

zywḥ rb



შარგას

šrgs



ზევან II (ზევან მცირე)

zywḥ qlyl

(შდრ. ანალოგიური სქემა ალტაიმთან და შტილთან: Altheim/Stiehl 1961: 175).

9) mlk სიტყვა ბილინგვაში 3-ჯერ გვხვდება (სტრ. 3, 5, 7), სამ-ჯერვე უარტიკლოდ. ერთენოვან წარწერაში mlk 4-ჯერ არის მოცემული (სტრ. 1, 2, 6), აქაც უარტიკლოდ, აქედან 2-ჯერ როგორც „დიდი მეფე“: mlk rb (mhrdṭ mlk rb, სტრ. 1, prsmn mlk rb, სტრ. 1) საინ-ფორმალა, რომ ამავე წარწერაში მიჰრდატი პირველად მოხსენიებისას მოცემულია როგორც „დიდი მეფე“, განმეორებით მის დასახელებისას კი იგი მხოლოდ „მეფეა“ ([mh]rdṭ m[lk], სტრ. 2; myhrdṭ mlk, სტრ. 6). ასეთ შესიტყვებაში (prsmn mlk და მისთ.), ცხადია, არამეული ზგამა-ტიკის შექაბამისად, უნდა ყოფილიყო prsmn mlk² (Parsman malkā) (შდრ. ბილინგვა: 28), სადაც ბოლოკიდური -ā სახელთან მის განსაზღვ-რულ მდგომარეობაზე მიუთითებს (ე. წ. status emphaticus) და აქ გან-საზღვრულ არტიკლად გვევლინება, შდრ, მაგალითად, აერომანის ტექსტ-ში yrḥ „თვე“, krm „ვენახი“ [Боголюбов 1967, 126]. საყურადღე-ბოა, რომ უარტიკლოდ გვხვდება ეს სიტყვა იდენტურ შესიტყვებებში სხვა არამეულ წარწერებში მეზობელ სომხეთშიც: გარნის წარწერაში (mlk rb, wlg mlk — „დიდი მეფე“, „ვალგამ მეფე“). სევანის წარწერებში (სტელა № 1: ṛthšy mlk „არტარქსეს მეფე“ [Дьяконов/Старкова: 161], სტელა № 4: ṛq, და არა ṛq² „ქვეყანა“ [Тирация 1959: 89]. უფრო მეტიც, არმაზული სახელები არ იცნობენ სახელს status empha-ticus-ში (ერთადერთ გამონაკლისად მიიჩნევენ ḥbd სიტყვას, რომლის ბოლოკიდურ ალფეს (?) თვლიან არტიკლის ნიშნად. ვფიქრობთ, ეს ასე არ უნდა იყოს. (ამაზე ქვემოთ, სადაც საუბარია თვით ამ სიტყვაზე). ასეთ ფორმებს (mlk და მისთ.) ზოგიერთი სპეციალისტი status absolu-tus-ში (ე. ი. განუსაზღვრელ მდგომარეობაში) მდგომი სახელის ფორმე-ბად მიიჩნევს (შდრ. ბიბლიის არამეული: melek rb, Ez 5, 11, მაგრამ st. ernph. — ʾēlīhā rabbā, Ez 5, 8) და რომ ახსნას მისი განსაზღვრუ-

ლი მდგომარეობა, ე. ი. status emphaticus-ის ადგილას ხმარება ხსენებული ფორმისა, მათ იდეოგრაფიულად ვარაუდობს [შდრ. ბილინგვა: 21]. ამ ფაქტთან დაკავშირებით ი. კუჩერი და ი. ნავე აღნიშნავენ, რომ აღმოსავლურ არამეულში, რომელსაც უნდა განეკუთვნოს ჩვენი წარწერების ენა, სახელი გვხვდება არტიკლის გარეშე და ასკენიან: „უეკველია, იყო პერიოდი, როდესაც უარტიკლო ფორმებს უპირატესობა ეძლეოდა და მათ არათავის ადგილზეც ხმარობდნენ“ [Kutscher/Naveh 1970 : 311]. (ისმის კითხვა: ხომ არ იყო უარტიკლო ფორმები განსაკუთრებით ხმარებული. სასაუბრო არამეულის გავრცელების ფარგლებს გარეთ?). ერთი ცხადად გვეჩვენება, რომ mlk-ს ხმარების ხსენებულ შემთხვევებში საქმე გვაქვს არა mlk-ს status absolutus-ის ფორმებთან, არამედ status determinativus-ში ხმარებულ უარტიკლო (ა-დაბოლოების მოკვეცილ) სიტყვასთან. ეს კარგად ჩანს სხვა შემთხვევაშიც, რაზეც ქვემოთაა საუბარი. მ. ბოგოლიუბოვი არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტის განხილვისას აღნიშნავს, რომ არმაზის არამეული ეპიტაფიისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული არტიკლის გამოუხატველობა, რაც, მისი თვალსაზრისით, ამ ეპიტაფიას სახელმწიფო არამეულთან ააბლოებს [Боголюбов 1987 : 31]. აქ შეიძლება სათანადო მაგალითები მოგვეტანა სახელმწიფო არამეულიდან. მაგალითად, საკკარას (ეგვიპტე) პაპირუსი (ძვ. წ. VII—VI სს.), სადაც გვაქვს mr mlk „უფალი მეფეთა (ფარაონი)“. დონერი და როელიგი აქვე მიუთითებენ, რომ ეს არის st. abs. მოსალოდნელი st. emphaticus-ის ნაცვლად [KAI, II : 313].

10) ntt . სიტყვა ntt დამოწმებულია წარწერის მე-3-ე სტრიქონში: ntt zy ywdmngn „ცოლი იოდმანგანისა“. ntt „ქალი; ცოლი“. st. emphaticus-ი, რომელიც აქ მოსალოდნელი იყო, არის ntt , st. cstr. ntt -t, სადაც ბოლოკიდური t-ს სახით დაცულია მდებარეობითი სქესის საერთოსემანტიური დაბოლოება -t, st. abs. ntth . კლასიკური არამეული ენის თვალსაზრისით ხსენებულ გენეტიურ კონსტრუქციაში უნდა გვექონოდა: (1) st. cstr.-ის ფორმა უშუალოდ ywdmngn სიტყვის (საკუთარი სახელი იოდმანგანი) წინ (ntt ywdmngn) (შდრ. პალმ. nt hyrn „ხაირანის ცოლი“, Ephemeric, III 145), (2) st. emph.-ის ფორმა გენეტ. ნაწილაკის $\text{zy(z\bar{i})}$ -ს წინ: ntt zy ywdmngn , (3) კუთვნილებითი ნაცვალ-სახელური სუფიქსით იმავე zy -ს წინ: ntth zy ywdmngn . წარწერაში კი, როგორც დაინახეთ, არცერთი ეს კონსტრუქცია არ გვაქვს. იქმნება შთაბეჭდილება რომ წარწერაში მოცემულია სახელი „ცოლი“ st. cstr.-ში (ntt) და, ამასთანავე, მოხმობილია გენეტივის გამომხატველი სპეციალური ნაწილაკი $\text{zy(z\bar{i})}$. თუ შეიძლება ასე ითქვას, აქ გენეტიური კონსტრუქცია ორმაგად არის წარმოდგენილი (st. cstr. და ნაწ. zy). St.

cstr.-ში ვარაუდობს ამ სიტყვას გ. წერეთელი [ბილინგვა : 21], რომელიც შენიშნავს: „ყურადღებას იქცევს . . . st. cs.-ის ფორმები zy ნაწილაკის წინ (ꞑntt zy prsmn) და სხვ.“ [ბილინგვა : 28]. ასეთი კონსტრუქცია მას მიიჩნია ტექსტის ენის არამეზღობის საწინააღმდეგო საბუთად, რაც სხვა „დარღვევა“თან ერთად სვამს საკითხს: „იყო თუ არა დაწერილი არამეული ტექსტი განკუთვნილი იყო წასაკითხად, როგორც იგი ეწერა, თუ მის ქვეშ იგულისხმებოდა რომელიმე სხვა ენა?“ (იქვე). გრელოს აზრით, არმაზის ꞑntt ორთოგრაფიული ვარიანტია emph. ꞑntt ფორმისა. ამასვე აღნიშნავენ ჯანი და ჰოფციერა [DISO : 26]. და, მაშ, აქ, ამ მეცნიერთა აზრით, არა st. cstr., არამედ st. emph.-ი ივარაუდება (ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეციტ, რაც გრაფიკაშიც აისახა). St. cstr.-ის ფორმას ვარაუდობენ ხსენებულ სიტყვაში კუჩერი და ნავე, რომლებიც ცდილობენ ეს ფაქტი ახსნან: „როგორც ჩანს, ეს ხდება იმისათვის, რომ ფორმას მიენიჭოს უფრო არქაული სახე (როგორც ცნობილია, st. cs.-ის სფერო სულ უფრო ვიწროვდება)“ [Kutscher/Naveh 1970 : 312]. საყურადღებოა, რომ ზუსტად მოცემული კონსტრუქცია დამოწმებულია არებანუნის (კაბადოკია) ერთერთ წარწერაში, რომელიც ჩვენს ბილინგვაზე ბევრად ძველია (ꞑntt zy byl mlk) „ბელ მეფის ცოლი“, KAI, I : 51, ძვ. წ. II ს., KAI, II : 311). ალტჰაიმი და შტილი ანალოგიებს მიუთითებენ ელემენტის პაპირუსებში, სადაც აგრე „წერილი“, ჰრრტ „ძალა“, qblt „საჩივარი“ st abs.-ადაა გაგებული და, ამდენად, ꞑntt zy ywdmngn კონსტრუქციაშიც zy-ს წინ სახელს st. abs.-ში (განუთავსებელ მდგომარეობაში) ვარაუდობენ [Altheim/Stiehl 1959:251]. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მათი შენიშვნა: წარწერაში დაუბოლოებელი ფორმა მამრობითი სქესისაა, მდედრობითი სქესის სახელი კი ყოველთვის -t დაბოლოებით გვხვდება (იქვე). ამრიგად, ბილინგვის არამეულ ტექსტში სახელის სქესის თვალსაზრისით ასეთი ოპოზიცია დასტურდება: მამრ. -Ø: მდ. -t. მაგრამ ისმის კითხვა: ასე ყოველთვის, ყველა სტატუსში თუ ასეთი დაპირისპირება გარკვეული მდგომარეობისათვისაა დამახასიათებელი? მ. ბოგოლიუბოვიასთვის აქ st. emph.-ია და წესით იგი უნდა გადმოცემულიყო სიტყვის ბოლოს ა ასოთი (*bthჰ, *ꞑntt), მაგრამ ასე არ გვაქვს არცერთ შემთხვევაში, როდესაც გენეტიური კონსტრუქციაა zy ნაწილაკით. (ამაზე ზემოთ იყო საუბარი). მაგრამ „ორთოგრაფიის შესაბამისად, რომელსაც მისდევდა დამწერი, არტიკლის გრაფიკული გამოხატვა არ იყო წესად bthჰ zy prsmn, ꞑntt zy ywdmngn“ [Борисцов 1987 : 33]. შდრ. სახელმწ. არამ. ꞑntt, ꞑtt, ნაბატ. ꞑntt—st. cstr. (აქ st. cstr. გვხვდება st. emph.-ის ნაცვლად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს წარწერებში უპირატესობა ეძლევა უარტიკლო ფორმებს, მივიღებთ

antt<antt). აღსანიშნავია, რომ ბილინგვაში რელაც. ნაწილაკის zy-ს წინ-ყოველთვის გვაქვს st. cstr.-ის იდენტური ფორმა: bry zy, brty zy (იხ. გვ. 4).

11) ywdmngn (სტრ. 3), ბერძნ. Ἰωμυγανος (ნათ. ბრ.), მამაკ. საკ. სახელია, რომელსაც ქსევარნუგ მეფის დროს (II ს-ის მე-2-ე ნახ.?) ეზოსმოძღვრის (ძვ. ქართ. „ეზოსმოძღვარი“), ბერძნ. Ἐπιποιου-ის თანამდებობა უკავია (სტრ. 5—6). იგი ძეა აგრძეა ეზოსმოძღვრისა, რომელიც ზევახ მცირე პიტიახშისა და მეფე ფარსმანის (ფარსმან II) თანამედროვეა, როგორც ეს ბილინგვიდან ჩანს.

კუჩერი და ნავე ywdmngn-ს სპარსული წარმოშობის სახელად თვლიან [Kutscher/Naveh 1970 : 312]; აქეთვე განმარტებას იძლევიან ღონერი და როელიგი [KAI, II : 329].

12) wnsyh (სტრ. 3) შეიცავს კავშ. w-ს („და“) და სიტყვას nṣyh, რომელიც კონტექსტის მიხედვით წინაწავალ საკუთარ სახელს იოდმანგანს უნდა ეკუთვნოდეს. გ. წერეთელი მასში ხედავს ეპითეტს, რომელიც ტექსტის ავტორმა იხმარა იოდმანგანის მიმართ, მაგრამ მის ასეთ გაგებას ხელს უშლის nṣyh-ის თავში დართული კავშ. w, რაც გ. წერეთელია მიხედვით, შესაძლებელია წარწერის ამოშკვეთის შეცდომა იყოს [ბილინგვაი 21]. რაც შეეხება სიტყვა nṣyh-ს, იგი შას ვნებ. გვარის მიმღობის ფორმად მიაჩნია (nṣih, ზმნისაგან nṣh), რომელიც აქ მოქმედ. გვარის მნიშვნელობით იხმარებო (იქვე : 28). მაგრამ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ სუბიექტს: I წინდ. ახლავს. (ასეა დღეს არამეულში მოქმედ. გვარის ნამყო-წყვეტილის ფორმების წარმოებისას [კ. წერეთელი 1968 : 201]). ამ I-ს გარეშე კონსტრუქცია გაუგებარია. (კლასიკურ სირიულში დადასტურებულია რამდენიმე qṣil ფორმის მიმღობა აქტიური მნიშვნელობით: smīk „ის, ვინც სუფრასთან ზის“, ṣīn „ის, ვინც ატარებს“, Brockelmann 1962 : 114—115, § 214; Nöldeke 1966 : 211, § 280). ამიტომ გ. წერეთელი, რომელიც nṣyh-ს ვნე-ბითა გვარის მიმღობის ფორმად მიიჩნევს, იქვე შენიშნავს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა იდეოგრაზიადა გამოყენებული (იქვე). ამდენად, დგას საკითხი nṣyh სიტყვის სხვაგვარი განმარტებისა. ზმნა nṣh არამეულში საკმაოდ ვაერცელებულია. იუდეურ-არამეულში ცნობილია მისი ხმარება როგორც აქტიური, ისე რეფლექსიური (რაც არამეულში ჩვეულებრივ პასივს ნიშნავს) მნიშვნელობითი ძირითადი თემა (Pe)—nṣah „სძლია“, „აჯობა“, „გაიმარჯვა“ (მახზე), ასევე ზისი ინტენსივი (Pa)—naṣah [Levy 1959 : 125]. გვხვდება აქედან ნაწარმოები მიმღობებიც: მიმღ. Pe: nāṣah, მრ. nāṣhīn (მღრ. nāṣhīn qbr „ომში გამარჯვებულები“) (Levy, იქვე). nṣh ზმნის ხანებულ მნიშვნელობაზე („სძლია“) მიუთითებს გ. წერეთელი და შენიშნავს, რომ არ

არის გამორიცხული მოცემულ შემთხვევაში გვეხედვს პლენასტური დაწერილობა niššāh-ისა, რომელიც იუდეურ-არამეულში დასტურდება— „ძლევამოსილი“ [ბილინგვა I 28]; შდრ. იუდ.-არამ. našših „ძლევამოსილი“, niššāh „ის, ვინც იმარჯვებს (მასზე)“, „სძლევს (მას)“ [Levy 1959 125]. ამასთან დაკავშირებით შდრ. ებრ. (ბიბლ.) მამ. საკ. სახ. nših (ებრა 2₃₄, ნეემია 7₃₆) [Gesenius 1905 : 469], რომელიც ებრაულში წარმოითქმოდა როგორც nšāh, აქედან ბერძნულის გზით, ქართ. „ნესია“ („ძინე ნესიასნი“, მცხ. ხელნაწ. 1982 : 385). ფორმა nših, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, პასიური მიმღებობაა და ნიშნავს „ძლევულს“, ძნელი დასაჯერებელია, რომ საკუთარ სახელად უოფილიყო ამ მნიშვნელობით გამოყენებული. ეგვიპტის აქ იგივე შემთხვევაა, რაც ქართულში, როგორც ამას მიუთითებდა [გ. წერეთელი—„გამარჯვებული“, რომელიც ფორმით პასიური მიმღებობაა და აქტიური მნიშვნელობით იხმარება [ბილინგვა I 28, შ.ნ. 1]. ვ. აბაევი ამ „გაურკვევლობას“ ქართულის ნიჟადაგზე ხსნის: wnaših = u-nših, სადაც naših პას. მიმღებობაა და ნიშნავს „ძლევულს“, ხოლო მის თავში მყოფი w გადმოსცემს არა არამეულ „და“ კავშირს, არამედ ქართულ ნეგაციურ პრეფიქსს უ-ს, აქედან უ+ „ძლევული“ > „უძლეველი“. ეს „უ“ პრეფიქსი, რომელიც წერის დროს w-ითაა გადმოცემული, დამწერს უნებურად გაეპარა და შედეგია ენათა აღრვევისა იბერიაში, სადაც სამეფო კარზე ექვსი ენა იყო გავრცელებული, — აღნიშნავს ვ. აბაევი [აბაევი 1944 : 824]. ასეთი აღრვევის სხვა მაგალითები არ არის ცნობილი და მისი ასეთი ასხნა საეჭვოა.

უფრო მართებულად მიგვაჩნია naših ფორმის ასხნა როგორც აქტიური მიმღებობისა. სადაც y გადმოსცემს მოკლე e/i-ს: naših „ვინც იმარჯვებს, მძლეველი“ (მოკლე e/i-ს გადმოცემა y-ით, ე. წ. plene დაწერილობა არამეულში ცნობილია, შდრ. Rosenthal 1939 : 29). ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მოკლე i ხმოვნის გადმოცემა არაბული წარმოშობის საკუთარ სახელებში თაიშას არამეულ წარწოებში დაახლ. ძვ. წ. 400 წ. [Beyer/Livingsstone 1987 : 290]. ასეთი გაგება ხსენებული ფორმისა შესაძლებლად შიხნით ალტჰაიმსა და შტილსაც [Altheim/Stiehl 1959 251, § 2], რომელნიც naših-ს კითხულობენ როგორც našeh NŠYH „ის იპყრობს (მან დაიპყრო)“. მაგრამ იმავე სტატიის შემდეგ პარაგრაფში ავტორები წერენ, რომ ისინი წინააღმდეგი არიან როგორც ამ სიტყვის აღიქმევად გაგებისა (našših), ისე მისი ინტერპრეტაციისა როგორც našeh (იქვე : 251, § 3), რადგან მათი აზრით წინადადება našeh wkabbir ʾarwast ʿābed-(h)wā „მან დაიპყრო და დიდი საგმირო საქმე მოიმოქმედა“ ეწინააღმდეგება სწორ არამეულ გამოთქმას (იქვე :

.151 — 152). გ. წერეთელი ამ ფრაზას თარგმნის ასე: „ძღვეამოსილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“ [ბილინგვაი 16].

nṣyḥ-ში კუჩერი და ნავე ხელავენ მოდელს, რომელიც სირიულში Present Perfect Active-ს ვამოხატავს: სირ. naṣṣiḥā = hm nṣḥ („ის ვინც იპარჯება“ და უთითებს ნელდეკეს სი⁴იულ გრამატიკაზე [Kutscher/Naveh 1970 : 312]. ზმნური ზედსართავები (resp. Part. perf.) გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება: nappiq „გამოსული“, ოჯzil „წასული“ და მისთ. [Nöldeke 1966 : 71, § 118, შენ. 1]. აქედან wnṣyḥ-ს თარგმნიან — „და სძლია (ვაიმარჯვა)“. დონერი და როელიგისათვის აქ არის ზედსართავი, რომელსაც თარგმნიან როგორც „ღიდების მქონე, გამარჯვებათა მქონე“ (KAI, II : 329).

ამრიგად, როგორც ეს ზემოთქმულიდან ჩანს, ბილინგვის არამეულ ტექსტში სიტყვა nṣyḥ-ს, არამეულის თვალსაზრისით, ორი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: მსაზღვრელისა და შემამძნელისა. მისი წაკითხვის ვარიანტებია: nṣiḥ, naṣṣiḥ და nāṣiḥ (nāṣeḥ). ყველა შემთხვევაში ეს არის ზმნიდან ნაწარმოები სახელები: ზედსართავი (naṣṣiḥ), ან მიმღობები — აქტ. nāṣeḥ, პას. nṣiḥ. ამოსავალია ზმნა „ძღვეა“ (nṣḥ). აქედან ვიღებთ: naṣṣiḥ და nāṣeḥ „მძღველი“ (поджидующий) [Боголюбов 1987 : 32], ხოლო nṣiḥ „ძღვეული“. ჩვენს წარწერაში მოცემულ კონტექსტში არ უნდა იყოს მისი გამოყენება წინამავალი სიტყვის მსაზღვრელად, რადგან იგი დაშორებულია მას „და“ კავშირით (w ნაწილაკით). ამდენად, ვფიქრობთ, რომ აქ იწყება ახალი წინადადება, რომელიც მისი წინამავალი წინადადების სუბიექტს განმარტავს, ე. ი. ახალი წინადადება, რომელიც w-თი იწყება, მთლიანად მსაზღვრელის როლში გვევლინება (ამაზე ქვემოთ). ამრიგად, ვფიქრობთ, უფრო სწორია ზემოხსენებული მიმღობებისა თუ ვერბალური ზედსართავის პრედიკატად გამოყენების დაშვება (მათთვის ზმნური ფუნქცია არამეულისათვის უცხო არ არის). ამდენად, w¹nṣyḥ = (1) w¹nāṣeḥ „და სძლევს (სძლია)“, ან (2) w¹nṣiḥ „და ძღვეულია“. რაც შეეხება ვერბალურ ზედსართავს, იგი ჩვეულებრივ გარდაუვალ აქტიურ ზმნასთან გვხვდება, როგორც ეს სირიულიდან ზემომოტანილი მაგალ. თებიდან ჩანს. ბუნებრივია, აქ ვივარაუდოთ მოქმედებითი გვარი და wnṣyḥ წავიკითხოთ როგორც wnāṣiḥ ე. ი. „და სძლევს (სძლევდა); იმარჯვებს (იმარჯვებდა)“. ასეთი ფორმა ხშირად გამოიყენება pres. perf.-ისათვის თხრობისას და, როგორც ამას აღნიშნავს ბიბლიის არამეულისათვის ფრ. როზენტალი [Rosenthal 1963 : 55], ითარგმნება როგორც ნამყო დროის ზმნა (ამაში ჩვენ სხვაგანაც დავრწმუნდებით); ან იქნება: „ის, ვინც იმარჯვებს ხოლმე“ (შდრ. აქტიური მიმღობის გამოყენება აწმყო-ზოგადისათვის თანამედროვე არამეულ დიალექტებში [კ. წერეთელი 1958 : 188—189]. არ უნდა გვზინებდეს არც მეორე მარცვლის

ხმოვნის *y* ასოთი გადმოცემა. ასეთი შემთხვევები (*y* და *w* ასოების გამოყენება სათანადო მოკლე ხმოვნების გადმოსაცემად) დადასტურებულა იყუმაანის არამეულ გრაგნილებშიც (ძვ. წ. II—I ს.).

13) სიტყვა *kbyr*-ს (სტრ. 4) გ. წერეთელი განიხილავს როგორც ზედსართავს („მრავალრიცხოვანი, მრავალი“) <ზმნიდან *kbr* „იყო დიდი; იყო მრავალრიცხოვანი“ (არამეულსა და ებრაულში), რომლის შესატყვისია ბერძნ. *παιλαξ*; [ბილინგვა; 22]. ალტჰაიმი და შტილი ამ სიტყვას თარგმნიან როგორც „დიდს“ (აქვე გიორგაძე) [გიორგაძე 1986: 159]. აქედან *wkbyr* *ṣrwst* (*byd*) „(მან გაიმარჯვა) და მოამოქმედა დიდი საგმირო საქმე“, რაც უნდა შეესატყვისებოდეს ბერძნული ტექსტის შემდეგ ადგილს: *παιλαξ* *veixaz* *παι:ηαυεις* [Altheim/Stiehl 1959: 251]. დონერსა და როელაგსაც ეს სიტყვა ზედსართავად მიაჩნიათ, მაგრამ ერთგვარად განსხვავებული მნაშენელობით—„ძლიერი; ძლევამოსილი“, (შდრ. *kabbir*) და უთითებენ ენასა და ჰოჯციერს [DISO: 114; KAI, II: 329]. „მრავლად“ განმარტავენ ამ სიტყვას მ. ბოგოლიუბოვიც („многие долестни“, Боголюбов 1937: 32, 36). *kbyr* რომ მსაზღვრელი იყოს („მრავალი“, „დიდი“) სიტყვისა *ṣrwst*, მაშინ იგი უნდა მოსდევდეს მას (*ṣrwst kbyr*) და არა უსწრებდეს (*kbyr ṣrwst*), როგორც ამაზე ზემოთაც ითქვა. ამასთანავე, უფრო მოალოდნელია, რომ სატყვა *ṣrwst* (გ. წერეთელთან; „გამარჯვება“) მრ. რიცხვში იყოს: წარმოდგენილი (ამაზე ქვემოთ). კუჩერი და ნავე *kbyr*-ს იმავე მოდელით წარმოგვიდგენენ როგორც წინა სიტყვას *uṣyḥ*, ე. ი. მათთვის ეს არის *kabbir*, ხოლო რამდენადაც ეს მოდელი (*qatīl*) გარდაუვალ ზმნებათა *pres. perf.*-ია, იგი აქ წარმოიდგინება როგორც შემასმენელი მოქმედებითი გვარის ზმნის შინაარსით [Kutscher/Naveh 1970: 312]. ჩვენ ამ შემთხვევაში შესაძლებლად მიგვაჩნია დაეუშვათ, რომ *kbyr* მოქ. გვარის მიმღეობაა და აქ პრედიკატის ფუნქციას ასრულებს *kbyr* = *kābir* „გამარავლა, მრავალი გახადა“. (იხ. აგრეთვე ქვემოთ).

14) *ṣrwst* (სტრ. 4). გ. წერეთელი *ṣrwst* <სპარს. იგი შეესატყვისება ბერძნული ტექსტის *veixaz* (*vi:ax*) და უნდა ნიშნავდეს „გამარჯვებას“ [ბილინგვა; 22, 29]. ასევე ეპმის ეს სიტყვა ა. ფრეიმანსაც (*ṣrwst* = *arvast*) [Фрейман 1946: 163]. ალტჰაიმი და შტილი ამ სიტყვას განმარტავენ როგორც „საგმირო საქმეს“. საყურადღებოა, რომ იგივე სიტყვა გვხვდება მონოლინგვაშიც (3-ჯერ; სტრ. 7, 12, 14). ხსენებული მეცნიერები განმარტავენ რა ამ ადგილს, აქაც იმავე მნიშვნელობას ადატურებენ („Heldentat“) — „საგმირო საქმე, საგმირო მოქმედება, გმირობა“ [Altheim/Stiehl 1961: 176]. ამავე აზრისაა კუჩერი და ნავე, რომლებიც სიტყვა *ṣrwst*-ს უკავშირებენ ძვ. სპ. *arwasta*-ს „გმირობა“ (როგორც ბერძნ. *veixaz*) [Kutscher/Naveh 1970: 312]; (შდრ.

ასევე, Baily 1943 : 2 — ორსტ < ირბ. aruvasta, აქედან > სომხ. aruest). იმავე მნიშვნელობას ვხედავთ უნიკს პართულ ლექსიკონში, სადაც არმაზის ბილ. ნგვაზუა მითითება [Gignoux 1972 : 47]. იდენტურად განმარტავენ მოცემულ სიტყვას ღონერი და როელიგი [KAI, II : 329] და მ. ბოგოლიუბოვი («добрлестъ») [Боголюбов 1987 : 36]. სრულიად განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ვ. აბაევმა, რომელმაც ორსტ kbyr-თან ერთად განიხილა როგორც სინონიმური პარალელები „დიდის“ მნიშვნელობით [აბაევი 1944 : 826, შენ. 1]. ვფიქრობთ, რომ ამ მნიშვნელობათა შორის, კონტექსტისა და ბერძნული მხარდაჭერით, აქ უნდა იყოს „გამარჯვება“ („გმირობა [ბრძოლაში]“ > „გამარჯვება [ბრძოლაში]“). საინტერესოა, რომ აქემენიანთა ხანის არამეულ წარწერებში დამოწმებულია ორსტmr როგორც საკუთარი სახელი [CAH, 1 : 201; AH I/2 : 8].

15) (byd). არამეული ტექსტის მე-4 სტრიქონში იკითხება (byd) სიტყვა. ალტაიმი და შტილი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სიტყვის ბოლოკედურ ო-ის აღმნიშვნელ ასოზე ჩანს დაწერილი w [Alt./St. 1959 : 250]. არცერთი სხვა მკვლევარი ამას არ ამჩნევს. ვერც ჩვენ ამოვიკითხეთ იგი. ამიტომ ვტოვებთ გ. წერეთლის წაკითხვას: (byd). გ. წერეთლისათვის ეს არის st. emph.-ში მდგომი სახელი: (byd-)—მიმღ. <ზმნ. Cnd „გაკეთა“. მაგრამ ისმის კითხვა რომელი მიმღობა—ვნებითი (Cnid) თუ მოქმედებითი (Cābed)? ტექსტის პირველგამომცემელს მას აქტიურ მნიშვნელობას ანიჭებს—„გაკეთებელი“ (მღრ. თარგმანში „მომპოვებელი განარჯვებათა“, იქვე, გვ. 16). აქედან: wkbyr ორსტ (byd) „მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“ (იქვე), რ-ეს. «II много побед сделавший» (ტექსტში ნათ. ბრ.-ში, გვ. 23), რომლის სუბიექტი იოდმანგანია (იქვე). არსებითად იგივეა ბოგოლიუბოვთანაც: «II многие доблести совершающий» (Боголюбов 1987 : 37). ამავე იმეორებს გ. გიორგაძე „და დად გამარჯვებათა მქმნელი“ (ნხოლოდ აქ „მრავლის“ ნაცვლად „დიდი“ გვაქვს) [გიორგაძე 1986 : 159]. ჰენინგისათვის აქ (byd) st. emph.-ში დასმული ვნებ. გვარის მიმღობაა, ე. ი. Cnid „გაკეთებელი“, სადაც ვნებ. გვარის მიმღობას მინიჭებული აქვს აქტიური მნიშვნელობა [Henning 1946 : 237]. მაგრამ მაშინ უნდა იყოს I ნაწ. (Cnid I „ჩემს მიერაა გაკეთებული“ = „მე გავაკეთე“). ამათან დაკავშირებით ღონერი და როელიგი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეს კონსტრუქცია სიძნელეებს შეიცავს, რადგან (1) იგი უნდა მოიცავდეს ორ nomina reclusa-ს („gewaltigen Sieg und Tag“, ე. ი. „an Siegestat“), რაც სემიტური გრამატიკის თვალსაზრისით შეუძლებელია, (2) ან წარმოვიდგინოთ კონსტრუქცია-შესიტყვება ორსტ-თან ერთად როგორც nomen reclusum, ხოლო (byd) როგორც მსაზღვრელი („gewaltig an getanem Sieg“) [KAI, II : 329]. ალტაიმი და შტილი: პრედიკატად სახელი არამეულში იხმარება მხოლოდ.

st. abs.-ში. ამიტომ, თუ ეს ასეა, (byd) მდ. სქესის ფორმაა. მაგრამ ამ წარწერაში მდ. მიმღობას აქვს t- დაბოლოება. გ. წერეთლისა და რ. ფრაის მოტანილ ტაბულებში [Библия: 72, ტაბ. 2; Frye 1952, ტაბ. XX] ბოლო ბ-ზე ჩანს: w (bydw) (?). და ალტაიმი და შტილი მას კითხულობენ როგორც (bid(h)wa [Altheim/Stiehl 1959 : 250], ხოლო ფრაზას wkbyr ორსტ (bydw) თარგმნიან— „და დიდი საგმირო საქმეები იყო გაკეთებული“, მაგრამ რადგან „გკეთებლის“ წინ l არ არის, ასე არ ვარგა და ამ წაკითხვას ასე ასწორებენ: (ā)bed (h)wā (მოქ. მიმღ. + hwā!). აქ y გამოხატავს მოკლე e/i-ს (შდრ. მოტანილი მაგალითები, იქვე გვ. 251 — 252). ამიტომ ამ ადგილს ალტაიმი და შტილი ასე თაგმნიან, „მან გაიმარჯვა და მოინიჭმედა დიდი საგმირო საქმე“, რაც მათი აზრით, უნდა შეესატყვისებოდეს ბერძნ. ტექსტს (იქვე). რაც შეეხება ვნებითი გვარის მიმღობის აქტიურ მნიშვნელობით გამოყენებას, როგორც ეს სირიულშია, აღნიშნავენ ღონერი და როელიგი, მოქმედების ავტორი უნდა წარმოდგენილი იყოს l ნაწილაკის მეშვეობით, რაც აქ არ გვაქვს. ამიტომ თარგმანი ამ ადგილისა როგორც „და ბრწყინვალე საქმეები მან გააკეთა“—თავისუფალი თარგმანია და მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წინასწარ დავუშვებთ, რომ არამზის წარწერის დანიშნული უყურადღებოდ ტოვებს სემიტური გრამატიკის ძირითად წესებს. ამასთანავე, ეს ადგილი სრულებით არ შეესატყვისება ბერძნულ ტექსტს [KAI, II : 329]. ორსტ-თან დაკავშირებით იგივე ზნა (bd) გვხვდება მეორე არამზის წარწერაშიც: ...ორსტ (ht, რაც ალტაიმსა და შტილს II პ. მხ. რ. მამრ. სქ.-ის ფორმად მიიჩნია ძირითადი თემის (Pe) პერფექტივაში [Altheim/Stiehl 1961 : 177], ე.წ. *bdt. უნდა ითქვას, რომ ბილინგვაში (byd) სიტყვის ბოლოკლდურ ბ-ზე არაფერი (და არც w) არ წერია, ამიტომ ალტაიმიცა და შტილის შეწორება ამ სიტყვის წაკითხვაში (bydw) გაუმართლებელია. ამდენადვე იხსნება აქედან გამომდინარე გაგებაც სიტყვისა. კერძო: და ნავეს თქმით kbyr ორსტ (byd) რთული კონსტრუქციაა. აღნიშნულია, რომ მოდელი q'il (ქნებ. მიმღ.) გარდაამავალ ზნებთან ზოგჯერ იხმარება მოქ. გვარია მნიშვნელობით (შდრ. მალულა, A. Spitaler 1938 : 187), ე.წ. (byd) = (bid (მოქ. გვარის მნიშვნელობით) („გამკეთებელი“?). სახელი, მათი აზრით, არტიკლიანია (bidā (byd-)). აქვე აღნიშნულია, რომ ალტაიმიცა და შტილის წაკითხვა უსაფუძვლოა და განმარტება შესაბამისად მცდარი (გვ. 312). ე.წ. ორსტ (byd)—ზუსტ. „ვმცრობა“ („საგმირო საქმე“) + „გაკეთებული“ და შემდეგ ზემოაღნიშნულ საფუძველზე— „გმცრობა გააკეთა“. მაგრამ აქ გვაქვს რიგი შეუსაბამობანი არამეული სინტაქსის თვალსაზრისით (და, საერთოდ არამეული გრამატიკისა), თვით ამ წარწერისათვის არსებული ნორმების დარღვევისა. როგორც ირკვევა,

ამ წარწერებში, ისე როგორც არამეულში საერთოდ, პრეუკატად გამოიყენება მხოლოდ სახელის (მიმღებობის) status absolutus-ის ფორმა. ამასთანავე, ჩვენს წარწერაში (მონოლინგვაშიც) status emphaticus-ის ფორმები -ā (?) დაბოლოებით არ არის დამახასიათებელი. და თუ ასეა, აქ გვექნება გამონაკლისი:—^აbīd-ā „გაკეთებული“, მაგრამ ასეთი ფორმაც ცნობილია st. abs.-ში, მხოლოდ მდ. სქესში: მამრ. ^აbīd, მდ. ^აbīdā. მართალია, ძველ^ა არამეულში მდ. სქესის სახელის დაბოლოება st. abs.-ში ჩვეულებრივ h ან ითი გადმოიცემა და იგი აქ ā ხმოვანს გადმოსცემს. შემდეგში ეს h გრაფიკაში ᶯ ასომ შესცვალა იმავე დანიშნულებით (=ā), შდრ. ძვ. არამ. ᶯnh და გვიანდელი (საშუალო, თანამედროვე) არამეულის ᶯh (=ᶯah „მე“). სიტყვის აუსლაუტში ᶯ~h ძველ არამეულშიცაა დადასტურებული. ასე, მაგალითად, ნეგაციური ნაწილაკი ᶯ (=lā) და ჰერმოპოლისის პაპირუსების lh (=lā) „არ, არა“ [Segert 1975 : 232].! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გრამატიკულად ამ მისაზღვრელის სუბიექტი (საზღვრული) სიტყვა არის ᶯrwast (=„გმირობა გაკეთებული“), ხოლო ეს ნასესხები სიტყვა t-ზე ბოლოვდება, ამდენად იგი ადვილად შესაძლებელია მდ. სქესის სახელად იქნეს გაგებული, მაშინ, ცხადია, მისი მისაზღვრელიც (st. abs.-ში) იმავე სქესით უნდა იყოს წარმოდგენილი—byd) (ან bydh). ამრიგად, სიტყვა byd) არის არა მამრ. სქესის პასიური მიმღეობა განსაზღვრული არტიკლით, არამედ მდელრობითი სქესის ვნებითი გვარის მიმღეობა st. abs.-ში (არტიკლის გარეშე!), რაც სავსებით კანონიერია მდ. სქესის ᶯrwst-ისთვის. ყველა t-ს მქონე მდ. სქესის ფორმები st. cstr. ფორმებს შეეატყვისებთან, ან, როგორც ეს უკვე ითქვა (ეუჩერი, ნავე), ეს უნდა იყოს უარტიკლო ფუძის ფორმები. ხომ არ არის აქ ასე: wᶯᶯyᶯ wkbyr ᶯrwst byd) „და (იგი) იმარჯვებდა და ამრავლებდა გაკეთებულ საგმირო საქმეებს (ტექსტში: საგმირო საქმეს), გამარჯვებებს“? მაშინ გასაგებია, რომ nᶯyᶯ და kbyr მამრ. სქესშია (იოდმანგანს ეკუთვნის), ხოლო byd)—მდ. სქესში (ᶯrwst-ს ეკუთვნის).

ორიოდე სიტყვა იმასთან დაკავშირებით, რომ nᶯyᶯ-ის წინ ywdm-nᶯn-ის შემდეგ w („და“) კავშირია. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ასეთი ხმარება უადგილოა. ვფიქრობთ, ამ w-მ გარკვეული ფუნქცია შეასრულა: შეიყვანა ჩართული წინადადება, რომელიც სწორედ იმ სიტყვას ეკუთვნის, უშუალოდ რომ მის წინ წერია.

16) rb trbᶯ (სტრ. 4—5, 6) კომპოზიტად გვევლინება და, როგორც ეს კარგად აქვს ნაჩვენები და დასაბუთებული გ. წერეთელს, გარკვეულ თანამდებობაზე მიუთითებს იბერიის სამეფო კარზე—„ეზონისმოდვარი“ (=ბერძნ. ἐξονισμοδωარი) [ბილინგვა : 22—23]; rb „მეთაური; მოძღვარი“ და trbᶯ „ეზო“ (=„სამეფო კარი“). იგი არამეულ ტექსტში ორჯერ გვხვდება:

ერთხელ ეს არის იოდმანგანი—ეზოისმოძღვარი ხსენებულ მეფისა (ywd-mungn ... rb trbš zy hsyprnwg mlk) და მეორედ აგრიპა — ეზოისმოძღვარი ფარსმან მეფისა (pgryp rb trbš zy prsmn mlk). ამ შემთხვევაში (pgryp) ბერძნულ ტექსტში ἐπιτροπός-ია, რომელიც, როგორც ცნობილია, უკვე ახ. წ. 58 წელს გვხვდება როგორც ეკვივალენტი ლათინური პროკურატორისა [KAI, II, 330]. ბევრად უფრო ძველ არამეულ წარწერებში, კერძოდ, სარდესის ლიდურ-არამეულ ბილინგვაში (ძვ. წ. V ან IV ს.), trbš „ეზოს“ მნიშვნელობით დასტურდება (შდრ. აქად. tarbašu „ეზო, ბანაკი“) [KAI, II, 308]. rb trbš-ის შესახებ საუბრისას კუჩერი და ნავე ასეთ შესიტყვეებაში ხედავენ არამეული გრამატიკული წესებიდან გადახრას; აქ, როგორც სხვა შემთხვევაში, სახელი არტიკლის გარეშეა. მაგრამ ასეთი რამ აღმ. არამეულში გვხვდება, და აქედან კეთდება დასკვნა, რომ არამეული ენის განვითარებაში იყო პერიოდი, როდესაც სახელების განსაზღვრული არტიკლის გარეშე ხმარებას ეძლეოდა უპირატესობა (იქვე, 311). მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ ერთი რამ: არმაზის ბილინგვაში სახელის უარტიკლო ფორმები ჩვეულებრივია იმ შემთხვევაშიც კი, სადაც განსაზღვრული არტიკლი -ā (?) უნდა გვექონდეს.

17) hsyprnwg (სტრ. 5) გ. წერეთელს მიაჩნია გრეციზებულ ფორმად (s š-ს ნაცვლად) მამაკაცის სპარსული სახელისა kšeparnug [ბილინგვა, 23], შდრ. ბერძ. Ξηφαρσινϋος, აქედან არმაზის წარწერაში Ξηφαρσινϋου—ნათ. ბრ.-ში (იქვე, 17). სპარსულ საკუთარ სახელად მიაჩნიათ იგი დონერსა და როელიგსაც [KAI, II, 330]. სახელს ირანული ეტიმოლოგია აქვს; ირან. xšēfarnūγ (ხშეფარნულ) „მეუფის ბრწყინვალეების მფლობელი“ («снладающий царственнѣм фарном (ореолом, блеском.)» <xšē-farn-ūγ < ძვ. ირან. farnā [Фрейман 1946, 160]. ფრეიმანის მიხედვით, ამ სახელის მოცემული სახით ხმარება ირანული სახელისა xšēfarnūg, შესაძლებელია მიუთითებდეს იმაზე, რომ დამწერი ბერძენი იყო ან მისთვის ბერძნული იყო სასაუბრო ენა (იქვე).

18) bry. ქიტყვა bry გვხვდება წარწერის მე-5 სტრიქონში: hsyprnwg mlk bry zy pgryp, სადაც bry რეალიციური ნაწილაკის zy-ს წინაა მოთავსებული და st. cs.-ში დგას. შდრ. აგრომანის არამეულ ტექსტში შესიტყვება ptpsk bry tyryn „პატასპაკ ძე თირინისა“, სადაც bry („ძე“) st. cs.-შია [Боголюбов 1967, 126], მაგრამ რელაც. ნაწილაკის zy-ის გარეშე, ასევე, ოwyl bry bšnyu „ავილ, ძე ბიშნინისა“ (იქვე). (საყურადღებოა, რომ br სახელის შდ. სქესის ფორმა brt აგრეთვე zy-ის წინ გვხვდება, იხ. გვ. 6). არამეულში აქ მოსალოდნელი იყო სათანადო სახელის st. cs. ო br (bar „ძე“), brt (bart „ასული“), როგორც ეს არის, მაგალითად, პალმი-

რულ წარწერებში: brt bwrp „ბორეთის ასული“, br tybwI „ძე თეიბოლისა“ [Ephemeris, III 145]. რაც შეეხება bry-ს, როგორც ზემოხსენებული brty-ც, იშლება: br „ძე“ + ნაწ. y. წარმოშობით ეს y I პირის კუთვნი. ნაცვალსახ. სუფიქსის I-ს გამოძახებელი უნდა იყოს, ანდა მისი დანიშნულება გასარკვევია. ერთი უდავოა: ჩვენს ტექსტში bry ისევე, როგორც brty st. cs.-ში ივარაუდება zy ნაწილაკთან ერთად (bry zy აგრყ „ძე ავრიბასი“, brty zy zywh „ასული ზევანისა“). მართებული იყო zy ნაწილაკის წინ ყოფილიყო ან წმინდა st. emphaticus-ის (არტიკლით განსაზღვრული) ფორმა (br?, brI), რაც დამახასიათებელია საერთოდ არამეული ენისათვის, ანდა სახელი III პ-ის ნაცვალსახელოვან სუფიქსთან h-სთან ერთად (brh, brth) : brh zy, brth zy, როგორც ეს გვაქვს არმაზის ერთენოვან წარწერაში (სტრ. 2, 13), რაც ჩვეულებრივია უფრო გვიანდელ არამეულში (მაგალითად, სირიულში—b^hreh d-malkā „მეფის ძე“, ზუსტ. „ძე-მისი მეფისა“). სევანის ძველ წარწერებში ეს კონსტრუქცია წარმოდგენილია st. construculus-ის ფორმით: br zy. მაგალითად, სევანის წარწერებში (ძვ. წ. II ს.) ვკითხულობთ: ႁrthṣy mlk br zy zrytr [Еорисов 1946 : 100]. ამრიგად, ზემოხსენებულ შეთხვევაში bry თუ brh st. cs.-ში მდგომი br-ის ნაცვალია. [მაგრამ ძველ არამეულ ტექსტებში ზუსტად არმაზის ერთენოვანი წარწერისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციაც დასტურდება. ასე, მაგ., შდრ. არშამას წერილების (ძვ. წ. V ს.) brh zy ḥḥpy და ბეპისტუნის წარწერის არამეულ თარგმანში აიხ brzy brh zy krš [Alt./St. 1959 : 256]. ტექსტში გვხვდება სახელი st. cs.-ში ყოველგვარი ნაწილაკებისა თუ სუფიქსების გარეშე შესიტყვებაში br ႁnš (სტრ. 9), რაც შეესატყვისება არამეულში ფართოდ გავრცელებულ br ႁnš-ს (თან. არამ.: barnāša) „კაცის შვილი, ადამიანი; ვინმე“ (შდრ. სუფირეს წარწერის, ძვ. წ. VIII ს., br ႁy]nš, DISO : 19). ზოგჯერ ჩვენს ბილინგვის bry-ს განმარტავენ როგორც br სახელის st. absolutus-ს (ე. ი. განუსაზღვრელ მდგომარეობას) (იქვე : 41). საყურადღებოა, რომ აღრეულ პერიოდში არმაზულ ტექსტში, რომელიც ერთი საუკუნით უსწრებს წინ ბილინგვას, br გენეტიურ კონსტრუქციაში არამეულისათვის ცნობილი წესითაა გადმოცემული (brh zy), გვიანდელში (ბილინგვაში) კი bry zy. brh-ს შეცვლა bry ფორმით შესაძლებელია მიუთითებდეს ირანულის გაცლენაზე, კერძოდ, პართულისა, სადაც BRY იდეოგრაფიას წარმოადგენს სიტყვისათვის pulir „ძე“ [Gignoux 1972 : 49]. საინტერესოა, რომ ბილინგვის ხანის გარნის წარწერაში ეს შესიტყვება „ძველი წესით“—brh zy-ის სახითაა გადმოცემული: ... brh zy wlgš mlk „ძე ვალგაშ მეფისა“ [Периханиян 1964 : 123]. შესაძლებელია ამ შემთხვევაში მართალია ჰენინგი, რომელსაც bry იდეოგრაფიკულ მოვლენად მიაჩნია [შდრ. Дьяконов/Старкова 1955 : 164, შენ. 1]. ამის სა-

წინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამენ ალტაიმი და შტილი, რომ, რამდენადაც მოგვიანებით -y (სირიულში, მანდეურში) არ წარმოათქმის bry სიტყვასთან და მხოლოდ იწერება, ამასთანავე მანდეურში ადგილი აქვს bar და bary დაწერილობათა მინაცვლებას (br „ძმა“ და bry „ჩემი ძმა“), ამდენად br-ის ნაცვლად bry-ის დაწერა არამეული მოვლენაა (Alt-heim/Stiehl 1959 : 249]. მაგრამ რატომაა ეს y სწორედ st. cs.-ში? ამ კითხვის აცილებელს მიზნით გრელო აღნიშნავს, რომ brty (თუ bry) < brtyh (bryh), ე. ი. აქ yh III პირის ნაცვალსახ. სუფიქსია, სადაც ბოლოკიდური h დაიკარგა, რადგან იგი არ წარმოითქმოდა [Grelot 1958 : 13—14]. მიუთითებენ რა გრელოს ამ მოსაზრებაზე, კუჩერი და ნავე აღნიშნავენ, რომ ანალოგიური ორთოგრაფია გვხვდება ბაბილონის თალმულში, მაგ. kwly (=kwlyh) „მოლიანად იგი“ [Kuischer/Naveh 1970 : 311]. მაგრამ აუხსნელი რჩება მხოლოდ h y-ის გარეშე (brh და არა bryh, სადაც y e-ბმოვანს] გამოხატავდა). მ. ბოგოლიუბოვის აზრით bry და brty სიტყვებში y I პირის კუთვენ. ნაცვალსახელოვანი სუფიქსია და მათი თარგმანი იქნებოდა „ჩემი ძე“ და „ჩემი ასული“ (რაც ნიუბერგს აბსურდად მიაჩნია, Nyberg 1946 : 236) და საბუთად ამისა მოაქვს იგივე სიტყვა („ძე“) არმაზის: ერთენოვანი წარწერიდან—brh, რომელსაც იგი თარგმნის როგორც „მისი ძე“ (br-h) [Борисович 1987 : 32—34]. აქედან კი იგი აკეთებს შორ.მავლ დასკვნებს ტექსტის შინაარსისა და სტილის შესახებ. მაგრამ აქ ბოგოლიუბოვს გასათვალისწინებელი აქვს ორი, მისთვის კარგად ცნობილი, მომენტი: (1) brh zy თავისი კონსტრუქციით (სახელი+III პ. კუთვენ. ნაცვალსახ. სუფიქსი+რელიც. ნაწილაკი) არამეულისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, რასაც ვერ ვიტყვით bry zy-ის შესახებ. ასეთი კონსტრუქცია კუთვნილებს გამოხატვისა (brty zy zywh „ჩემი ასული, ე. ი. ზევახისა“) არამეულში ცნობილი არ არის, და (2) bry zy-ის წინ ისეთსავე ვითარებაშია, როგორც brh, ე. ი. st. cstr.-ში. ეს brh, რომელიც ისტორიულად კუთვნილებითი ნაცვალსახელოვან სუფიქსს შეეცავდა (-h) საშ. სპარსულში (ფალაურში) იდეოგრაფიად იქცა. ასევე მოექცა საშ. ირანული (პართული) bry-საც, სადაც ისტორიულად არის I პ. კუთვენ. ნაცვალსახ. სუფიქსი (იხ. ზეშოთ). ამრიგად, bry და brh—ორივე br სახელის st. cstr.-ის ფორმებია, რომლებიც ისტორიულად არამეულის ნიადაგზე აღმოცენდნენ. brh—უფრო ძველი ფორმაა არმაზულისათვის და, არამეული ენის წესის შესაბამისად, იხმარება გენეტიურ კონსტრუქციაში სათანადო ნაწილაკის zy-ის (მოგვიანებით—dī, d-ს) წინ. რაც შეეხება bry (brty) ფორმებს, ეს ირანიზმია (გრაფიკული ირანიზმი), რაც საშ. ირანულის გავლენას ამჟღავნებს წერის დროსაც. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ არმაზის ბილინგვა ერთი საუკუნით უფრო გვიანია არმაზის მონოლინგვაზე, ე. ი. იმ ხანას განე-

კუთნება, როდესაც ირანულში საკმაოდ ფეხმოკიდებულია არამეულის იდეოგრაფიკული გამოყენება (ახ. წ. II ს.).

19) ၎gryp (სტრ. 6) გადმოსცემს რომაულ გვარსახელს Agrippa [ბილ. 23], რომელსაც შეესატყვისება ბერძნული ტექსტის Ἀγρίππα-ამრიგად, ხსენებული სახელის ბოლოკიდური a-ხმოვანი არამეულში გადმოცემული არ არის, ხოლო სიტყვის შიგნით მოკლე i-ხმოვანი ასო y-ით გადმოიცა (ასეთი შემთხვევები ჩვენი წარწერებისათვის ჩვეულებრივია). ამის საფუძველზე გრ ე ლ ვ არაუღობდა, რომ ბილინგვის ტექსტში ბოლოკიდურ ხმოვანს მწერალი არ აღნიშნავდა და, ამდენად, უარტიკლო ფორმები (st. emph.-ში) უნდა განვიხილოთ როგორც სიტყვის დეფექტური (არასრული) დაწერილობა. კუჩერსა და ნავეს ეს მოსაზრება გონებაჰმხვილურად მიაჩნიათ, მაგრამ ყოველთვის ეს მოსაზრებები არ არის, კერძოდ Chyd-ს მიმართო [Kutscher/Naveh 1970:312]. მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა ვითარებაა, როდესაც საქმე ეხება უცხოური წარმოშობის ქსახელებს, კერძოდ, საკუთარ სახელებს; შდრ. Aršm, რომელსაც ხან Aršam-ად, ხან კი Aršama-დ კითხულობენ, რადგან ესეც უცხოური (ირანული) წარმოშობისაა. შდრ.: Aršama (Ar. Hand. 1/2: 9), Arsham (Naveh 1981:186—87). ძველ არამეულ წარწერებში ეს სახელი (၎gryp) არ ჩანს. იგი დადასტურებულია იუდეურ-არამეულში ၎gryps ფორმით, რაც იმეორებს ბერძნულ Ἀγρίππας-ს [Dalman 1960:186]. როგორც დავინახეთ, ბილინგვის არამეულ ტექსტში არ გვაქვს -as დაბოლოება, რომელიც იუდეურ არამეულში დასტურდება (၎agripas), არც დაბოლოება -a, რომელიც ამ ბილინგვის ბერძნულ ტექსტშია (ასეთ შემთხვევაში უნდა გვქონოდა ၎gryp ან ၎gryphl). ვეების უფრო მართებელი იქნებოდა არამეულ ၎gryp წაგვეკითხა არა როგორც „აგრიპა“, არამედ როგორც „აგრიფ“ (ან „აგრიპ“) როგორც არამეული ფორმა ამ სახელისა? შდრ. ბერძნ. Σηραπεις და არამ. srpyt „სერაფიტ“. საყურადღებოა, რომ ბერძნულ ტექსტში მოცემული სახელი უფრო სრულადაა წარმოდგენილი: Πουπλιου Ἀγρίππα.

20) hbl hbl yn. შესიტყვება hbl hbl yn (სტრ. 7) სპეციალურ ლიტერატურაში განსაკუთრებულ ყურადღებას და დავას იწვევს. გ. წერეთელი მას კითხულობს როგორც hbl hbl yk და თარგმნის—„ვაება ვაებისა“ [ბილინგვა : 16]. ამ სიტყვას (hbl) იგი უტოლებს პალმირის წარწერებში დამოწმებულ hbl-ს, რომელიც „ვადა“ მნიშვნელობით იხმარება. [Lidzbarski 1962:147, 270]. ბილინგვაში წარმოდგენილი hbl ორჯერ მეორდება, სადაც გ. წერეთელი სიტყვით, მეორე სიტყვას არამ. -yk დაბოლოება დაერთვის, რომელიც II პირის მხ. რ-ის კუთვნილებით ნაცვალსახელურ სუფიქსს გადმოსცემს, ანდა შეიძლება იგი აიხსნას როგორც სპარსული დაბოლოება [ბილინგვა : 23]. ირანული წარმოშობის სუფიქსად მიაჩნია.

ეს -yk (კითხვლობს როგორც -ik) ნიუბერგსაც, მხოლოდ მისთვის აქ არის არა ორი სიტყვა (hbl hbyk), არამედ ერთი—hblhbl(-yk), რომელიც, მისი აზრით, გადმოსცემს იბერთა ადგილობრივ სახელწოდებას, ცნობილს მათი მეზობლები:ათვის (ირანელებისათვის) როგორც virč (საშ. ირან. virčān) [Nyberg 1946 : 239—240]. აქედან გამომდინარე ნიუბერგი prsmn mlk hbl hbyk-ს თარგმნის როგორც „ფარსმან მეფე xblxbl-ისა“ (Farsman, roi des xblxbl) (იქვე : 235), რაც სრულიად უსაფუძვლოა. კუჩერი და ნავე აღნიშნავენ, რომ hbl ხშირად გვხვდება საფლავის ქვებზე თადმორში (პალმირა) და იუდეურ-არამეულში [Kutschcher/Naveh 1970 : 312]. ვ. წერეთლის წაიკითხვას (hbl hbyk) მართებულიად მიიჩნევს მ. ბოგოლიუბოვი [Боголюбов 1987 : 32]. იგი -k დაბოლოებაში ხედავს II პირის მდებარეობით სქესის ნაცვალსახელურ ენკლიტიკას, რომელსაც წინამავალი ზმნის (hbl) ობიექტად ვარაუდობს (აკუზ. „შენ“). მისი აზრით, k დაერთვის სიტყვას hby, რომელსაც იგი მიიჩნევს მრ. რ-ის ფორმად და აქვს მნიშვნელობა „ტანჯვა“, ასევე—„ტანჯვა მშობიარობის გამო“ («муки родов»). რაც შეეხება hbl-ს, იგი ბოგოლიუბოვის მიაჩნია ზმნის ინტენსივის (Pa) ფორმად პერფექტივში: habbēl (სტატიაში habbēl—?, გვ. 34), რაც ნიშნავს „მან დალუბა“. აქედან, hbl hbyk შეიტყვევბას ბოგოლიუბოვი ასე თარგმნის: „მშობიარობის ტანჯვამ დაგლუბა შენ“ («муки родов погубили тебя») (იქვე 34—35). მაგრამ არამეულში უცნობია ობიექტური სუფიქსების დართვა არაზმნურ ფორმებზე. იგი ერთვის, როგორც ამას შენიშნავს თვით მ. ბოგოლიუბოვი, ზმნის ფინიტურ ან ინფინიტურ ფორმას (იქვე). მაგრამ იქვე დასძენს, რომ ეს სუფიქსი შეიძლება მოთავსდეს წინადადების ყოველი წევრის ბოლოს, და დაისაბუთებლად მოაქვს მაგალითები ახალი სპარსულიდან (საადი). ასეთი საბუთი, ცხადია, არამეულისათვის არ გამოდგება. უნდა დაიძებნოს საბუთები არა სპარსულში (და, ისიც, ახალ სპარსულში), არამედ თვით არამეულში (თვით მ. ბოგოლიუბოვი ხომ გარკვევით ბილინგვის არამეოგრაფიკულ ტექსტის ენად არამეულს თვლის და არა ირანულს!). მაგრამ ასეთი ახსნა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მას სჭირდება თავისი კონცეფციისათვის მოცემული ტექსტის მიმართ.

გვხვდება სპეციალურ ლიტერატურაში ხსენებული შესიტყვეების სხვა წაიკითხვაც. რამდენადაც წარწერაში k და n საკმაოდ მსგავსია ერთმანეთისა, მათი აღრევა კითხვისას სავსებით დასაშვებია (ვფიქრობთ, იგივე სურათია არმაზის მეორე — ერთნოვან წარწერაში, სადაც ამ ნიშანთა აღრევის გამო rb wkyh გ. წერეთელმა წაიკითხა როგორც rbwnyn, ბილინგვაი 42). ჯერ კიდევ ალტჰაინმა და შტილმა ხსენებული შესიტყვევა წაიკითხეს როგორც hbl hblin (ე. ი. hbl hbyn) [Altheim/Stiehl

1959, 253], რასაც მხარი დაუჭირეს დონერმა და როელიგმა: ხბი ხბlyn [KAI, II, 330]. ხბი ხბlyn წაიკითხა ზ. კიკნაძემ (რეცენზია ნ. ბაბალიკაშვილის წიგნზე „ებრაული წარწერები საქართველოში, XVIII—XIX სს.“, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972 წ., № 4, გვ. 182). ხბი ხბlyn-ად კითხვობს ამავე შესიტყვებას გ. ვიორგაძეც. მისთვის პირველი მათგანი (ხბი) ზმნაა (მოქმედებითი გვარის მიმღობა ან ზმნის პერფექტივი): ხ^ახალ (პერფ.) „მოსპო, გაანადგურა“ (აქად. „განადგურება: დარბევა“) ან ხ^აბელ (ptc. act.) „მგრეველი, გამანადგურებელი“. გ. ვიორგაძეს შესაძლებლად მიაჩნია ამ სიტყვას მიეკუთვნა მნიშვნელობა „მრბეველი; მქლეული; მძლე“ [ვიორგაძე 1986, 155].

თუ ხბlyn სიტყვას გავიგებთ როგორც მამრ. სქესის მოქმედებითი გვარის მიმღობას: მრ. რიცხვში (hābīn), რაც სავსებით ბუნებრივია, მაშინ მივიღებთ, როგორც ამას ვიორგაძე აღნიშნავს (გვ. 156), მრ. რიცხვს სიტყვისა „მძლე, მძმსპობი, გამანადგურებელი, დამრბევი“. ნაკლებად დასაშვებია ხბlyn ვთარგმნოთ როგორც „ძლიერნი“ (იქვე). აქედან მივიღებდით: hābel (hābil) hābīn „მძლეველი მძლეველთა“ (ვიორგაძე: „მძლე მძლეველთა“, გვ. 156), „გამანადგურებელი გამანადგურებელთა“, „დამრბევი დამრბევთა“, ან „ანადგურებდა (ხოლმე), სძლედა, არბევდა...“, რამდენადაც მოქ. გვარის მიმღობა ჩვეულებრივ აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელს გადმოცემს განმეორებითი ან დამახასიათებელი მოქმედების ჩვენებისათვის: „სძლევა, არბევს“, ან „სძლედა, არბევდა (ხოლმე)“, ანდა, თუ ხბი-ს წაიკითხავთ როგორც ხ^ახალ (h^ახალ hābīn), მაშინ გვეჩვენა: „სძლია მძლეველთ, დამრბევთ“. ვფიქრობთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისია ის ვარიანტი, რომელიც გ. ვიორგაძემ შეარჩია: „სძლია მძლეველნი“ (იქვე: 159).

21) m zy (სტრ. 7—8) „ის რაც“ [ბილინგვა 23—24] <m> (=mā „რა; რაც“)+zy (რელაც. ნაწ.)> „რაც, ის რაც“. გ. წერეთელი სიტყვათა ამ კომბინაციას უტოლებს კავშირს „ვინც“, რამდენადაც მას მიაჩნია, რომ იგი ეკუთვნის პიროვნებას — სერაფიტს, თუმცა კავშ. m zy არამეულში პიროვნებასთან არ იხმარება (სხვა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო mn zy). ვ. აბაევი, რომელიც ააყვე ამ m zy კავშირს სერაფიტს მიაკუთვნებს, აქ, არამეულით თვალსაზრისით, დარღვევას ხედავს და ცდილობს იგი ქართულის გავლენით ახსნას („რომელი“, რაც თანაბრად შეიძლება იხმარებოდეს როგორც პიროვნებით, ისე ნივთის მიმართ) [აბაევი 1944: 824]. მაგრამ თუ ჩვენ mn zy-ის წინამაჟღერ ტექსტს, ისე ვაგვიგებთ, როგორც ეს ზემოთ იყო წარმოდგენილი („სძლია მძლეველთ“), მაშინ აქ m zy მართებულადაა ნახმარი („ის, რაც“): ფარსმან მეფემ სძლია მძლეველნი, რაც ფარსავაზმა ვერ

დაასრულა“ (ე. ი. საქმე ეხება „ძღვეას“ და არა სერაფიტს), როგორც ეს გ. გიორგაძეს აქვს მოცემული.

22) *prnwā* (სტრ. 8) სიტყვის შესახებ გ. წერეთელი წერს, რომ ეს სიტყვა მისთვის უცნობია და, ალბათ, სპარსული წარმოშობის უნდა იყოს, რადგან მისი იდენტიფიკაცია სემიტურ ნიადაგზე არ ჩანს შესაძლებელი [ბილინგვა : 24]. შემდეგ იგი ცდილობს მას ირანულ ნიადაგზე მოუძებნოს ახსნა: *prnwā* < *parn*-ის „მქონებელი ბრწყინვალე ინტელექტისა“, ან იგი ეგების უკავშირდებოდეს სპ. *prwā*-ს, რომელიც ხშირად გვხვდება სასაანურ გემებზე და რომლის ეტიმოლოგია გაურკვეველია (იქვე). ამასთან დაკავშირებით შდრ. Фрейман 1946 : 163, სადაც ასევეა ახსნილი *prnwā* სიტყვის ეტიმოლოგია: *prnwā*, კომპ. < *farna*^h + *uši*, სპ. ირან. *farnuš* „ბრწყინვალე გონების მფლობელი“ (შდრ. ასევე *hšprnwā*-ის ეტიმოლოგია, აქვე, გვ. 27). საყურადღებოა გ. წერეთლის მოსაზრება, განიხილოს *prnwā*- მომდევნო *Ἰ gmyr*-თან ერთად როგორც შესატყვისი ბერძ. *νεώτερος*-სი „ახალგაზრდა“ [ბილინგვა : 14]. ირანულ ნიადაგზე ხსნის ამ სიტყვას ვ. აბავეცი, რომლისათვის *prnwā*, რომელიც ბერძნ. *νεώτερος*-ს შეესატყვისება, „ახალგაზრდას“ ნიშნავს და რამდენადაც ავსტრული *νεωτερισμός* სიტყვასიტყვით „არასრულწლოვანს“ ნიშნავს, იგი პარალელური სინონიმია მომდევნო არამეული სიტყვისა *Ἰ gmyr* [აბავეცი 1944 : 821—822]. ანალოგიური აზრისაა რ. ფრაი და ბ. მეცგერი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „არასრულწლოვანს“ („რომელმაც არ მიაღწია სრულწლოვანებას“) ისინი ხედავენ არა ერთ სიტყვაში (*prnwā*), არამედ შესიტყვებაში *prnwā* *Ἰ gmyr* [Frye 1952 : 91—94; Metzger 1956 : 20—24]. ჰენინგის: თქმით, აქ საქმე გვაქვს **parnuš* ან **parnauš* სიტყვასთან, რომელიც „მოხუცს“ ნიშნავს (იმავე აზრისაა ე. ბენვენისტა [Benveniste 1966 : 80]). აქედან — *prnwā* *Ἰ* „არამოხუცი“ (not old) = „ჭერ კიდევ ახალგაზრდა, ძალიან ახალგაზრდა“ (rather young, too young), რაც ბერძნ. *νεώτερος*-ს შეესატყვისება [Henning 1958 : 38; შდრ. Altheim/Stiehl 1959 : 252]. სიტყვათა ასეთი წყობა სრულიად გაუმართლებელია. *Ἰ* ეკუთვნის არა წინამავალ *prnwā*-ს, არამედ მომდევნო სიტყვას *gmyr*-ს—შენიშნავს სამართლიანად ალტპაიმი და შტილი და შესადარებლად იქვე მოაქვთ შესიტყვება იმავე ტექსტიდან — *Ἰ dm^c yhw^h* (სტრ. 10). მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს *prnwā* ახსნას სემიტურ ნიადაგზე. ასე, იგივე ალტპაიმი და შტილი *prnwā* სიტყვის მნიშვნელობას ებრაულ-არამეულ სიტყვას *parnūsā* „საზრდო, სარჩო“ უკავშირებენ და აქედან ლებულობენ მნიშვნელობას „ცხოვრება, სიცოცხლე“. მომდევნო სიტყვა *Ἰ* მათთან, მართებულად, უკავშირდება არა წინამავალ სიტყვას, არამედ მომდევნო *gmyr*-ს („დაუსრულებელი“), აქედან—*prnwā* *Ἰ* *gmyr*—„დაუსრულებელი“.

ბელი სიტოცხლე“. ნიუბერგისთვისაც $\rho r n w \dot{x}$ ირანული სიტყვაა (<fari + სუფიქსი -ჰ, მათ შორის მაკაემირებელი $\sigma \text{ ან } u$ [ხმოვნით]) და ნიშნავს „სიტოცხლეს“ [Nyberg 1946 : 240]. აქედან $\rho r n w \dot{x}$ ρ $g m y r$ თარგმნილია როგორც „[როდესაც] მისი სიტოცხლე [ჯერ კიდევ] არ იყო დასრულებული“ (იქვე : 235). (შდრ., აგრეთვე, გიორგაძე 1986 : 152—154, სადაც მოცემულია ამ მოსაზრებათა კრიტიკა).

ჯერ კიდევ უჩინარი და ნავე თავის წერილში არმაზის ბილინგვის შესახებ სამართლიანად შენიშნავენ, რომ $\rho r n w \dot{x}$ სადავო სიტყვაა და მიღი ახსნა სპარსულის დახმარებით როგორც „სიბერე“ და აქედან— ρ $g m y r$ $\rho r n w \dot{x}$ „სიბერე არ დასრულებია“—რთულია [Kutscher/Naveh 1970 : 313]. გ. წერეთლის უკანასკნელ ნაშრომში არმაზის ბილინგვზე [ქსე I : 576] წინადადება $m \dot{y} \rho r n w \dot{x}$ ρ $g m y r$ ნათარგმნი აქვს როგორც „ის, ვინც იყო ახალგაზრდა“. ამასთან დაკავშირებით გ. გიორგაძის შენიშვნა—„სიტყვა ფ რ ნ ე შ ფაქტობრივად უთარგმნელი დარჩა“ [გიორგაძე 1986 : 152], დაზღუტებას მოითხოვს. გ. გიორგაძისათვის აქ $\rho r n w \dot{x}$ სიტყვა უთარგმნელია, რასაც ის თავის წერილში ააბუთებს (და სამართლიანადაც), მაგრამ გ. წერეთლისათვის $\rho r n w \dot{x}$ მომღეწო !იტყვებთან ρ $g m y r$ -თან ერთად ნიშნავს „ახალგაზრდას“, როგორც ეს ზემოდანაც ჩანს ($g m y r$ მიმღ. <ზმნ. „დააარულა, დაამთავრა“). „წარწერაში სიტყვა [$g m y r$], როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არის ნახმარი და წინამავალ $\rho r n w \dot{x}$ ρ -თან ერთად ბერძნულ $\nu \epsilon \acute{\alpha} \nu \epsilon \rho \alpha$ -ს, „ახალგაზრდა“, უნდა შეესაბამებოდეს“ [ბილინგვა : 24]. (შდრ., ასევე, ვ. აბაევის მოსაზრება, რომელიც $\rho r n w \dot{x}$ -ს ρ $g m y r$ -ის პარალელურ სინონიმად თვლის). ამდენად, გ. წერეთელმა აღარ ჩათვალა საჭიროდ სინონიმები წარმოედგინა. ასეა მათთვის, ვინც ამ სიტყვის ($\rho r n w \dot{x}$) ირანულობას იზიარებს და ბერძნული ტექსტის სრულ შესატყვისობაში მოჰყავს მისი პარალელური არამეფული ტექსტი.

$\rho r n w \dot{x}$ -ს, როგორც უკვე დავინახეთ, შეეხო გ. გიორგაძე გარკვეულ კონტექსტში (!ტრ. 7—8). იგი სავსებით მართალია, რომ „დაუსრულებლის“ (აქედან — „ასაკით დაუსრულებლის“, „ძალიან ახალგაზრდის“) გადმოსაცემად არამეფულში თავისუფლად შეიძლებოდა ეხმარათ შესიტყვება ρ $g m y r$ სხვა სიტყვის (აქ $\rho r n w \dot{x}$ -ის) გარეშე [გიორგაძე 1986 : 154], რაც კარგად ჩანს გ. წერეთლის ზეცხსენებულ მოსაზრებიდანაც. მართებულად გვეჩვენება გიორგაძის მსჯელობა $\rho r n w \dot{x}$ -ის როგორც საკუთარი სახელის შესახებაც, რომელსაც იგი უკავშირებს ქართულ წყაროებში ცნობილ „ფარნაოზს“ (იქვე : 156—157). ეს უფრო ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ წარწერას ჰნიშნავს წავიკითხავთ როგორც s -ს, როგორც ამას აცხადებს გ. გიორგაძე. საქმე იმაშია, რომ ძველ არამეფულში (და ზეცხსენებლის არამეფულშიც) ჰ და s თანხმოვნების გვერდით არსებობდა

პალატალური s (მათრანსკრიფციაში ჭ-თი აღნიშნავენ), როგორც ეს ცნობილია ძველი ებრაულისათვისაც. მაგრამ ჰ და ჰ ბგერებისათვის შემოღებული იყო ერთი ნიშანი, რომელსაც მოგვიანებით ძველ ებრაულში დიაკრიტიკული ნიშანი დაეწერა ასოს ზემოთ წერტილის სახით. იმისდამიხედვით, თუ სად დაიწერებოდა ეს წერტილი, ზემოთ მარჯვნივ თუ ზემოთ მარცხნივ, კითხულობდნენ შ-დ ან ს-დ (𐤑=შ, 𐤒=ს). აქ საცებით დასაშვებია ნიშანი ჰ (პირობით ასე აღნიშნავენ ნიშანს, რომელიც ჰ-საც გადმოსცემს და ჭ-საც) იტიოხებოდეს როგორც ჰ, რაც ქართულში, ისევე როგორც შემდეგში არამეულშიც, „ს“-დ წარმოითქმოდა. სახელი prnwš ირანული წარმოშობისაა და არამეულში, როგორც ამას აღნიშნავს გიორგაძე, უნდა გადმოცემულიყო prnbzw -ს (ან prnbz -ს) სახით. ავტორი ვარაუდობს, რომ აქ, ამ ტექსტში, ამოხსნა იყო $\text{prnwš}/\text{prnws}$ ($\text{parnawas}/\text{parnawas}$). სათანადო ლინგვისტური მასალით გამაგრებულია გიორგაძის იდენტიფიკაცია წარწერის prnwš -ისა ქართ. „ფარნავოთან“ (იქვე). აქ ერთი კითხვაც იჩენს თავს: ხომ არ შეიძლება წარწერის ამოსაყალი ფორმა ბერძნული იყოს: ირან. prnšz ბერძნულის გავლენით prnws (შდრ. ჩვენს წარწერაში მოხსენიებული საკუთარი სახელი hsyprnwš როგორც ირანული სახელის გრეციზებული ფორმა, სადაც s ჭ-ს ნაცვალა, ბილინგვა : 23). ამასთანავე, უნდა აღნიშნოს, რომ ხ-ს გადმოცემა ამ ხანებში (და უფრო ადრეც) w-თი არამეულში არ არის უჩვეულო. ამაზე მიუთითებენ ალტაიმი და შტილი ნიშანს წარწერებში (ძვ. წ. I ს.). hbt -სათვის (= $\text{hābī} \text{tā}$) „ქვევრი“ HWT -ს ხმარებას [Atl./St. 1959 : 248]. ასევეა მანდეარსა და იუდეურ-არამეულში. რაც შეეხება ზ და ხ ბგერების პარალელურ ხმარებას ქართულ სიტყვებში. რომლებიც გ. გიორგაძეს მოაქვს („ანგელოზი“/„ანგელოზი“, „კვპაროზი“/„კვიპაროსი“, „კათალიკოზი“/„კათალიკოსი“), ყველა ბერძნულიდან მოდის [გიორგაძე 1986 : 157] და უფრო მიუთითებს არა ზ-ს, არამედ ზ<ს, რომელიც უფრო ძველია და ბერძნულის ვითარებას ასახავს (შდრ., მაგალითად, ἀγγελος).

უკანასკნელ ხანებში ამ სიტყვას (prnwš) შეეხო მ. ბოგოლიუბოვიც. მანაც ეს სიტყვა ირანულად მიიჩნია, რომელიც ორად გაჰყო prn და wš [შდრ. Фрейман 1946 : 163], სადაც $\text{prn} < \text{farna}^h$ „ფარნი“ („ბრწყინვალეობა“) და wš (= šš , ძვ. ირან. ušā :-) „განთიადი“. აქედან $\text{prnwš} < * \text{farnōš}$ „ფარნის აისი, დილის აისი“ (zarya farna , «утренняя заря») [Боголюбов 1987 : 34]. prnwš სიტყვის პირველი კომპონენტი რომ ირან. farna უნდა იყოს, ჩვენში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა ზოგად სახელთან, არამედ საკუთარ სახელთან, სადაც prn ($\text{parna} < \text{farna}$) პირველი კომპონენტია, რომელსაც დაერთვის bz (baz) როგორც საკუთარი სახელის მეორე კომპონენტი. ამრიგად, აქ უნდა გვქონდეს საკ. სახელი prnbz , როგორც ეს ნავარაუდები აქვს გ. გიორ-

გაძეს. საკუთარი სახელები, რომლებიც შეიცავდნენ ამ კომპონენტებს, ირანულში დადასტურებულია; შდრ. *prnbg* (Farnbag) და *prnhw* (Farnahv) ნიას წარწერებში (Gignoux 1972 : 60), სადაც პირველი კომპონენტი არის სიტყვა *prn* (ირან. *farnah*). იგივე კომპონენტი ჩანს არამაზის წარწერაში მოხსენიებული იბერიის მეფის სახელში *ḥsyprnwg*, *ḥsy-prn-wg*, რასაც ა. ფრეიმანი თარგმნის როგორც „მეფური ბრწყინვალების მქონე“ («обладающий царственным фарном (ореолом, блеском») [Фрейдман 1946 : 160]. არამეულ ტექსტებშივე ირანული წარმოშობის საკუთარ სახელებში მეორე კომპონენტად გვხვდება *bz* (*bāz*) სიტყვაც; *tyrybz* (= *tiribāz*), *mnbz* (თალმ. *mwnbz*, ბერძნ. *Μονόβζωξ*) [Naveh 1972 : 296]. იმავე არამეულ წარწერებში საკუთარ სახელებად დადასტურებულია ორივე ზემოხსენებული კომპონენტი დამოუკიდებლადაც; *prnw* და *bzw* (ეგვიპტის პაპირუსები, ძვ. წ. V ს.) [CAH, 13 : 225; 4 : 204]. ყველა ეს სახელი მამრ. სქესის პირთა საკუთარი სახელებია. ამდენად, ბილინგვაში მოცემული სიტყვა *prnwx*, რომელიც, როგორც ეს კარგად დაგვანახა გ. გაორგაძემ, ირანული წარმოშობის მამაკაც.ს საკუთარი სახელია და შეესატყვისება ირანულ *farnabaz*-ს. აქედან მისი ეტიმოლოგია „ხელბედნიერი; ბედნიერების ხელი“ [ანდრონიკაშვილი 1966 : 499, ჩხეიძე 1984 : 47], თუ *farnah* განვმარტეთ როგორც „დიდება; ბედნიერება; მაღლი“ [ანდრონიკაშვილი 1966 : იქვე, ჩხეიძე 1984 : 86], ხოლო *bāz* „ხელი“. ზოგი მეცნიერი *farnah*-ს განმარტავს როგორც „ბრწყინვალებას“, აქედან; *farnabaz* „ბრწყინვალე ხელი“ ან „ბრწყინვალე ხელის მქონე“ (Justi 1875 : 92). ამ შინაარსთა დაზუსტებას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ *prnwx* ჩვენი წარწერისა არის საკუთარი სახელი და იგი წარმოადგენს ირანული წარმოშობის სიტყვას *Farnabaz*-ს, რომელიც სხვა ანალოგიური წარმოების სახელების ვერადით, რომლებიც იმავე კომპონენტებს შეიცავენ, არამეულში გავრცელებული და ცნობილი იყო. ამდენად, უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ქართ. ფარნავაზ/ფარნავას (ასევე მიიხსოვება ლომხური შესატყვისი ფარნავასიც) არამეულ ტრადიციას იმეორებს და ადგილობრივ წარმოთქმას ასახავს. საინტერესოა, რომ ქართულ წყაროებში ფარნაბაზ (ფარნავაზ) სახელით იბერიაში ცნობილია არა მარტო მეფე, არამედ სხვა პიროვნებაც, მაგალითად, ფარნავაზ სპასპეტი, რომელიც ახ. წ. II—III სს-ში ცხოვრობდა [გაორგაძე 1986 : 158, Меликишвили 1959 : 52]. ი.მის კითხვა, ხომ არ ივლლისხმება ჩვენს წარწერაში არა მეფე ფარნავაზი ძვ. წ. III ს-ისა, არამედ წარწერის თანადროული ქართლის მმართველი სპასპეტი ფარნავაზი? მაშინ მოიხსნება ის სირთულეც, რასაც ქმნის ფარნავაზის (*prnwx*-ის) მოხსენიება მისი ტიტულის (*mlk* „მეფე“) გარეშე, ამასთანავე, ის ერთგვარი უხერხულობაც, რომელიც ახლაც შედარებას ხუთი საუკუნით ადრე არსებულ ფარნავაზთან.

23) *l* *g* *yr*. შესიტყვება *l* *gmyr* (სტრ. 8) გ. წერეთელს მიაჩნია პასიურ მიმღობად ზმნიდან *gmr*, რომელიც ფართოდაა გავრცელებული სემიტურ ენებში და ნიშნავს „დაასრულა, დაამთავრა“. აქედან მისი პას. მიმღობა -- *g'mir* „დასრულებული, დამთავრებული“. ამ უკანასკნელს წინ უსწრებს ნეგაციური ნაწილაკი *l* (*lā*), აქედან—*l* *gmyr* (*lā g'mir*) „დაუსრულებელი, დაუმთავრებელი“ [ბილინგვა : 24]. *gmir* პასიური მიმღობაა მამრ. სქესისა, გ. წერეთლის თქმით კი იგი ქალს—სერაფიტს განეკუთვნება (შდრ. ტექსტის თარგმანი, იქვე : 16). მდ. სქესში *st. abs.*-ში პასიური მიმღობა იქნებოდა *gmyr* (ან *gmyrli*)=*gmīrā* და, მამასადამე, სინტაქსური შეთანხმება სუბიექტთან დარღვეულია. ალტჰაიმისა და შტილის მიხედვით, მოცემული წარწერის ნორმების შესაბამისად, მიმღობა რომ სერაფიტს განეკუთვნებოდეს, გვექნებოდა *gmyrt* (*gmīrā*). მაგრამ აქ მოცემული *gmyr* (მამრ. მიმღ.) ეკუთვნის არა სერაფიტს, არამედ *prnwš*-ს, რომელიც მამრ. სქესისაა. ამდენად, შენიშნავენ ხსენებული მეცნიერები, წინადადება *M* *ZY PRNWŠ l* *GMYR* მართებული არანეგატიური წინადადებაა და არა იდეოგრაფიკული დამწერლობა [Alt./St. 1959 : 252]. აი, სწორედ ეს, აქამდე გაურკვეველი მნიშვნელობის *prnwš*, რომელიც ალტჰაიმისა და შტილის მიერ მართებულად იქნა ცნობილი *l* *gmyr*-ის სუბიექტად, გ. გიორგაძემ ახსნა როგორც საკუთარი სახელი ფარნავაზი. ამრიგად, *l* *gmyr*, რომელიც აქ შემასმენლის როლს ასრულებს, განეკუთვნება „ფარნავაზს“ (*prnwš*-ს). ყურადღებას იმსახურებს *gmyr*-ის შინაარსი. უმკველია, რომ ეს არის მიმღობა მხ. რ.-ისა *st. abs.*-ში, რომელიც არამეულში ჩვეულებრივ პრედიკატის ფუნქციას ასრულებს. მაგრამ რომელი მიმღობაა მოქმედებითი გვარისა თუ ენებითი გვარისა? ყველამ, ვინც კი შეეხო ამ წარწერას (მათ შორის ბოგოლიუბოვმაც, რომელიც ამ სიტყვაში სხვა შინაარსს ხედავს, ამაზე იხ. ქვემოთ), *gmyr* გაშიფრა როგორც პასიური მიმღობა (*gmīr*), რადგან მის ბოლო მარცვალში არსებული *i* უხმოვნო ტექსტებში, ჩვეულებრივ, *y*-ით გადმოიცემა. მაგრამ პასიური შინაარსი ვერ გამოდგება, თუ სუბიექტად ფარნავაზს (resp. *prnwš*-ს) მივიჩნევთ (*l* *gmyr* „დაუსრულებელი, დაუმთავრებელი“ ფარნავაზი?!). ალტჰაიმი და შტილი ამ ადგილის თარგმანს არ იძლევიან. გ. გიორგაძეც *gmyr*-ში პას. მიმღობას ხედავს და *l* *gmyr*-ს სიტყვასიტყვით თარგმნის: „არ (იქნა) დამთავრებული, დასრულებული“ და იქვე შენიშნავს: „მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს დაეუშვათ, რომ ამ შემთხვევაში მწერალმა იხმარა იგი აქტიური ფორმის გამოსახატავად (მსგავსი მაგალითები მრავლად მოიპოვება)“, და სახელდობრ—„არ (ვერ) დაასრულა, არ (ვერ) აღასრულა“ [გიორგაძე 1986 : 156]. მართალია, არამეულში პასიური ზმნეობა ხშირად გამოიყენება აქტიური შინაარსის გადმოსაცემად, მაგრამ ასეთ შემთხვე-

ვაში, უმეტესად, რეალური სუბიექტის წინ დაისმის ნაწილაკი I-, ე. ი. უნდა ყოფილიყო Iprnwš და არა მხოლოდ prnwš; ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში Iprnwš უნდა მოსდევდეს შემასმენელს: I gmyr Iprnwš = „ფარნავაზის მიერ არ იყო დასრულებული“ > „ფარნავაზმა არ დაასრულა“. მაგრამ იმავე არამეულში დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც გარდამავალ ზმნებთან მოდელი qtil იხმარება აგრეთვე როგორც presens perfect ან აწმყო დრო მოქმედებითი გვარის მნიშვნელობით [Kutscher/Naveh 1970 : 312]. იქვე, ა. შპიტალერზე მიუთითებით, შენიშნულია, რომ მალულას ცოცხალ არამეულ დიალექტში დღესაც ფორმა qtil იხმარება სამი მნიშვნელობით: პასივის, Present Perfect-ისა და Perfect-ისა (Spitaler 1938 : 187). qtil ფორმის აქტიური შინაარსით გამოყენების შემთხვევებს ვხვდებით ძველ და საშუალო არამეულის სხვადასხვა დიალექტში (იირიულში, მანდურში, პალესტინის ქრისტიანთა არამეულ მეტყველებაში) [Segert 1975 : 384, § 6. 6. 3. 5. 5; Macuch 1965 : 434, § 287; Nöldeke 1966 210, § 279; Stevenson 1984 : 55, § 4]. მაგრამ ყველგან აქ შენიშნულია, რომ ასეა გარკვეულ ზმნებთან. არ არის გამორიცხული, რომ ანალოგიური ვითარება გვექონდეს არმაზულ წარწერებშიც. არსებობს სხვა შესაძლებლობაც. სახელობრ, gmyr ფორმა წარმოვიდგინოთ როგორც აქტიური მიმღებთა: ომირ „დამსრულებელი, დამამთავრებელი“ > „დაასრულა, შეასრულა, დაამთავრა“ (ან „ასრულებს, ამთავრებს“). როგორც ცნობილია, არამეულ დიალექტებში მოკლე e, i ხშირად plene იწერებოდა (Rosenthal 1939 : 29). ამის საილუსტრაციოდ ალტჰაიმსა და შტილს მოაქვთ სათანადო მაგალითები აქემენიანთა ხანის არამეულიდან: bryk, ოყი და სხვ. [Alt./St. 1959 : 251—252]. (ანალოგიურად შეიძლება განიშარტოს სხვა სიტყვებიც, რომლებიც qtil მოდელის მიხედვითაა გაკეთებული და არმაზის წარწერებში გვხვდება).

ცალკე უნდა შევიჩრდეთ gmyr-ის ბოგოლიუბოვისეულ გაეებაზე. მიუთვის ეს ფორმით პას. მიიღებოდა, მაგრამ არა ზემოაღნიშნული გმრ ზმნიდან, არამედ ამავე თანხმოვნების შემცველი სხვა ძირიდან, სახელობრ ძირიდან გმრ, საიდანაც ნაწარმოებია სახელი „ნაკვერჩხალი“; არამ. gumrā, არამ. ომარ^m (Боголюбов 1987 : 34), და ეყრდნობა რა გმრ-ს ხსენებულ შინაარსს, წინადადებას m) zy prnwš I) gmyr თარგმნის: «что как заря фарна, (которая) еще не воспламенилась» (იქვე). მაგრამ ამ ძირიდან ნაწარმოები ზმნა გმრ ძირითად თემაში (Peal) არ გვხვდება. ცნობილია მხოლოდ ნასახელარი ზმნა, რომელიც იწარმოება სახელისაგან „ნახშირი; ნაკვერჩხალი“ (ძვ. არამ. gwmr), მანდ. gumra, სირ. gumurtā, თარგ. gumrā, არამ. ომარ). „ნახშირს“ ნიშნავს ეს სიტყვა დღესაც არამეულში. („ნა-

კვერჩხლია“ გადმოსაცემად ჩვეულებრივ მას მსაზღვრელად უმატებენ სიტყვას „ცეცხლს“; მანდ. gumria d-nura, [Drower/Macuch 1963 : 83]; თარგ. gumr d³ [Levy 1959 : 146], სირ. gumrē d-nūrā [Payne Smith : 72]). ამ სახელიდან იწარმოება ზმნა ინტენსივში, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივ ნასახელარ ზმნათა წარმოებისას. სირიულში მართლაც გვაქვს ზმნა gammar „ცეცხლი მოედო, აგიზიზდა“ (воспламенитъся). ანალოგიური წარმოება გვხვდება არაბულშიც — ضايرنا «жарить на горящих углях» [Баранов 1977 : 137], ასევე ინტენსივის თემაში. თუ ძველ არამეულშიც გვქონდა ამ მნიშვნელობის ზმნა, იქაც, ცხადია, უნდა ყოფილიყო იგი ინტენსივის თემაში (Pael-ში), რომლის პასიური მიმღობა იქნება m'gammar (უხმოვნო ტექსტში: mgmr!) და არა gmir (gmur), რომელიც თავისი ფორმით ძირითადი თემის პას. მიმღობაა. ამ თემაში კი ზმნა gmr ხსენებული მნიშვნელობით («воспламенитъся») არც ერთ სემიტურ ენაში არ დასტურდება. ვფიქრობთ, ჩვენი წარწერის gmur-ის ბოგოლათოვიანული განმარტება ხელოვნურ ხასიათს ატარებს და არსებულ ვითარებას არ შეესატყვისება.

24) whkyr (სტრ. 8) „აჲ, ამგვარად“—w-hkyr [ბილინგვა : 24]. hkyr, განსაკუთრებით w-კავშირთან ერთად („და აჲ, და ამგვარად“) იწყებს ახალ წინადადებას ან ახალ აბზაცს; თხრობისაჲ გადაჰყავს მკითხველი ერთი ამბიდან მეორეზე: აახლებს საუბარს, თუ რაიმე ჩართულ წინადადებას (ან ამბავს) აქვს აღილი; წინ მიუძღვის დასკვნას, რომელიც მანამდე არსებული მსჯელობიდან გამოდის; „და ამგვარად; და, მაშასადამე“ (=რუ'. ИТАК). გვხვდება იგი რამდენჯერმე არმაზის ერთ-ერთი წინადადებაშიც.

25) მომდევნო სიტყვების ჭხ wšpyr yhwḥ წაკითხვა (სტრ. 9) ბილინგვაში დავას არ უნდა იწვევდეს. აქ გვაქვს ჭხ, špyr, yhwḥ—ყველა მხ. რიცხვში, მამრ. სქესში. პირველი ორი (ჭხ, špyr) სახელია stat. absolutus-ში, მესამე—ზმნა hwy იმპერატივში III პ. მხ. რ. მამრ. ამ სიტყვათა აღნიშნული ფორმების გაგებაში ეჭვი არავის შეაქვს; ჭხ „კარგი, კეთილი“, špyr „ლაშაზი“ [ბილინგვა : 25]. აქვე შენიშნულია: „ყურადღებებს იქვევს მამრობითი სქესის ფორმები ჭხ wšpyr ზედსართავი სახელებისა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სერაფიტის ეკუთვნის. იგივე ეხება ამ სიტყვების მომდევნო ზმნას—yhwḥ, III პირი პერფექტივის მამრ. სქესისა არამეული სიტყვისაგან hwh, hw' „იყო“. ფრაზა whkyr ჭხ wšpyr yhwḥ (სტრ. 9) კუჩერსა და ნავეს მიიჩნიათ რთულ კონსტრუქციად. გაურკვეველია, ვინ არის ქვემდებარე,—აღნიშნავენ ხსენებული მეცნიერები. და შემდეგ: ლოგიკური ჩანს ეს იყოს ქალი (სერაფიტი; კეთილი და ლამაზი), მაგრამ ამას ხელს უშლის ზედსართავისა და ზმნის ფორმები. გაურკვეველია ისიც, თუ რატომ იხმარება

აქ შემასმენლად ზმნის მომავალი, დროის ფორმა (იმპერფექტივი); იქნებ იგი გამოხატავს მოქმედების ხანგრძლივობას წარსულში?—¹უმეინ კითხვაა ისინი და ასკენიანი: „ალბათ აქ, როგორც სხვაგან, შეინიშნება უცხოური ენის კვალი“ [Kutscher/Naveh 1972 : 313]. იგივე ითქმის yhw h სიტყვაზე — მე-10 სტრიქონში (იქვე). აღნიშნული სინტაქსური შეუსაბამობის ახსნას ცდილობენ ალტჰაიმი და შტილი; ყველა ზემოაღნიშნული სიტყვა განეკუთვნება მამრ. სქესის სუბიექტს PRNWS-ს, რომელიც დაბოლოების მიხედვით მამრ. სქესისაა. ამიტომაც yhw h ზმნაც არ არის იდეოგრამა „ის (მამრ.) იყო“-ს მნიშვნელობით, როგორც ეს წარმოუდგენია ჰენინგს, არამედ აქ გვაქვს სწორი არამეული ფორმა და არა ზოგადი ფორმა (general form) ზმნისათვის“ [Alt./St. 1959 : 251]. და შემდეგ: „L GMYR WHKYN ṬB WŠPYR YHWH ვარაუდობს არა სერაფიტს, არამედ ეკუთვნის PRNWS-ს“ (იქვე : 253). ამავე აზრისაა მ. ბოგოლიუბოვიც ṭb wšpyr და yhw h-ს მიმართ [Боголюбов 1987 : 34]. ძნელია ამ მოსაზრებას დაეთანხმო. (ამაზე ქვემოთ, სადაც საუბარია ტექსტის შინაარსსა და ენაზე).

26) hyk zy (სტრ. 9) კავშირია შედარების შინაარსით „ვითარცა, როგორც“. დონერი და როგლივი ამ კავშირს უტოლებენ yk zy-ს [KAI, II : 330], რომელიც ჯერ კიდევ სეფირეს წარწერაში (ძვ. წ. VIII ს.) გვხვდება ამ მნიშვნელობით („როგორც; მსგავსად იმისა როგორც“) [KAI, II : 251] და უღრის ებრაულ ka^ašer-ს. გ. წერეთელი აღნიშნავს ხსენებული კავშირის ამ მნიშვნელობას არამეულში და იქვე შენიშნავს, რომ ჩვენს წარწერაში მას აქვს მნიშვნელობა „ისე რომ“, „რომ“ [ბილინგვა : 25]. მ. ბოგოლიუბოვისეულ თარგმანიდან ჩანს, რომ აქ hyk zy მისთვის არის „როგორ“ («как не лигь слѣз...») [Боголюбов 1987 : 36] არა კავშირის, არამედ ზმნისართის მნიშვნელობით. იქნებ ჯობდეს ეს კავშირი ვთარგმნოთ ასე: „რომლის მსგავსი“?

27) br ṽnš. ტექსტის მე-10 სტრიქონში (hyk zy br ṽnš Ḷ dmr yhw h mn ṭbw t), თუ შეიძლება ასე ითქვას, მდგომარეობა ნორმალურია.

br ṽnš „ვიწმე“ (ზუსტ. „კაცის შვილი, ადამიანი“). ეს შესიტყვება ფართოდაა გავრცელებული არამეულ² დიალექტებში, როგორც ძველში, ისე თანამედროვეში (შღრ. ბილინგვა : 25).

სიტყვა ṽnš-ს კუჩერი და ნავე განიხილავენ როგორც ṽnš სიტყვას („კაცი“), სადაც ყ გადმოსცემს ულტრამოკლე ხმოვანს (შვას) ṽ-ის შემდეგ (ე. ი. =^anāš), როგორც ბაბილონის თალმუდშია [Kutscher/Naveh 1972 : 313]. (ṽnš ფორმის შესახებ იხ., აგრეთვე, კ. წერეთელი 1987 : 98). რაც შეეხება მის წინამავალ სიტყვას br (bar) „ძე“, ეს ერთადერთი შემთხვევაა ჩვენს წარწერაში, სადაც იგი ზოკემგლია st. cstr.-ში, რაც ბუნებრივია არამეულისათვის და არ არის დამახასიათებე-

ლი არმაზის წარწერებისათვის. მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ br ʔynš. უკვე კომპოზიტის სახეს ატარებს ჯერ კიდევ ძველ არამეულში და ასე-დაცაა აღქმული ყველა გვიანდელ არამეულ დილექტშიც იმავე მნიშვნელობით (მდრ. სირ. bar ʔnāšā, თანამედრ. არამ. bar nāša და სხვ., კ. წერეთელი 1987 : 98—99). ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ამ შესიტყვების ნიუბერგისეული ახსნა. მისთვის ეს ორი სიტყვა (br და ʔynš) ერთი სიტყვაა, რომლის ძირითადი ნაწილია ʔyn, თავიკიდური b—არამეული წინდებული, ხოლო ბოლოკიდური š ირანული სუფიქსი (ე. ი. brʔynš < b-ʔyn-š) და ნიშნავს „რაც შეეხება გარეგნობას“. ასეთი ახსნა საყოველთაოდ ცნობილი შეიტყუებისა, რასაც არამეულში სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს („ვინმე“) და აქ კონტექსტში თავის ადგილზე ზის, გაუგებარია. როგორც ჩანს, არ არის ნათელი არც მისი ავტორისათვის, როდესაც br ʔynš შესიტყვებას იგი „ძნელს, რთულს (difficile) უწოდებს [Nyberg 1946 : 240—241].

28) ʔ dṁc yhwḥ შესიტყვებას გ. წერეთელი თარგმნის: „არავინ იყო მისი მსგავსი (სილამაზით)“ [ბილინგვა : 16]. dṁc, ალბათ მიძლეობა dāmē < ზმნ. dṁ) „მსგავსი იყო“, „ჰგავდა, ემსგავსებოდა“ ბოლოკიდური c გადმოცემს e-ხმოვანს, როგორც ჰანდელერშია (იქვე : 26). იქვე შენიშნულია, რომ „შესაძლებელია ყაანი წარწერაში [e-ს აღნიშნავდეს საერთოდ, მაგრამ ეტიმოლოგიური c, როგორც ეს (byd) იტყვიდან ჩანს, თავის ადგილზეა შენახული“ [ბილინგვა : 26, შენ. 2]. ეს კარგად ჩანს სერაფიტ სახელის არამეულად გადმოცემისასაც ამავე წარწერაში: sʔrpyt. [ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე c-ის მეშვეობით e-ხმოვნის გადმოცემა უცხოური სიტყვების ებრაული ტრანსკრიფციისას (მაგალითად, Berlin = bʔrlyn, და სხვ.). როგორც ჩანს, c-ის გამოყენება e ხმოვნის გადმოსაცემად საერთოსემიტური მოვლენაა, ან, ყოველ შემთხვევაში, არამეული, სიდანაც, შესაძლებელია, ეს ტრადიცია გვიანებრაულშიც შევიდა. ასეთსავე გადმოცემაზე e ხმოვნისა c-ით ბაბილონის თალმულში მიუთითებენ კუჩერი და ნავე [Kutscher/Neveh 1972 : 311], რომლებიც c-ს სიტყვაში dṁc განიხილავენ როგორც e ხმოვანს. dṁ)-ს ხედავენ წარწერის dṁc-ში ალტჰაიმი და შტილიც [Altheim/Stiehli 1972 : 253], და, მასასადამე, თარგმნიან როგორც „მსგავსს“. (იქვე პათ მოაქვთ მაგალითები არამეულიდან, სადაც c e ხმოვანს გადმოსცემს). ამრიგად, dṁc, რომელიც, ალბათ, იკითხებოდა როგორც dāmē (ptc. act. < ზმნ. dṁ) და ამით განსხვავდებოდა ამავე ზმნის პერფექტივისაგან dṁmā, რაც dṁ)-დაწერილობით გადმოიცემა, ნიშნავს „მსგავსს“. აქედან შესიტყვება ʔ dṁc yhwḥ — „არ იქნებოდა [მისი] მსგავსი“. ასეთია, ჩვენი აზრით, მისი ზუსტი შინაარსი, რაც ემთხვევა ბერძნულ ვერსიას [ბილინგვა : 17]. სრულიად განსხვავებულად ესმის სიტყვა dṁc მ. ბოგოლიუბოვს. მისი

აზროთ, არამ. *hyk zy br ʔynʂ ʔ dm̄c yhw h mn ʔbw t* არ არის მოცემული ბერძნულ ვერსიაში და, ამიტომ, არ არის აუცილებელი *dm̄c* გაეიაზროთ DMH (=DM) ზმნის მეშვეობით [Боголюбов 1987 : 35]. მას მიაჩნია, რომ წარწერის *dm̄c* შეესაბამება ამავე ძირის ზმნას „ტირო-ლა. ცრემლებს ღვრიდა“, რაც კონტექსტსაც უდგება, რომლის დამატე-ბასაც წარმოადგენს მომდევნო *mn ʔbw t* (რასაც მ. ბოგოლიუბოვი თარგმნის: „სიკეთის შესახებ“) *ʔ dm̄c yhw h* „ის არ დაღვრის ცრემლს (შენი სიკეთის გამო)“ (იქვე : 35—36). ასეთი ინტერპრეტაცია ეპიტაფიისა, სხვას რომ თავი დავანებოთ, უაღრესად უცნაურად და უჩვეულოდ გამოი-ყურება. (ამაზე ქვემოთ უფრო დეტალურად).

29) *mn ʔbw t* (სტრ. 10) *mn* (*min*) წინდებულია (= „გან“ თანდებულს), ხოლო მეორე სიტყვა (*ʔbw t*) აბსტრაქტული სახელია *-wt* (*-ū t*) დაბოლოებით სიტყვისაგან *ʔb* (*ʔab*) „კეთილი; კარგი; ლამაზი (აღამიანი)“. აქედან *ʔbw t* (*ʔābū t*) „სიკეთე; სილამაზე“ (შდრ. ბილინგვა : 26), „ღირსება“; [KAI, II, 328]. ჩვენს წარწერაში, როგორც ყოველთვის, *st. emphaticus*-ის *-ā* დაბოლოება (რომელიც სიტყვის ბოლოს ო ასოთი გადმოიკემა) არ ჩანს. ამ სიტყვის შესატყვისია ბერძნული ტექსტის *καλῆς*; [ბილინგვა : 26, 17]. გამოთქმა *mn ʔbw t* (= *min ʔabū t*) ნიშნავს „სიკეთისაგან; სილამაზისაგან“; ან „სიკეთით, სილამაზით“; მ. ბოგოლიუბოვთან; „სიკეთის გამო“ («по [твоей] доброты») [Боголюбов 1987 : 36].

30) სიტყვა *mʔytyn* (?) (სტრ. 11) მოლის არამეული *mwt*-საგან („სიკვდილი, გარდაცვალება“). ფორმა *mʔytyn* პირველ შეხედვისთანავე წარმოიდგინება როგორც მოქმედ. გვარის მიმღობა, შდრ. იუდ.-არამ. *māyēt*—მხ. რ. მამრ., *māyētā*—მხ. რ. მღ., *māyētīn*—მრ. რ. მამრ. სწორედ ამიტომ წერს გ. წერეთელი ამ სიტყვის შესახებ: „ცოტა უცნაურია ფორმა, რომლითაც ეს სიტყვა არის წარწერაში წარმოდგენილი მიმღ. მრ. რიცხვისა, ან... მიმღობისა და I პირის ნაცვალსახ. ნაწილაკის საშუალებით ნაწარმოები ზმნის ფორმა, ნაცვლად *mʔytynh*-სი?“ [ბილინგვა : 26] და შემდეგ: „სრულებით გაუგებარია *mʔytyn*, მრავლობითი რიცხვი მიმღობისა *ʔmwt* ზმნისაგან?“ (იქვე : 28). ეს სიტყვა უეჭველია ეკუთვნის ეპიტაფიის ობიექტს, რომელიც ქალია. ამიტომ მას გ. წერეთელი თარგმნის: „და გარდაიცვალა (მღ.)“ (რუს. «и умерла») [ბილინგვა : 16, Библия : 23]. ჰენინგის მიხედვითაც ეს ფორმა აქტიური მიმღობაა—*māyēt* „ის ვინც კვდება“ («умирающий») მრ. რ.-ში *māyētīn*. ასევე ვარაუდობს ნიუბერგიც, რომლისათვის *mʔytyn* გაქვავებული ფორმაა და გადმოსცემს „კვლამას“ (ფალ. *murtan*). აქ ეს სიტყვა უნდა წავიკითხოთ როგორც პრეტერიტი ფალ. *murt* „მოკვდა“ [Nyberg 1946 : 241]. ალტჰაიმი და შტილი ხსენებული ფორმის ახსნის ორ

ვარიანტს იძლევიან. რამდენადაც ხსენებული სიტყვის ფორმა მოსალოდ-
 ნელია იყოს მხ. რიცხვია (სუბიექტი სერაფიტია), ამიტომ პირველი ვა-
 რიანტით ავტორები ამ სიტყვას კითხულობენ როგორც *mytt* (და არა
mytyn), ე. ი. აქ *yn*-ის ნაცვლად *t*-ს ვარაუდობენ (ორი ბოლო ნიშანი
 ამ სიტყვისა წარწერაში | ა ერთ ნიშნადაა გაგებული - ჰ), რაც ყველა
 სიძნელეს ხსნის: [Altheim/Stiehl 1959 : 252]. ასეთ შემთხვევაში ისინი
 ამ ფორმაში ხედავენ მდებარეობითი სქესის მიმღობას *t* დაბოლოებით,
 როგორც ეს ამ წარწერაში ყოველთვის გვაქვსო (იქვე). ამ მოაზრების
 მხარდასაქვრად აქ მოხმობილია სუზას 215 წლის წარწერა, სადაც სიტყ-
 ვაში BNYT ბოლოციდური *t* მდ. სქესის ნიშანია (= *banyaṭ*, ვნებ. გვ.
 მიმღ., მდ. <ზწწ. *bnv* „აშენება, აგება“). ამრიგად, მათთვის *mytt* (და
 არა *mytyn*) აქ ვნებ. გვარის მდ. სქესის მიმღობა არის (*maytaṭ*),
 რასაც თარგმნიან: „გარდაიცვალა (ქალი)“. მაგრამ იგივე მეცნიერები
 იმავე სტატიის დამატებაში, სადაც *mytyn*-ის *mytt*-ად წაკითხვას იძლე-
 ვიან, წარმოგიდგენენ სიტყვის წაკითხვის მეორე ვარიანტს. ისინი უარ-
 ყოდენ მის პირველ წაკითხვას და უდავოდ მიაჩნიათ, რომ აქ წერია
 MYTYN (გვ. 253). ეს უკანასკნელი, მათი თქმით, უნდა იყოს I პირი
 (როგორც ამას აღრე აღნიშნავდა პავლე კოკოვცოვი. იმ შესაძლებლობას
 არ გამორიცხავდა გიორგი წერეთელიც) [ბილინგვა : 26]: *myt-yn, ptc.*
მამრ. ძირითად თემაში (Peal) (māṭet) + I 3. ენკლიტიკა 2nh (= 2ⁿnā) >
**māṭet-en* „მე გარდავიცვალე“ (Alt./St. 1959 : 254), როგორც ეს გვაქვს
 მანდეურში მამრ. სქესის ფორმის გამოყენებით მდ. სქესის ფორმის
 ნაცვლად. ანალოგიური წარმოება გვხვდება სირიულში და დღეს ფარ-
 თოღაა გავრცელებული არამეულ დიალექტებში (შდრ. სირ. *qāṭelnā*
 და მდ. *qāṭlānā*, თან. აღმ. არამ. მამრ. *mētīn*, მდ. *mētān* „გვედუ-
 ბი“ <*māytīn, māytān*). (სირიულზე მიუთითებენ ალტჰაიმი და შტი-
 ლიც). მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს ერთი რამ. მიმღობათა ამ-
 გვარი გამოყენება ენკლიტიკური ნაცვალსახელებით შედარებით გვიან-
 დელი მოვლენაა არამეულში. იგი არ დასტურდება ძველი არამეულის
 არცერთ ეტაპზე და, ამდენად, საეჭვოა მისი გამოყენება ჩვენს წარწე-
 რაში. ამასთანავე, აქ კიდევ რომ გამოყენებიანთ ენკლიტიკური ნაცვალ-
 სახელი მიმღობასთან, ტექსტში უნდა გვეჩონოდა არა *mytyn*, არამედ
mytynh (<*myt*+*2nh* „მე“), როგორც ეს შენიშნა გ. წერეთელმა.
 აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიური წარმოება არც არმაზელ წარწე-
 რებში დასტურდება. ყოველ შემთხვევაში, მოცემულ ტექტში ასე არ უნდა
 იყოს. ალტჰაიმსა და შტილს კი, რომლებიც *mytyn*-ის წაკითხვაზე შე-
 ჩერდნენ საბოლოოდ და გაიაზრეს იგი როგორც *māṭetan*, მიაჩნიათ,
 რომ აქ ყოველ შემთხვევაში *e* ხმოვანს გადაჰასცემს (პლენარული და-
 წერილობა) ამ წარწერაში მიღებული წესის შესაბამისად [Alt./St. 1959:

253—254]. აქედან გამომდინარე, ალტპაიმი და შტილი ასკენიან, რომ მთელი ეპიტაფია დაწერილია I პირით (ასე იწყება და ასე მთავრდება), ხოლო იქ. სადაც თხრობა III პირითაა, ის განეკუთვნება არა !ერაფიტა, არამედ Prnwს-ს (გვ. 253). მაგრამ, როგორც დავინახეთ, თხრობა ლოგიკურად მიუთითებს, რომ მთელი ტექსტი არ ყოფილა I პირით დაწერილი, არამედ მხოლოდ მისი პირველი ნახევარი whkyn სიტყვამდე. სხვაგვარად ტექსტი გაუგებარია და არ შეესაბამება მის ბერძნულ პარალელს. ამასთან დაკავშირებით გ. წერეთელი წერს: „არა, რა თქმა უნდა, გამორიცხული, რომ mytyh იყოს ზმნის ფორმა, ნაწარმოები მიმღობისა და პირველი პირის ნაცვალახლოვანი ნაწილაკისაგან, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, გვეჩვენა არასწორი დაწერილობა (mytyh, ნაცვლად mytyh-სი), ხოლო მეორე მხრით, არაბუნებრივი მოთხრობა ტექსტისა; დასაწყისი პირველ პირში, გაგრძელება მესამეში და დასასრული ისევ პირველში“ [ბილინგვა : 28]. კუჩერი და ნავე კი ზემოხსენებული ვითარების გამო მიიჩნევენ, რომ ალტპაიმისა და შტილის შემთავაზებული ვარიანტი mytt უკეთესია. ვიდრე mytyh, თუნდაც ეს უკანასკნელი შესაძლებელი იყოს. და იქვე შენიშნულია, რომ ფორმა mytyh როგორც აწმყო დრო ყი-თან ერთად ამ ეპოქისათვის: დაუსაბუთებელია და აწმყო დროც კონტექსტს არ შეესაბამება [Kutscher/Naveh 1972 : 313]. რა შეხება mytt-ს,—აღნიშნავენ ხსენებული მეცნიერები, ის შეიძლება აიხსნას როგორც mitat, ე. ი. „მოკვდა“ (მდ.), სადაც უკანაგვიანოთ როგორც i ხმოვნის გამოხატულება, როგორც ეს გვაქვს rʸšwān (rišōn) მკვდარი ზღვის გრაფიკებში. მსგავსი მოვლენა გვხვდება პართულ წარწერებში (სადაც rʸš = რჯ), რომლებიც დაახლოებით იმავე ხანას განეკუთვნება, რასაც ჩვენი წარწერები (იქვე). პენინგისათვის MYTYN—ptc. pl. f. გაგებულია როგორც იდეოგრამა იმავე სქესის (მდ.) მხ. რიცხვისათვის:— „she died“ (Henning 1958 : 39). ამ სიტყვის ასეთი გაცხება მოგვცა ჩვენი წარწერის პირველმა გამოძენელებმა გ. წერეთელმა: „ამ ფორმის (mytyh) ხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამართლებული თუ მას იდეოგრამად მივიჩნევთ“ [ბილინგვა : 28]. იდეოგრამად მიიჩნევენ ამ სიტყვას ჯინიუც, რომელიც მას ათავსებს თავის პარძულ ლექსიკონში და კითხვლობს როგორც murd „ის (ქალი) გარდაიცვალა“ [Gignoux 1972 : 57]. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მდ. სქესის მრძელობის მხ. რიცხვის გადმოსაცემად (она умерла) გამოეყენებინათ მისი მრავლობითი რიცხვი. (ჩვეულებრივ სახელები, მათ შორის მიმღობებიც, -yh (= īn) დაბოლოებით მრ. რიცხვის ფორმად გაიზარება და ირანულად მათ მრ. რიცხვის სახელებივე შეესატყვისება: MLK—šāh „მეფე“, MLKYN—šāhān „მეფეები“ SWSYN—aspān „ცხენები“ და მისთ. [Gignoux 1972 : 57, 64 და სხვ.]. იდეოგრამად

არამეული სიტყვის გამოყენებაც გარკვეული წესებით გინსაზღვრულია; იგი არ არის თავისუფალი; არამეული სიტყვა თავისი ფორმით (რიცხვისა და სქესის თვალსაზრისით) უნდა შეესატყვისებოდეს სათანადო არანულ სიტყვას (შდრ. MLKYN MLK) — šāhān šāh „მეფეთა მეფე“ და MLKT^ი MLKT^ა — bāmbiṣnān bāmbiṣn „დედოფალთა დედოფალი“. პირველ შემთხვევაში შესიტყვების პირველ კომპონენტად გამოყენებულია მამრ. სქესის სახელის მრ. რიცხვის ფორმა mālkīn, მეორე შემთხვევაში — მდ. სქესის სახელის მრ. რიცხვის ფორმა — malkātā. თუმცა იმავე თინიუს პართულ ლექსიკონში არამეული იდეოგრამა მრ. რ-ის ფორმით გვხვდება მხ. რ-ის შინაარსის გადმოსაცემად NN — პართ. pāb „ფეხი“ [Gignoux 1972 : 57], ო. PYN — პართ. hazār „ათასი“ (იქვე, 45). „myty^ი სიტყვა გაურკვეველია“, — აღნიშნავენ დონერი და როელიგიც. მათთვის ძნელია ამ სიტყვის ახსნა როგორც ძირითადი თემის მოქმედ. გვარის მამრ. სქესის მრ. რიცხვის ფორმისა ზმნიდან mwt „გარდაცვალება“, რამდენადაც, როგორც იანინი სამართლიანად აღნიშნავენ, ამათი გააზრებისას ანგარიში არ ეწევა არც სქესს და არც რიცხვს (KAI, II : 330). ამდენად, ხსენებულ მეცნიერებს უფრო შესაძლებლად მიაჩნიათ ალტაიზმისა და შტილის ზემოხსენებული ვარაუდი — myty^ი (māb-eten) < *māb-ēnā, ანდა წაკითხვა mytt, რაც გამოხატავს მდ. სქესის მიმღეობას მხ. რიცხვში (იქვე). მ. ბოგოლიუბოვისათვის ფორმა myty^ი წარმოადგენს არა I ან III პირს, არამედ პერფექტივის II პირს, რისთვისაც მას უხდება მეორე t-ს აღდგენა: myt(t)y^ი „შენ გარდაიცვალე“, რაც გამართლებულია, მისი აზრით, ობლიკ-ის წაკითხვითაც ობლიკ-ის ნაცვლად [Боголюбов 1987 : 35]. როგორც ცნობილია, mwt ზმნის პერფექტივის II პ. მდ., მხ. რ. უნდა ყოფილიყო mytty (*mitti), როგორც ეს დადასტურებულია კრელინგის მიერ გამოცემულ ერთ-ერთ პაპირუსში (№ 4 : 17) და რომელსაც უტოლებს ბოგოლიუბოვი ჩვენი წარწერის მოცემულ სიტყვას — myty^ი, სადაც t გარკვევებულად მიიჩნევა და ამიტომ იგი აღდგენილია ფრჩხილებში, ხოლო ბოლოკიდური n მიჩნეულია „დამატებით ნუნად“, რომელსაც იგი ხედავს სახელმწიფო-არამეულ სიტყვაში ობლიკ-ის (ጫጫ-ის გვერდით) < ზმნიდან ობლიკ-ის „ხედავა“ — II პ. მხ. რ. მდ. იმპერფექტივი [Боголюбов 1987 : 35] (შდრ. DISO : 145; 84, 85). რაც შეეხება ალექს მეორე ასოდ მოცემულ სიტყვაში, იგი უყურადღებოდაა დატოვებული. როგორც ჩანს, მეცნიერი მასში დაბრკოლებას არ ხედავს.

საყურადღებოა, რომ ალექსი (?) წარმოთქმაში არსებული y-ის ნაცვლად ან y-თან ერთად II ძირეულის ადგილას გვხვდება როგორც ცარიელ ზმნებში (ე. ი. mwt ტიპისა) ძველ, ისე ახლ. არამეულ წერილობით ძეგლებში: mwt (mytt ფორმისათვის) < mwt, I პ., მხ. რ., მამრ.,

პერფექტ. სახელმწ. არამეულში, იუდეურ-არამეულ წარწერებში— $m\dot{a}y\ddot{t}$ (ptc. act., მამო., st. abs.) [DISO 145], თარგუმის ტექსტებში— $m\dot{a}y\ddot{t}$ (მაგრამ მდ. $m\dot{a}y\ddot{t}\ddot{a}$, მრ. $my\ddot{t}yn$, Levy 1959 33). ქრისტ. არამ. $m\dot{a}y\ddot{t}$ -ის გვერდით [Schulthess 1965 107], მანდ. $m\dot{a}y\ddot{t}$ [Nöldeke 1964 250] და სხვ. (ასეა დღესაც დიალექტებში: $k'm\dot{a}y\ddot{t}$ „კვლება“, თუმცა ასეთ შემთხვევაში იწერება $k\dot{i} m\dot{a}y\ddot{t}$). ზუსტად ამ ფორმათა, ანალოგიურია ჩვენი წარწერის სიტყვის ძირითადი ნაწილი $m\dot{a}y\ddot{t}$ (თუ $m\dot{a}y\ddot{t}$ -ი?). ამრიგად, აქ $\dot{a}y = y$. ასეთი შემთხვევები აიხსნება ორთოგრაფიული ანალოგიით მხ. რ-ია ფორმისადმი, სადაც ძველ არამეულში. (და ახალშიც) მეორე ძირულად w თუ y თანხმონგების ნაცვლად აღეფი (?) გვევლინება. ასეთ შემთხვევაში შემორჩენილია ორთოგრაფიაში \dot{a} , რომლის გვერდით, ზოგჯერ, წერია, მის ნაცვლად წარმოთქმაში რეალურად არსებული y ($\dot{a}y$) [Segert 1975 289, § 5. 7. 6. 5. 4]. მთელი სირთულეს ქმნის სიტყვის დაბოლოება. თუ ეს არის $-y\dot{n}$ ($=\dot{i}n$), მაშინ საქმე მრ. რ-ის მამრ. სქესის სახელთან გვაქვს, რაც, როგორც ზემოთ. ითქვა, არამეული ტექსტისათვის გამორიცხულია. ყველა შემოაღნიშნულ წაკითხვათაგან ყველაზე მართებული, ტექსტის თვალსაზრისით, არის მოცემული დაბოლოების წაკითხვა არა $y\dot{n}$ -ად, არამედ t -დ. ისმის კითხვა: ხომ არ არის აქ შეცდომით დაწერილი t -ს ნაცვლად $y\dot{n}$ (მდრ. | \dot{a} და \dot{a} დაწერილობანი)? იქნებ დამწერს \dot{a} -ს ორი შემადგენელი ელემენტი—ვერტიკალური ხაზი ($=n$) და მასზე მირჯენიდან მიერთებული მორკალული ხაზი ($=y$) დაცილებულია; ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ასო t მონოლინგვაში, სადაც ზოგჯერ t -ს შემადგენელი ელემენტები | და \dot{a} ($t-\dot{a}$), ერთმანეთისაგან დაცილებულადაა დაწერილი: | \dot{a} (მდრ. სიტყვა $bmsyt$, Церетели 1962 375, Alt./St. 1961 173). თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ მივიღებდით $m\dot{a}y\ddot{t}l$ -ს, სადაც $\dot{a}y$ ერთ ბგერას \dot{i} -ს (რაც ჩვეულებრივ y -ით ვადმოიცემა) ვამოხატავს. მაშ, $m\dot{a}y\ddot{t}l = my\ddot{t}l$ დაწერილობას და, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ზმნა mwl -საგან ნაწარმოებ პერფექტივის III ბ. მხ. რ. მდ. სქესის ფორმასთან — $m\dot{i}l\dot{a}t$ „გარდაიცვალა“ (ქალი), ან $P\dot{C}i$: თემის მიმღობასთან მხ. რ-სა და მდ. სქესში, რაც ასევე ჯღერს $m\dot{i}l\dot{a}t$. მისი მნიშვნელობაც იდენტურია. ეს მოსაზრება პირველად, როგორც ჩვენ ვნახეთ, წამოაუყენეს ალტაიმმა და შტილმა, რომლებმაც შემდეგში იგი უარყვეს (იხ. ეგ. 42—43). ყოველ შემთხვევაში ჩვენ სავსებით! ევთანხმებით უჩიერსა და ნაყვს, რომ ეს ვარიანტი უკეთესია, ვიდრე ვარიანტი $m\dot{a}y\ddot{t}yn$ [Kutscher/Naveh 1970 313].

არის ცდა მოცემული სიტყვის $y\dot{n}$ დაბოლოება ახსნან როგორც ენერგეტივის ფორმანტი (ბიზლ.-არამ. $-i\dot{n}n$) [Григорядзе/Шифман 1988 10]. მაგრამ ხსენებული ფორმანტი გვხვდება მხოლოდ იმპერფექტივთან და, როგორც წესი, ობიექტური ნაცვალსახელ. სუფიქსების წინ. $y\ddot{t}l\dot{p}in$ -

nah „იგი აძლევს მას (მღ.)“ <ზმნ. ntн „მიცემა“, თუმცა სახელმწ. არამეულში დასტურდება ორიოდ შემთხვევა ენერგეტივის ფორმანტის დართვისა ხსენებული სუფიქსების გარეშე; yhid „ია დაიპყრობს“ <ზმნ. ჰჰd), მაგრამ აუცილებლად იმპერფექტივის ფორმასთან (მღრ. Segert 1975 : 253, § 5. 6. 5. 3. 3).

31) bšnt (სტრ. 11). სიტყვა bšnt ორი ნაწილისაგან შედგება: b წინდ. (=ჟართ. „ში“), და šnt, რომელიც წარმოდგენს st. cstr.-ს სახელისა šnh „წელი“. ამ უკანასკნელს მოსდევს რიცხვი 21 და იგი მიუთითებს ეპიტაფიის ობიექტის,—სერაფიტის ასაკზე გარდაცვალების ეამს. ამასთან დაკავშირებით გ. წერეთელი სამართლიანად შენიშნავს: „გამოთქმა bšnt 21 ცოტა უცნაურია, არამეულის თვალსაზრისით მოსალოდნელი იყო brt šnt კონსტრუქცია, რომელიც დამახასიათებელია :ემიტურ ენათა დიდი ნაწილისათვის ხნოვანების აღსანიშნავად“ [ბილინგვა, 26]. (მღრ. brt šnt 18, ჰათრა, ზუსტ. „ასული 18 წლისა“ > „18 წლი! (ქალი)“, DISO: 43; ასევე თანამედროვე არამ. bar ḥamša šini „5 წლის (ვაჟი)“, ზუსტ. „ძე 5 წლისა“). ან ხომ არ ნიშნავს bšnt 21 „21-ე წელში“, როგორც იგივე გ. წერეთელი ტექსტის უფრო გვიანდელ გამოცემაში იძლევა: «И умерла на 21-м году (жизни)» [Церетели 1948: 50], მაგრამ ბერძნულ ტექსტში, რომელიც იქვე გამოქვეყნდა, „21 წლისა“ გვაქვს, და არა „21-ე წელს“, როგორც ეს მოცემული აქვს გ. წერეთელს. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ტოდის მიერ წარმოდგენილი ინტერპრეტაცია სათანადო ადგილისა ბილინგვის ბერძნულ ტექსტში. რამდენადაც νεώτερος პირველადი (და ძირითადი) მნიშვნელობაა „უფრო ახალგაზრდა“ და იგი საკმაოდ დაშორებულია Σηραφετιδ-ს, მასთანავე უძახ „შედარების გენეტივა“, რაც გამოყენებულია სერაფიტის ნაადრევად გარდაცვალების ფაქტის გასაძლიერებლად, ტოდი სათანადო ადგილს თარგმნის: „გარდაიცვალა უფრო ახალგაზრდა ვიდრე 21 წლისა“ („Died younger than twenty-one years“, Tod 1943 : 84). თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, ბილინგვი არამეული ტექსტის ბოლო ფრაზა არამეულად გამართული იქნებოდა: w'miṣat bart šanaṭ 21 „და გარდაიცვალა 21 წლისა“. (რამდენადაც „bšnt 21“ არამეულისათვის უცხოდ ბგერს, ეგების წარწერაში მოცემული bšnt შემოკლებით გადმოსცემს შესიტყვებას b[rt] šnt...?); ანდა ეს ნაწილი ტექსტისა უნდა წაიკითხოთ როგორც w'miṣat bšanaṭ 21 და ვთარგმნოთ „და გარდაიცვალა 21-ე წელს“.

ბილინგვის არამეული ტექსტის განხილვის შემდეგ წარმოვადგენთ მის ტრანსლიტერაციას, ტრანსკრიფციასა და თარგმანს.

1. ტრანსლიტერაცია

1. ʔnʔ sʕrpyt̄ brty zy
2. zywh̄ qlyl b̄t̄ḥš zy prsmn
3. mlk ʔntt zy ywdmngn wnšyḥ
4. wkbyr ʔrwst ʕbydʔ rb
5. trbš zy ḥsprnwg mlk bry
6. zy ʔgryp rb trbš zy
7. prsmn mlk ḥbl ḥblyn mʔ
8. zy prnš/š lʔ gmyr whkyn
9. t̄b wšpyr yhwh hyk zy br
10. ʔynš lʔ dmc yhw mn
11. t̄bwt wmʔytt bšnt 2l.

2. ტრანკრიფცია

1. ʔanā Serapiṭ bart(y) zī
2. Zewaḥ qallīl biṭaḥš Parsman
3. malk (meleḳ) ʔantaṭ zī Yodmangan wʔnāših̄
4. wʔk̄ābir ʔarwast ʕḥīdā rah̄
5. tarbaš zī Ḥseparnug malk (meleḳ) bar(y)
6. zī ʔAgrip rah̄ tarbaš zī
7. Parsman malk (meleḳ) ḥābīl ḥābīln mā
8. zī Parnawaš lā gāmīr wʔhāḳēn
9. t̄ab wʔšappīr yahwē hayk zī bar
10. ʔinš lā dāmē yahwē min
11. t̄abut̄ wʔmit̄at̄ b-šanaṭ 2l.

3. თარგმანი

მე [ვარ] სერაფიტი, ასული ზევახ მცირისა, ფარსმან მეფის პიტიახ-
შისა, მეუღლე იოდმანგანისა, [რომელიც] იმარჯვებდა და ამრავლებდა
[ადრე] გაკეთებულ საემირო საქმეებს, [და არის] ეზოსმოდღვარი ქსე-
ფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოდღვრისა ფარსმან მეფისა, [რომელ-
მაც] სძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა ვერ დაასრულა. და, ასე,
[სერაფიტი] იყო კეთილი და ლამაზი, რომლის შავავსი არაეინ იყო
სილამაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა (ან: 21-ე წელში).

არმაზის ბილინგვისის ის ნაწილი, რომელიც არამეული დამწერლობითაა შესრულებული, კარგა ხანია დევას იწვევა მისი ენის თვალსაზრისით: რა ენაზე დაწერილი არამეოგრაფიკული ტექსტი. ექვი ამ ტექსტის გამოცემისთანავე გაიწნა, რასაც ტექსტში არსებული ირანული წარმოშობის სიტყვებისა და გრამატიკული ელემენტების არსებობის, ასევე არამეული (resp. სემიტური) გრამატიკის თვალსაზრისით დარღვევის გამო მოთქვამდნენ. ეს ექვი, პირველად უოვლინა, გაუიწნა ტექსტის პირველ გამოცემელს გიორგი წერეთელს, რომელიც, ეყრდნობოდა რა ტექსტის თავისეულ წაკითხვას, ზუსტად აღწუსდა მისი ენის ირანულობისა თუ არამეულობის სასარგებლო თუ საწინააღმდეგო საბუთებს. იგი მართებულად შენიშნავს, რომ არმაზის ბილინგვისის ენის საკითხი საკმოდ რთულია და საეციალო:ტებისთვისაც კი ღიდ სიძნელეს წარმოადგენს [წერეთელი 1949 : 383]. ალბათ ამიტომ არჩევს გ. წერეთელი „არმაზული დამწერლობის“ გვერდით ახსენოს „არმაზული ენა“ („იბერიის მმართველთა ოფიციალური დოკუმენტების ენა იყო „არმაზული“ [Церетели 1948 : 56], რომელიც „არმაზულ დამწერლობაა“ იყენებს, არმაზულ ძეგლებში გვხვდება, თვით მისი რაობა კი გაურკვეველია. „არმაზის წარწერების ენის საკითხი... აქამდე არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს“, — შენიშნავს ა. ფერიხანიანი [Периханиян 1964 : 131].

ტექსტის ენის საკითხს შეეხო მრავალი მეცნიერი, ძირითადად სემიტოლოგები და ირანისტები: უკანასკნელთათვის (ნიუბერგი, ბენენისტი, ეინიუ და სხვ.) ტექსტის ენა ირანულია, რომელიც იმ ხანებში (I—II სს.) არამეულ დამწერლობას იყენებდა. ასე, მაგალითად, პ. ს. ნიუბერგი, ვარაუდობს რა არმაზის ბილინგვისის არამეოგრაფიკული ტექსტის ენად ფალაურს [Nyberg 1946 : 229], იძლევა მის ლათინურ ტრანსკრიფციას სწორედ ფალაურ ენაზე (იქვე : 235), ხოლო ეინიუს ბილინგვისის ტექსტის ყველა სიტყვა პართული წარწერების ლექსიკონში აქვს შეტანილი (Gingoux, 1972). ფალაურად დაწერილად ვარაუდობს აკაკი შანიძეც ხსენებულ ტექსტს [შანიძე 1941 : 584]. ირანულად მიაჩნია ტექსტი ცნობილ ირანისტს ვ. ჰენინგსაც, მაგრამ იგი შენიშნავს, და საესებით მართებულადაც, რომ ბილინგვისის არამეოგრაფიკული ტექსტის „ცალკეულ სიტყვათა ორთოგრაფია და გრამატიკული ფორმები არ თავსდება დღემდე ცნობილი არც ერთი საშუალო ირანულის ჰეტეროგრამათა სისტემის ჩარჩოებში“ [Henning 1959 : 38—40]. ამასვე იმეორებს ა. ფერიხანიანიც [Периханиян 1964 : 132]. ამიტომ ჰენინგი სვამს კითხვას: ხომ არ გვაქვს აქ უცნობი ირანული ენა? დასძენს: „მონოლინგვისის ენა ჯერ კიდევ არამეულს უნდა იყოს“. მაგრამ არმაზის სტელებს

შესწავლა ცხადს ხდის, რომ ორივე სტელის ენა ერთი და იგივეა (სხვათა შორის, ამ დროს ირანულად წერას ზოგიერთი მეცნიერი საერთოდ უარყოფს: ალტჰაიმი, რ. შტილი, რ. მაკუხი, ი. ვინიკოვი). თითქმის ყველა სემიტოლოგი არმაზის ბილინგვის არამეოგრაფიკულ ტექსტს არამეული ენის ძეგლად მიიჩნევს (ფრ. ალტჰაიმი, რ. შტილი, პ. დონერი, ვ. როელიგი და სხვ.). ამ აზრს იზარაბენ ირანისტები: პ. ბეილი [Bayly 1943 : 2—4], ა. ფერიხანია [Перихания 1964 : 136—137] და მ. ბოგოლიუბოვი [Боголюбов 1987 : 30—31]. ზოგიერთი ირანისტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ არმაზის წარწერების ენა შესაძლებელია იყოს ქართული, რომელიც ჰეტეოგრაფიკულადაა გადმოცემული. ასეთი ვარაუდი გამოთქვა ვ. აბაევმა [აბაევი 1944 : 824], ხოლო ა. ფრეიმანი ამ ტექსტის ენაზე მსჯელობისას შენიშნავდა: „აუცილებელია შეგვემოწმებინა, რომ არ გვაქვს ბილინგვაში მოცემული ცდა არამეული იდეოგრაფების ძველი ქართული ენისათვის გამოყენებისა“ [Фрейман 1946 : 162]. ტექსტის ქართულად წაკითხვა შესაძლებლად მიიჩნია რ. ფრაიმაც, მაგრამ მოგვიანებით იგი უარს ამბობს სხენებულ მოსაზრებაზე და ახლა უკვე შესაძლებლად მიიჩნევს ბილინგვის არამეოგრაფიკული ტექსტი საშუალო სპარსულად წაკითხვით [Frye 1954 : 134, შდრ. Frye 1952 : 96].

„რამდენადაც ბილინგვის ტექსტი თითქმის მთლიანად არამეული სიტყვებისაგან შედგებოდა,—წერს გ. წერეთელი, იბადებოდა კითხვა ენის არამეული ხასიათის შესახებ. მე მოვიყვანე ყველა შესაძლებელი საბუთი არამეულის სასარგებლოდ, მაგრამ ავლნიშნე მთელი რიგი მოვლენა, რომელიც არამეულის თვალსაზრისით არ შეიძლებოდა ახილიყოფილიყო“ [წერეთელი 1949 : 383]. პირველ რიგში ეს ეხება ტექსტის სინტაქსურ მხარეს, რამდენადაც ხსენებული მეცნიერები მიუთითებენ შეუთანხმებლობას სქე.ში მსაზღვრულ-საზღვრულისას, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, შეუთანხმებლობას სუბიექტისასა და პრედიკატისას სქესსა და რიცხვში. გაუგებრობას ქმნის ტექსტში მოცემული ამბის თხრობისას: თანამიმდევრობაც, ასევე მსაზღვრულ-საზღვრულის ადგილი წინადადებაში და ზოგი სხვა. იმავე ანომალიებზე არამეულის თვალსაზრისით არმაზის ბილინგვაში მიუთითებს ა. ფერიხანიაიც, რომელიც მათ გარნის წარწერასთან საზიაროდ მიიჩნევს [Перихания 1963 : 133—134].

განვიხილოთ ეს „დარღვევები“ კიდევ ერთხელ ტექსტის ენის საკითხთან დაკავშირებით.

1. მსაზღვრელი დგას საზღვრულის წინ, რაც არამეულის თვალსაზრისით მიიჩნევა გაუგებრობად: qlyl bḫḫ („მცირე პიტიაში“) (გ. წერეთელი). როგორც ზემოთ qlyl სიტყვაზე მსჯელობისას დავინახეთ, qlyl ეკუთვნის არა მომდევნო სიტყვას (bḫḫ), არამედ წინამდებელ სიტყვა zywh-ს, მას ეთანხმება სქესსა და რიცხვში (zywh—„ზევას“ საკ. სახე-

ლია მამრ. სქესისა, მამრ. სქესისაა ზისი მსაზღვრელიც qyl:zywḥ qyl „ზევახ მცირე“ და მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობაც საცებით გამართლებულია არამეული სინტაქსის თვალსაზრისით. ამდენად, ეს „გაუგებრობა“ თუ „შეცდომა“ არამეული გრამატიკის პოზიტივიდან მოხსნილია.

2. სახელის ხმარება status absolutus-ში status emphaticus-ის ნაცვლად (prsmḥ mlk, და არა prsmḥ mlk?). მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს მოვლენა დამახასიათებელია მხოლოდ სომხეთსა და საქართველოში მოპოვებული არამეული წარწერებისათვის (სეფანი: ᲞᲗᲕᲗᲑᲑ ᲙᲗᲕ, გარნი: wlgᲑ mlk) და ეს არის არა st. abs.-ის ფორმა (ე. ი. განსაზღვრული), არამედ „მოკვეცილა“ status emphaticus-ი (ე. ი. განსაზღვრული მდგომარეობა სახელის არტიკლის გარეშე, შდრ. [Борисов 1946 : 101, Дьяконов/Старкова 1955 : 166—167]). სწორედ ამიტომაც გრელო st. emph.-ის ā დაბოლოებას ტექსტის ტრანსკრიფციაში ფრჩხილებში აღადგენს: qallil[ā], biḥāḥ[ā], malk[ā] [Grelot 1958 : 13]. გაუგებარია მ ბოვლიუბოვის გაკონათქვამი, რომ წერისას არტიკლის არჩვენება არმაზის ეპიტაფიას აახლოებს სპარსეთის იმპერიის არამეულთან [Борисов 1987 : 31]. ასეთი რამ სახელმწიფო არამეულში (და არა უფრო გვიანდელ ტექსტებში) არ ჩანს [შდრ. Leander 1966 : 35, Segert 1975 : 190—191]. საყურადღებოა, რომ ბილინგვაში st. emphaticus-ის ā-დაბოლოებიანი ფორმები (-) საერთოდ არ დასტურდება.

3. რელაციური ნაწილაკის zy-ს წინ სახელის ხმარება st. constructus-ში არაარამეულ მოვლენადაა მიჩნეული (ᲞᲗᲗᲑᲑ ᲗᲑᲗᲙᲗᲑᲑᲗᲑᲑ). მაგრამ ანალოგიური შემთხვევები უფრო ძველ არამეულ ტექსტებშიც დასტურდება (შდრ. სეფანი: br zy zrytr), თუმცა შესაძლებელია ასეთი „ორმაგი status constructus-ი“ (ნათესაობითი ბრუნვის პლურასტური გადმოცემა) მხოლოდ არაარამეულენოვან გარემოში (სომხურენოვან, ქართულენოვან გარემოში გვხვდება). (ე. ლიეშიცის მოსაზრება, რომ კონსტრუქციას BR ZY ZRYTR შეეძლო გადმოეცა ირანული იზაფეთური კონსტრუქცია, Дьяконов/Старкова : 172, საეჭვოა, რადგან მისი ანალოგია საშ. ირანულ ტექსტებში არ დასტურდება).

4. kbȳr და nṣyḥ სიტყვების აქტიური მნიშვნელობა გაუგებრდაა მიჩნეული, რამდენადაც ეს სიტყვები თავისი ფორმით გაგებულია როგორც ვნებითი გვარის მიმღობა. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ არმაზულისათვის, როგორც ზოგჯერ სხვა არამეული დიალექტებისათვის, დამახასიათებელია გრაფიკაში e/i ხმოვნის აღნიშვნა y ასოს მეშვეობით. აქედან—kbȳr = kābir და nṣyḥ = nāṣiḥ („გაამრავლა“ და „სძლია“, ან „ამრავლებდა“ და „სძლევდა“), ანდა ეგების, როგორც ეს დღეს მალულას დიალექტშია, მოღელი qṭil (აქი kbīr და nṣiḥ) გადმოსცემს აქტიურ

მოქმედებას წარსულში? (იხ. ზ. გვ. 38). ა. ფერხანბანიანისათვის *псых* ვნებითი გვარის მიმღეობაა, აქედან — „ძღვეული“ («побежденный») და ეს ფორმა მას არამეული ენის თვალსაზრისით ანომალიად მიაჩნია, რადგან იგი ტექსტში გვაქვს „მძღვეული“ («победоносный») სიტყვის ნაცვლად [Перухания 1964 : 133].

ცალკე უნდა გამოიყოს ბილინგვის ტექსტის მეორე ნაწილი *whkyn*-ის შემდეგ, როდესაც თხრობა I პირიდან III პირში გადადის და ყველა ზმნა თუ სახელი მამრ. სქესშია წარმოდგენილი მღედრობითის ნაცვლად (ქხ, ჰყრ, ყჰჰ), თუმცა აქ ეპიტაფის ობიექტი (სერაფიტი) ივარაუდება. საგულისხმოა, რომ სქესში შეთანხმების დარღვევის წინ სრული შეთანხმება როგორც მამრ. სქესის სუბიექტსა და მის პრედიკატს, ასევე მღ. სქესის საზღვრულსა და მის მსაზღვრელს შორის:

ywdmngn (მამრ.) — *псых*, *kbyr*;

prsmn (მამა.) — *хбл* (მამრ.);

prwš (მამრ.) — *gmyr* (მამრ.);

Თynš (მამრ.) — *l̄ dm̄ yhwh* (მამრ.);

Თrwst (მღ.) — *сbyd* (მღ.).

დარღვევა შეთანხმებაში გვაქვს ორ ზედსართავთან (ქხ და ჰყრ), რომლებიც მამრ. სქესშია და ლოგიკურად განსვენებულ სერაფიტს განეკუთვნება, რაც პარალელური ბერძნული ტექსტითაც დასტურდება. (ამდენად, აქ საქმე გვაქვს დამწერის შეცდომასთან და არ არიან მართალნი ალტპაიმი და შტილი, რომლებიც ამ ზედსართავებს *prwš*-ს მიაკუთვნებენ). რაც შეეხება ქხ და ჰყრ-თან „ყოფნა“ ზმნის მამრ. სქესის ფორმის ხმარებას (*yhwh*), ეგებბის ეს გამოწვეულია ქხ და ჰყრ-ის მამრ. სქესში დასმით, რომელთა საზღვრული, მათი ფორმიდან გამომდინარე, მამრ. სქესში ივარაუდება. მაგრამ ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, მასთან ერთად უნდა განვიხილოთ ტექსტში მოცემული თხრობის საკითხი. აქ, როგორც ჩანს, თხრობა I პირში იწყება (Ბnh) და შემდეგ კი III პირში გრძელდება. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაწილაკისა თუ კავშირის (*w*, *whkyn*, *wkyn*) ხმარებას. ისინი თხრობისას გარდა საკუთარი ფუნქციისა („და“-კავშირი, „როდესაც“, „ასე, ამგვარად“), ასრულებენ წინადადებათა თუ აზვაცთა დამყოფის ფუნქციასაც. ეს კარგად ჩანს ჩვენს ტექსტში და იგი ზოგიერთ გაუგებრობას ხსნის.

კავშ. *w* („და“) აქ გვხვდება თავისი პირველადი ფუნქციით: *wnpsyh* *wkbyr*, ქხ *wჰყრ*. რაც შეეხება *whkyn* სიტყვას, იგი ერთხელაა ნახმარი და ტექსტის ერთგვარ დამყოფად გვევლინება. მანამდე ტექსტი I პირით თხრობას უნდა ვარაუდობდეს. იგი მოგვიტხრობს მთხრობლის ვინაობაზე, სადაც ბოლოში განმარტებულია, თუ ვინ არის ის მეფე, რომელთა-

ნაც მისი მამა პიტიახშია, და მისი (მეფის) განდიდების მიზნით ნათქვა-
მია, რომ ეს ის პირია, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა (სძლია მძლეველ-
ნი). რაც ფარნავაზმა ვერ შეასრულა. აქ წყდება თსრობა I პირით და
whkyn-ის („და ასე, ამგვარად“) საშუალებით დამწერი უკვე III პირით
გვესაუბრება განსვენებულის შესახებ, საუბარს აგრძელებს მასზე, თითქოს
დასკვნის სახით იძლევა მის დახასიათებას: „და ამგვარად, იგი (სერაფი-
ტი) იყო კეთილი და ლამაზი, რომლის მსგავსი სილამაზით არავენ იყო“.

რაც შეეხება ბილინგვის არამეული ტექსტის ლექსიკას, აქ, როგორც
გ. წერეთელი აღნიშნავს, განმეორებული სიტყვების ჩათვლით მათი ხმა-
რების 51 შემთხვევიდან 48 არამეულზე მოდის და მხოლოდ სამი შეიძ-
ლება სპარსულს მივაკუთვნოთ [ბილინგვა : 27]. ეს სიტყვებია: ʾrwst,
prwš და bḫš. თუ ჩვენ მივიღებთ გიორგაძისეულ ინტერპრეტაციას
prwš სიტყვისა (საკ. სახელი „ფარნავაზ“), მაშინ იგი ხსენებული სიი-
დან ამოირიცხება.

bḫš („პიტიახში“) თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია [შდრ.
Henning 1961 : 353—356]. ამ ეპოქაში არამეულ ტექსტში მისი ხმა-
რება უჩვეულოდ არ უნდა გვეჩვენოს (გ. წერეთლის შენიშვნით, bḫš
ფართოდ გავრცელებული სიტყვაა და მისი წარმომავლობა ჭერ კიდევ
სადავო რჩება, ბილინგვა : 29). რაც შეეხება სიტყვა ʾrwst-ს („სამგირო
საქმე“), იგი ირანულია, მაგრამ ცნობილია უკვე ეგვიპტის პაპირუსებში
(აქემენიანთა ხანის არამეული ენის ძეგლებში), ძვ. წ. V ს., და, როგორც
ჩანს, კარგა ხანია არამეულში დამკვიდრებულია. საერთოდ უნდა ითქვას,
რომ ირანული წარმოშობის სიტყვები საკმაო რაოდენობით ჭერ კიდევ
აქემენიანთა ხანის (ე. წ. სახელმწიფო) არამეულში გვხვდება (Benveniste
1954 : 297—310).

ამას, გ. წერეთლის აზრით, ემატება ისეთი წმინდა სპარსული
(ირანული) ენობრივი ფაქტი, როგორცაა დაბოლოება yk სიტყვაში
hbyk (-yk ფალაჯური სუფიქსია, ბილინგვა : 29). მაგრამ თუ ამ სიტყვას
წავიკითხავთ როგორც hbyn (n-ს k-ს ნაცვლად!), მაშინ აქ საქმე გვექ-
ნება არა ირანულ სუფიქსთან (-yk), არამედ მამრ. სქესის სახელის მრავ-
ლობითი რიცხვის ჩვეულებრივ დაბოლოებასთან არამეულში -yn (-in).

რაც შეეხება სიტყვა mytyn-ს, თუ იგი გასწორდა როგორც mytt
(|) ნიშნების ნაცვლად ვივარაუდებთ ერთ ასოს ო-ს), მაშინ იგი აღარ
„იმოქმედებს“ არამეულობის საწინააღმდეგოდ: mytt—„გარდაიცვალა“
(ქალი), და არა mytyn—„გარდაცვლილები“ (მამაკაცები). (საყურადღე-
შოა, რომ ო-ს ასეთი დაწერა—| და) ნიშნების დაშორება—გვხვდება
მონოლინგვის ტექსტშიც). წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სიტყვა იდეოგრა-
მად უნდა წარმოვიდგინოთ.

ამრიგად, შემცირდა საბუთები ტექსტის არაარამეულობის (ირანულობის) სასარგებლოდ. და მინც, აქ გვაქვს სტილისტურად და გრამატიკულად გაუმართავი ტექსტი (სტანდარტული არამეულის თვალსაზრისით), მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი:

1. ტექსტი იწერებოდა არა არამეულენობრივ სამყაროში, არამედ მის გარეთ;

2. დაიწერა იგი იმ დროს, როდესაც ოფიციალური (სახელმწიფო) არამეულის ავტორიტეტი დაცემული იყო;

3. ტექსტის დამწერის ცოდნა არამეული ენისა (აკანცელარიო ენისა) უკვე ის არ არის, რაც, თუნდაც ერთი საუკუნით ადრე იყო (შდრ. არმაზის ერთენოვანი წარწერა).

ყოველივე ამის გამო შესაძლებელია, რომ დარღვეულიყო საკანცელარიო არამეულის ნორმები და თავი ეჩინა მშობლიური ენის გავლენას. საესებით მართებულად წერს ა. ფერიხანიანი, რომ „...ორივე დამწერლობა, გარნისა და არმაზული, გამოიყენებოდა ტერიტორიაზე კომპაქტური არასემიტური მოსახლეობისათვის, სრულიად განსხვავებული და უაღრესად ძლიერი კულტურულ-ენობრივი ტრადიციებით. ამ მოსახლეობას, ქალაქურ ცენტრებშიც კი, არ განუცდია რამდენადმე მნიშვნელოვანი არამეიზაცია. ეს კი არ შეიძლება არ ასახულიყო გარნისა და არმაზის წარწერების ენაში“ [Периханян 1964:130]. არამეულის გვერდით საქართველოში ფართოდ იყენებდნენ ბერძნულ ენასაც, რასაც ამ ქვეყანაში გარკვეული ტრადიცია ჰქონდა. ასეთი იყო ენობრივი სიტუაცია საქართველოში (იქერიაში), როგორც ჩანს, II ს-ში. (II ს-ში ერთგვარად განსხვავებული ვითარებაა). საყურადღებოა, რომ ანალოგიური მდგომარეობა ჩანს მეზობელ სომხეთშიც. იქ აღმოჩენილი წარწერები არა მარტო დამწერლობათა თვალსაზრისით ავლენენ დიდ მსგავსებას (შდრ. არმაზისა და გარნის წარწერთა დამწერლობანი), არამედ ენობრივადაც. სომხეთის წარწერებშიც კლასიკური არამეულის ნორმათაგან იგივე გადახვევები დასტურდება, რაც არმაზის წარწერებში (უარტიკლო სახელები status determinativus-ში. ნათ. ბრუნვის პლენასტური გამოხატვა და ზოგიერთი სხვა). აქაც, როგორც ჩანს, არამეულ წარწერებში უნდა ვივარაუდოთ სომხური ენის გავლენა [შდრ. Периханян 1964:136—137]. ამ მხრივ საინტერესოა გამოჩენილი სემიტოლოგების ი. კუჩერისა და ი. ნავეა მოსაზრება არმაზის ბილინგვის შესწავლასთან დაკავშირებით: „ეს წარწერა დაწერილია ადამიანის მიერ, რომლის ენა არ იყო არამეული (არამედ ერთ-ერთი კავკასიური ენა) და რომელიც ცდილობდა ეწერა არამეულად, რომელსაც კიდევ ახლდა ოფიციალური არამეულის შარავანდელი. ეს იგრძნობა როგორც გრაფიკაში, ისე ლექსიკაში“ [Kutscher/Naveh 1970:310]. და შემდეგ: „მწერალს სურდა დაეწერა არამეულად, მაგრამ

(I—II სს.) არამეული ენის ძეგლებში, როგორცაა პალმირის, ნაბატეას, პათრის წარწერები, თუ უფრო ზოგიანო იუდეურ-არამეულ ტექსტებში [შდრ. Периханян 1964:137].

2. ვფიქრობთ, ჩვენი არმაზის წარწერების მიმართ, კერძოდ ბილინგვის არამეული ნაწილის მიმართ არ არის შეუძლებელი გამოითქვას ვარაუდო წერის ალოგლოტოგრაფიკული მეთოდის გამოყენების შესახებ [გამყრელიძე 1987]. ამას მხარს უჭერს ტექსტის არამეულად დაწერა, — ერთის მხრივ, და ტექსტში შენიშნული ქართული ენის გავლენა, — მეორეს მხრივ. განსაკუთრებით საყურადღებოა ტექსტის დამწერის მიერ სქესში შეთანხმების პრინციპის დარღვევა ეპიტაფიის მეორე ნაწილში, რასაც ადგილი აქვს მამრ. სქესის ფორმების კანონიერი ხმარების შემდეგ მდ. სქესის სუბიექტისაგან საკმაოდ დაცილების შემთხვევაში. ადვილად დასაშვებია, რომ დამწერი, რომელიც ქართულიდან თარგმნიდა ზეპირ ტექსტს არამეულად, უნებლიეთ მამრ. სქესის ფორმების ზედღებულ წერის შემდეგ ინერციით (მექანიკურად) აგრძელებს ამ ფორმების ხმარებას შემდეგაც, როდესაც საქმე უკვე მდ. სქესის სუბიექტს შეეხება (აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართული დამწერისათვის მშობლიურია). ხოლო ის ფაქტი, რომ ამ ტექსტის ერთ-ერთი სიტყვა (მუყუნ) შესაძლებელია იდენტურადაა იყოს, მიუთითებს იმაზე, რომ II ს-ის არამეულ ტექსტში პართულში გავრცელებული იდეოგრაფები იჩენს თავს, რაც არამეულად წერის დროს პართულის ერთგვარ გავლენას ავლენს, სადაც უკვე ჰქონდა ადგილი არამეული სიტყვების იდეოგრაფიზაციას. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ი. დიაკონოვისა და კ. სტარკოვას დასკვნითი მოსაზრება სევანის წარწერების ენის საბოლოოდ განსაზღვრის სირთულის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ (ეს წარწერები) შედგენილი იყვნენ ძლიერად დამახინჯებულ არამეულ ენაზე, რომელსაც არ იყენებდნენ იდეოგრაფიკულად, და არც ის, რომ ტექსტი გათვალისწინებული იყო სპარსულად ზეპირად გადაცემისათვის.“ [Дьяконов/Старкова 1955 : 172]. იქვე შენიშნულია, რომ ასეთი ზეპირი „განმარტებისათვის“ იეარაულებოდა წმინდა არამეული ტექსტები ჯერ კიდევ აქემენიანთა ხანაში (გვ. 172, შენ. 1). სწორედ ამაშია ალოგლოტოგრაფიის არსი.

თუ გამოთქმული მოსაზრება არამეული წარწერების ალოგლოტოგრაფიკულად წერის შესახებ, და სახელდობრ: იწერებოდა ქართული ტექსტი არამეულად და იკითხებოდა ისევე ქართულად, როგორც, ეს უნდა ყოფილიყო სომხეთშიც (!ომხური→არამეული→სომხური) და შესაძლებელია, უფრო ადრე აქემენიანთა ხანაშიც (ირანული→არამეული→ირანული), სწორია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ არმაზის წარწერები მიუთითებენ საქართველოში წინაქრისტიანულ ხანაში ქართულ სამწერლობო ტრადიციის არსებობაზე. (ამ საკითხს სპეციალურად ვეხებით სტა-

ტიაში „საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა“ ([წერეთელი კ. 1991²]).

ჩვენი წარმოდგენილი შენიშვნებით, ცხადია, ვერ დასრულდება არმაზის ბილინგვის კვლევა. იგი შემდგომშიც დიდ მუშაობას მოითხოვს, მეტადრე ახალი არამეული წარწერების შუქზე. აქ არ შეგვიძლია ჩვენი მსჯელობა არ დავამთავროთ ე. აბაევის სიტყვებით: „ეკვს გარეშეა, რომ არმაზის ბილინგვა წარმოადგენს უაღრესად საინტერესო ძეგლს მრავალმხრივ: ისტორიული, ენობრივი და პალეოგრაფიული თვალსაზრისით... იგი მრავალ ახალს პრობლემას ბადებს... ცხადია, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა მით უფრო სწრაფად და წარმატებით მოხდება, როცა უფრო მეტი ძეგლი იქნება მოპოვებული ამავე ეპოქისა და ამავე ტიპის“ [აბაევი. 1944:825].

ЗАМЕЧАНИЯ К АРАМЕЙСКОМУ ТЕКСТУ АРМАЗСКОЙ БИЛИНГВЫ

При археологических раскопках в Мцхета-Армази в 1940 году были обнаружены две каменные стелы: одноязычная (монолингва) и двуязычная (билингва). Последняя содержала тексты, написанные по-гречески и по-арамейски. Греческий текст на первом месте, в верхней части стелы, арамеографический—на втором, в нижней части стелы. Греческий текст впервые был опубликован А. Г. Шанидзе [Шанидзе 1941] и С. Г. Каухчишвили [Каухчишвили 1941], арамейский—Г. В. Церетели [Билингва 1941].

Издание арамейского текста билингвы вызвало большой интерес ученых. В связи с этим был напечатан целый ряд работ, высказывались разные соображения о языке текста и личности писца. Спорными считают как язык текста, так и чтение и понимание его отдельных мест. На публикацию армазской билингвы откликнулись многие ученые: В. И. Абаев, М. Н. Тодд, Б. М. Мецгер, Х. У. Бейли, Х. С. Нюберг, Фр. Альтгейм, Р. Штиль, Х. Доннер, В. Рёллиг, Р. Фрай, П. Грело, Г. Г. Гиоргадзе и др. В последнее время арамейский текст билингвы под заглавием «Армазская эпитафия» издан М. Н. Боголюбовым [Боголюбов 1987]. Все это говорит о большой и разносторонней значимости, которая придается арамейскому тексту армазской билингвы. Именно это и дает нам основание вновь обратиться к упомянутому тексту билингвы, предусмотрев все высказывания и замечания по данному тексту. Стимулом к этому послужило и то, что первому издателю и комментатору арамейского текста армазской билингвы Г. В. Церетели, посвятившему ей блестящее исследование, не пришлось ответить на замечания вышеназванных авторов.

Чтение арамеоязычного и арамеографического текста сопряжено с большими трудностями. По этой причине к нему не раз возвращаются. С течением времени надписи читаются заново, правятся и уточняются их отдельные места. Поэтому неудиви-

тельно, что арамейский текст армазской билингвы, как было отмечено выше, издавался не раз и по отношению к нему было высказано не одно замечание. Наша цель представить некоторые замечания к данному тексту, принимая во внимание все ранее высказанные в связи с ним соображения.

Арамейская часть билингвы, в основном, правильно прочтена Г. В. Церетели и это чтение текста лежит в основе всех других его чтений. «Армазская билингва» Г. В. Церетели является прочной опорой как для расшифровки данного текста, так и других надписей, выполненных армазским письмом. Ведь сам факт установления «армазской письменности» не вызывает никаких сомнений.

Арамейская часть армазской билингвы по изданию Г. В. Церетели [«Армазская билингва», с. 22]:

1. ʔnh sʕpyʔ brty zy
2. zywh ʔlyl bʔš zy prsmn
3. mlk ʔntt zy ywdmagn wnšyḥ
4. wkbyr ʔrwst ʕbydʔ rb
5. trbš zy ḥsyprnwg mlk bry
6. zy ʔgryp rb trbš zy
7. prsmn mlk ḥbl ḥblyk mʔ
8. zy prnwš ʔ gmyr whkyn
9. ʔb wšpyr yhwh hʔk zy br
10. ʔynš ʔ dmʕ yhwh mn
11. ʔbwt wmytyr bšnt 21.

Рассмотрим отдельно каждое слово приведенного текста, являющееся предметом обсуждения вышеотмеченных исследователей и требующее уточнения.

1) ʔnh (стр. 1)—местоимение I лица «я» (в позднеарамейском—ʔn), хотя оно встречается и в древнеарамейских памятниках—ʔanā). Так поясняют данное слово Г. В. Церетели [Билингва : 24] и все остальные издатели и комментаторы билингвы. В связи с этим П. Грело замечает, что ʔnh и zy представляют собой архаизмы, которые встречаются в восточном регионе Иранской империи, и указывает на севанские надписи в Армении [Grelot 1958 : 13]. Исключение составляет М. Н. Боголюбов, согласно которому здесь не местоимение I лица, а совершенно другое слово,

его омограф (Боголюбов 1987 : 33). Он это слово увязывает с засвидетельствованным в семитских языках глаголом ʔNN, ʔNH, араб. ʔappa «стонать», «плакать», угарит. ʔapī «оплакивать», а также др. евр. ʔāpa, ʔāpah. (Ср. также перевод данного слова А. Г. Шанидзе, где первое слово «увы» с вопросительным знаком стоит для араб. ʔnh [Шанидзе 1941 : 185], что по-видимому, вызвано аналогией с употреблением в еврейской Библии междометия ʔapla [Gesenius 1905 : 47]. Отсюда — сочетание ʔnh sʕruʔ М. Н. Боголюбов переводит двояко: (1) «жаль Серапиту» и (2) «оплакивай ее. Серапиту!», поскольку, по его мнению, здесь мы можем иметь повелительную форму (ед. ч. II л.) от глагола ʔpp—ʔnh (=ʔupah, там же). Такая интерпретация слова основывается на неправильном понимании текста (якобы эпитафию составили отец и свекор Серапит. Со своей стороны М. Н. Боголюбов вышеуказанное чтение первого слова надписи —ʔnh—считает одним из аргументов, подтверждающих данное понимание текста. Об этом ниже). В таком случае, в эпитафии, в обращении к читателю скорее ожидалась форма множественного числа глагола. К тому же, в семитском, в том числе и арамейском, не известно ни одной эпитафии, которая начиналась бы с ʔnh в значении «оплакивай!» или «жаль», в то время как I лицо в начале эпитафии явление обычное. Здесь же следует отметить, что в западно-семитских надписях ʔnh встречается только со значением «я» (ср. DISO:18). Что касается глагола ʔpp, он действительно засвидетельствован в арамейском, в частности, в иудейско-арамейском, но, в отличие от ʔbl, означает не «оплакивать покойника», как это замечает М. Н. Боголюбов, а вообще «печалиться», отсюда — «плакать» [ср. Levy 1959 : 4,41], хотя в древнееврейском ʔāpa, ʔāpah означает и «оплакивать». Таким образом, ʔnh здесь бесспорно местоимение I лица единственного числа («я»).

2) sʕruʔ (стр. 1). Как подсказывает нам параллельный греческий текст, это женское собственное имя, которое должно читаться как *serarīʔ* (ср. греч. Σηραρις, Билингва : 23). Г. В. Церетели обратил внимание на передачу гласного е в арамейском буквой ʕайном (= греч. η). Как е читает он ʕайн и в другом слове билингвы *dmʕ* (стр. 10) (см. ниже). Передачу греч. η посредством ʕайна, подчеркивают Э. И. Кучер и И. Наве. Они приводят параллель из мандейского и отмечают, что аналогичное явление засвидетельствовано и в Вавилонском талмуде [Kutscher/Naveh

1970 : 311]. Г. В. Церетели допускает египетское происхождение упомянутого собственного имени [Билингва : 24], а Кучер, Наве, Доннер и Рёллиг считают его персидским [Kutscher/Naveh 1970 : 311; KAI, II : 328].

3) brty (стр. 1). Согласно Г. В. Церетели, здесь мы имеем арамейское слово «дочь» (status emphaticus которого brt), status constructus—brt) с местоименной частицей I лица [Билингва : 25]. Там же замечено, что данное слово с местоименной частицей III лица (brth) в книжном пехлеви употребляется как идеограмма; подчеркнуто, что форма brty в надписях ему не встречалась и что в средненранском (пехлеви и парси) она выполняет ту же функцию, что и форма brh (с местоименной частицей III лица). (См. ниже).

Доннер и Рёллиг считают, что форма brty может быть st. determinativus, ед. ч., конечный ā (артикл) которой в результате диссимиляции дает ay, что отражено в графике (*brāṭā > *brā-ṭay—?, К. Ц.). По мнению этих ученых, заслуживает внимания предположение Грело, что bartēh > *bartē «его дочь» [KAI, II : 328; ср. Grelot 1958 : 13—14]. Данное мнение Грело разделяют Кучер и Наве: brtyh (= ברתיה), где конечный h утерян [Kutscher/Naveh 1970 : 311].

4) zy (стр. 1)—арамейская релятивная частица, выражающая принадлежность. Позднее принимает форму dy, в сирийском же утрачивает ī и встречается в виде d (d⁰). В такой форме употребляется она и в живых арамейских диалектах [Билингва : 25].

Примечательно, что в армазских надписях слово, предшествующее этой частице, напоминает форму st. cstr.-а, поскольку в нем усечено окончание st. emph.-а -ā, что для такой конструкции обычное явление. Ср. араб. brt zy mlk «дочь царя» и brty zy zywh (билингвы). Следует отметить, что в классическом сирийском языке перед частицей генетива d может стоять не только имя с определенным артиклем, но и имя с притяжательным местоименным суффиксом (ср. ниже с. 84).

5) zywh. Слово zywh представляет собой мужское собственное имя и в армазских надписях встречается несколько раз, а именно: в билингве, монолингве, на гемме, на золотом перстне. Согласно армазским надписям zywh (греч. Ζηωαχη; на гемме) питахш при иберском дворе. Уже греческая надпись подсказывает нам огласовку слова zywh в арамейском тексте: zewah. Мужское

собственное имя *zeḇaḥ* (читается *zēwah!*) в еврейской Библии известно как имя маднамитского царя. Именно поэтому Г. В. Церетели пишет: «Быть может זְבַח *zēwah* нашей надписи есть местная форма библейского собственного имени זְבַח *zēbaḥ*, обозначающего маднамитского царя (Книга судей 8₂₁; псалом 83₁₂)» [Билингва : 26]. Там же замечено: «Этимология не ясна». На наш взгляд, этимология данного слова легко объясняется на семитской (арамейской) почве. *zēwah* арамейские (также еврейское) произношение *zēbaḥ*-а, поскольку после гласного *b > w*. Слово *zeḇaḥ* распространено в древнеарамейском, в частности, государственном (официальном) арамейском и означает «жертву», иногда «дар, преподнесенный богу» [DISO : 71]. В еврейской Библии даны два значения *zeḇaḥ*-а: (1) «жертва» (*Schlachtopfer*) и (2) мужское собственное имя [Gesenius 1905 : 103] (=груз. «жертва» и «Зевее»). (Имя собственное *zeḇaḥ* «рожденный в день жертвоприношения», Odelain/Séguineau 1981 : 325). Корень *zbḥ* означает «приносить жертву». Следует обратить внимание на то, что в грузинских библейских текстах передача еврейского собственного имени *zeḇaḥ* не совпадает с армазским *zēwah*: чаще «Зевее», иногда «Зебе» и «Зэбие» [Псалмунни : 224, пс. 82₁₂; Мцх. 1981 : 481, 1983 : 219]. *Зевее* греческой Библии, что дает нам возможность полагать, что евр. имя *zeḇaḥ* в грузинский язык вошло путем греческого, в результате чего утерян конечный *h*, а второй согласный слова *b* сохранен, т. е. здесь с точностью отражена греческая передача евр. *zeḇaḥ*. Итак, армазское *zēwah* должно быть вошедшим в грузинский непосредственно из арамейского, произношение которого соответственным образом отразилось в армазских надписях. Таким образом, этимология *zuwḥ* не вызывает сомнений, а то, что вместо *b* написано *w*, указывает на живое существование данного слова в грузинском. Далее, если бы оно представляло лишь арамейскую транскрипцию арамейского слова *zbḥ* (*zeḇaḥ*), то здесь скорее следовало бы ожидать написание слова в виде *zwḥ* без *u* (так как в арамейской графике можно встретить чередование смычных с их спирантизованными вариантами, здесь—*w* для *b*), но *u* для краткого *e*, думается, подтверждает, что написание *zuwḥ* арамейская транскрипция грузинского «Зевах» (в грузинском же, ясно, «Зевах» <арам.). Интересно отметить, что лицо, писавшее армазские тексты, и в других случаях, как правило, вместо гласного *e/i* в именах иностранного происхождения пишет *u*. Ср. собственные имена *ḥsyrgnwg*

«Хсефарнуг» и ɔггур «Агриппа». Итак, подтверждается соображение Г. В. Церетели, что «...написание 𐤒𐤒, с 𐤒 вместо 𐤃 (𐤒𐤃) возможно отражает местное произношение, когда арамейское 𐤃 передавалось в армянском (и, по-видимому, в грузинском) через w» [Билингва : 26, прим. 3]. Там же представлены примеры из армянского языка, приведенные Хусбшманом. Мы полагаем, что данный вывод поддерживается и армазской билингвой, где в собственном имени рglwś w, должно быть, заменяет b [Гиоргадзе 1986 : 157]. (На этом слове остановимся позже).

